

PT/4/2002/ea

"Pax quaerenda est"

დრო მშვიდობისა P E A C E T I M E S



მინისძვრებისა და პოლიტიკური სტაბილურობის გაზაფხული
A spring of quaking earth and stabilized politics



დრო მშვიდობისა №4, 2002



რიჩარდ რუბინშტაინის საგა

კლასობრივი კონფლიქტების ანალიზი და მათი მოგვარების გზები

Cultural Globalisation, Multiculturalism And The Post-Colonial Condition: Mapping The Tensions

ეროვნული სტერეოტიპები საბჭოთა ანკლოტში

გზები, რომლებსაც ვირჩევთ

“თუ შენ ცეკვა არ შეგიძლია, ნამდვილი რევოლუციონერი ვერასოდეს იქნები“
ანარქიზმი

პოლიტიკური რეალიზმის სკოლის ჩამოყალიბება

მასობრივი წესრიგი და არსებობის უზრუნველყოფა

ნაციონალიზმი ქართველ ახალგაზრდებში და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები

Coalition “Civic Dialogue” Chronicle

The third US-led Antiterrorist Front in Georgia: Now a “Common Feature” for
Afghanistan, Philippines, Georgia and Yemen

Dali’s Stairway to Heaven

The Relationship of Art to Urban Sustainability and Peacebuilding

სინემა, სინემა

თანამედროვე ებრაული პოეზია

ამბავი ავტობუსის მძღოლისა, რომელსაც ღმერთად განდობა ეწადა

„ვარსკვლავთა მანტიის“ კალთა


Man That is Music and Poetry

Poems

Is There an Alternative to Power Politics?

სიყვარულის დოქტრინა ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში

რიჩარდ რუბინშტაინის საგა



დღევანდელ დღეს უდავოა, რომ რიჩარდ რუბინშტაინი თანამედროვე მშვიდობის მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია, თავისი არაჩვეულებრივი ნიჭისა და განსწავლულობის წყალობით. იგი შეიძლება ჯიმ ლაუისა და ჯონ ბარტონის პირდაპირ მოწაფედ ჩაითვალოს, თუმცა მისი ფესვები ბევრად უფრო შორს შეიძლება მოიძიოს ადამიანმა.

ნიუ-იორკის ინტელიგენციის ერთ-ერთი წარჩინებული რუბინშტაინების ოჯახში გაზრდილი რიჩი ბავშვობაში იდეალისტი იყო და აპირებდა, რომ მამამისის კვალს გაჰყოლოდა და გამოსულიყო ერთ-ერთი ჩვეულებრივი დემოკრატი ლიბერალი. ლიბერალი, რომელიც დაიცავდა ღარიბებისა და ფერადკანიანების უფლებებს, რომელიც ტრანსნაციონალურ კორპორაციებს უფრო ადამიანურ სახეს მისცემდა. ამ იდეალიზმის ცხოვრებაში გასატარებლად 50-იანი წლების ბოლოდან იგი სწავლობდა ჯერ ჰარვარდის კოლეჯში, შემდეგ ოქსფორდის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) და შემდეგ ისევ ჰარვარდის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. საკმაოდ პერსპექტიული ახალგაზრდა ვექილი ტრადიციული დემოკრატიული ოჯახიდან აპირებდა ლიბერალობის გზას გაჰყოლოდა და ამაში მას ხელს ვერაფერი შეუშლიდა. ბარის ეგზამინაციის გავლის შემდეგ ის იწყებს მუშაობას კორპორატიულ სამართალში, სადაც 60-იანი წლების შუაგულში იცავს ამერიკაში წამყვანი ტრანს-ნაციონალური კორპორაციების ინტერესებს. მისი იდეალიზმი რამდენიმე წელს გასტანს. ამავე დროს ამერიკაში ფეხს იკიდებს მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისა და მშვიდობისათვის. 1968 წელს კლავენ ჯერ მართინ ლუთერ კინგ ჯუნიორს და შემდეგ რობერტ კენედის. ლიბერალების ფრთა ამერიკის პოლიტიკაში დიდ დარტყმას იღებს. იმავე წელს ჩიკაგოს დემოკრატიული პარტიის კონვენციაზე საპრეზიდენტო კანდიდატად არჩეულ იქნა ლინდონ ჯონსონის კონსერვატიული ხაზის გამგრძელებელი ჰუბერტ ჰამფრი. ამის გამო კონვენციის დელეგატთა თითქმის ნახევარმა დატოვა დარბაზი და ქუჩაში მომიტინგეებს შეუერთდა. პოლიცია მერ დეილის ბრძანების თანახმად უმოწყალოდ უსწორდება მშვიდობის მსურველებს.

ამ დროს რიჩარდ რუბინშტაინი თავს ანებებს მდიდარ კორპორაციებთან თანამშრომლობას. როგორც თვითონ ამბობს, ის ხვდება, რომ ლიბერალი ვექილების საშუალებით დიდი კორპორაციები ცდილობენ უბრალოდ გააღამაზონ ის საშინელი მონსტრული სისტემა, რომელიც მილიარდობით ადამიანს შიმშილით კლავს. ის იწყებს მუშაობას სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის, რეალურად ებმება კლასობრივი პრობლემის გადაჭრის საქმეში. ახლოს მუშაობს ამერიკის პროფკავშირულ მოძრაობასთან. ამავე დროს იგი სახელს იხვეჭს როგორც ერთ-ერთი გამორჩეული, ქარიზმატული ლექტორი სამოქალაქო უფლებების დაცვის დარგში. 70-იანი წლებიდან იგი ასწავლის პოლიტიკურ მეცნიერებას და სამართალს ჯერ ჩიკაგოს რუზველტის უნივერსიტეტში და შემდეგ ანტიოქის სამართლის უნივერსიტეტში ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონში. ამავე დროს იგი აქტიურ კავშირშია ამერიკის ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ბიტების თაობის მწერლებთან, მუსიკოსებთან და ასე შემდეგ. ის ეძებს რეალურ, არაძალადურ გამოსავალს იმ საშინელი

პრობლემიდან, რომელსაც ჰქვია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და დამონება. ეს პრობლემა ჯერ კიდევ მეტად მწვავედ დგას მთელს მსოფლიოში და მაშინ განსაკუთრებულად მტკივნეულად იგრძნობოდა. რუბინშტაინი აქტიურად იყო ჩაბმული ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო მოძრაობაში. 80-იანი წლების დასაწყისში რიჩარდ რუბინშტაინი ხვდება ჯონ ბარტონს. ეს შეხვედრა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ორივე მონაწილეზე. ჯონ ბარტონი რიჩარდ რუბინშტაინს იწვევს მსოფლიოში პირველ კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტში, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში. რუბინშტაინი უყოყმანოდ თანხმდება. ის მიიჩნევს, რომ ბარტონული ფილოსოფია, რომლის ერთ-ერთი წამყვანი მქადაგებელი თვითონვე ხდება, მომდევნო წლების განმავლობაში შეიძლება იყოს პასუხი მსოფლიოში გამეფებულ იდეოლოგიურ შიმშილზე, სადაც ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები იკავებენ დიდი იდეოლოგიური დაპირისპირების ადგილს.

რუბინშტაინი აქვეყნებს რამდენიმე სამეცნიერო გამოკვლევასა და ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელნიც ეძღვნება სხვადასხვა სახის კონფლიქტებს და მათს წყაროებს. ის გამოირჩევა თავისი განსაკუთრებით შემოქმედებითი მიდგომით და აგრეთვე რევოლუციური აზროვნების სტილით. რუბინშტაინის ლექციებზე ანშლაგებია. 1993 წელს რუბინშტაინი და ჯარელ კროკერი იწყებენ მეტად გახმაურებულ პოლემიკას სემუელ ჰანტინგტონთან “ცივილიზაციათა შეჯახების” თაობაზე, სადაც ისინი ჰუმანისტურ პოზიციას ბარტონული გადმოსახედიდან იცავენ. მთავარი არსი ამ პოლემიკისა მდგომარეობს კონფლიქტისა და ომის გადაუვალობის აღიარებაში. რუბინშტაინის აზრით კონფლიქტი და ძალადობა სულაც არ არის გარდაუვალი და აუცილებელი არ არის ადამიანის ბუნებას მიუდგეთ ნეგატიურად. სემ ჰანტინგტონისაგან განსხვავებით ის ამტკიცებს, რომ ცივილიზაციებს შორის ყოველთვის შეიძლება მოინახოს ხიდი. კულტურული და რელიგიური სხვაობა სულაც არ არის აუცილებელი რომ ომს დაედოს საფუძვლად. ეს პოლემიკა მეტად საინტერესოა დღევანდელი გადასახედიდან. მაშინ, როდესაც ნაწილი მიიჩნევს, რომ კონფლიქტი დასავლეთსა და აღ-ქაიდას შორის არის რელიგიურ-კულტურული დაპირისპირება, მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ ეს არის ძალთა უთანასწორობის მიერ გამოწვეული ომი. საერთოდ, ახლა ნავთობის კორპორაციებში მომხდარი სკანდალებიც მეტყველებს იმაზე, რომ ვიღაც ამ ომზე დიდ ფულს აკეთებს, იქნება ეს “ენრონი”, “შეკრონი” თუ “ლოკჰედ მარტინი”. მაგრამ ეს ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი თეორიებია. ფაქტი ფაქტად რჩება, ის, რომ ომს არავისთვის მოუტანია ბედნიერება და ძნელია არ დაეთანხმო რიჩარდ რუბინშტაინს იმაში, რომ მშვიდობა სამართალზე დგას.

კლასობრივი კონფლიქტების ანალიზი და მათი მოგვარების გზები

*რიჩარდ რუბინშტაინი
თარგმნა თამარ გუნიაშვილი*

კონფლიქტების მოგვარება და დავების დარეგულირება

უკანასკნელ წლებში კონფლიქტების მოგვარების თეორია დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად განვითარდა. შედეგად, საჭირო გახდა მეცნიერების კვლევის სფეროში არსებული საკითხების – სამუშაო ურთიერთობების მოგვარების, საერთა-შორისო დიპლომატიის, ინდივიდებს, ორგანიზაციებსა და ჯგუფებს შორის არსებული დავების დარეგულირების პროცესების – გადაფასება. ბევრი მეცნიერი ფიქრობს, რომ ახალი

დისციპლინის კვლევის საგანი უნდა იყოს სრულიად გაუცხოებული სოციალური ურთიერთობები და ის პროცესები, რომლებიც ამ პრობლემის მოგვარებას ხელს შეუწყობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისციპლინა ყურადღებას უნდა ამახვილებდეს არა იმ დავებზე, რომელთა დარეგულირებაც შესაძლებელია ყველასათვის მისაღებ პოლიტიკურ, სამართლებრივ და კულტურულ ნორმებზე დაყრდნობით, არამედ კონფლიქტებზე ისეთ მხარეებს შორის, რომლებსაც არ აქვთ კავშირი ნორმებისა და ინსტიტუტების ლეგიტიმურ სისტემასთან. აქედან გამომდინარე, კონფლიქტოლოგიის პრაქტიკული მიზანი უკვე არსებული ნორმატიული ან ძალაზე დაფუძნებული სისტემების შენარჩუნებაა. მეცნიერების ძირითადი მიზანია დაეხმაროს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს გაანალიზონ და აღმოფხვრან კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები (ბარტონი, 1990 წ.).

შესაბამისად, კონფლიქტების მოგვარების ეფექტური პროცესები წარმოშობს ახალ ნორმებსა და გადაწყვეტილების მიმღებ სისტემებს, რომლებიც კონფლიქტში მონაწილე მხარეების ძირითად მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს (ბარტონი, 1990 წ.). ამ მიზეზის გამო, კონფლიქტების ანალიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ არა მოლაპარაკებაზე, „ვაჭრობასა“ და შეთანხმებაზე, არამედ კონფლიქტების მიზეზების ანალიზზე, ახალი სისტემური მოდელების შექმნასა და ამ მოდელებში კონფლიქტის მონაწილე მხარეების ჩაბმაზე. კონფლიქტების ანალიზი და მათი მოგვარების გზები შეიძლება განვასხვაოთ დავების მოგვარების ალტერნატიული გზებისა (ალტერნატივე დისპუტე რესოლუციონ) და კონფლიქტების მოგვარების იძულებითი მეთოდებისაგან (ცოერცივე მეტჰოდს ოფ ცონფლიცტ მანაგემენტ)*. დავების მოგვარების ალტერნატიულ გზებში იგულისხმება ის პროცესები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას დავების კონსენსუალურ მოგვარებაში, როდესაც სამართლებრივი და პოლიტიკური მექანიზმები არაეფექტურია. კონფლიქტების მოგვარებისას გამოიყენება ძალაზე დაფუძნებული საშუალებები (მაგალითად, სამართლებრივი სისტემა), რომლებიც კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს სისტემურ დონეზე იშვიათად იძიებენ. ძალაზე დაფუძნებული (ფორტიორი) კონფლიქტის მოგვარების გზები უნდა განვასხვაოთ ‘მოლაპარაკებისაგან’, რომელიც ან დავების მოგვარების ალტერნატიული გზების ფორმა (კონსენსუალური დავების შემთხვევაში) ან კონფლიქტების აღმოფხვრის იძულებითი მეთოდების შენარჩუნების საშუალება არის საყოველთაოდ მიღებული ნორმების სისტემის შიგნით ან მათ გარეთ (იხილეთ, რაიფა, 1982 წელი).

დავები შრომის მართვა-გადანაწილების შესახებ ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში, ხშირ შემთხვევაში, არ არის მოგვარებული. თუ დავა კოლექტიური ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით წარმოიშვა, მაშინ ის რეგულირდება დავების მოგვარების ალტერნატიული გზებით, კერძოდ კი არბიტრაჟის მეშვეობით. თუ დავა ეხება ზემოაღნიშნული შეთანხმების შექმნას ან შესწორებას და გაფიცვის შეწყვეტას, მაშინ ის ძალაზე დაფუძნებული მოლაპარაკებების საშუალებით გვარდება. თუ კონფლიქტი ეხება პროფესიული კავშირის შექმნის უფლებას ან შრომის მართვა - გადანაწილების შესახებ არსებულ დავებს, მაშინ კონფლიქტი გადაწყდება კონფლიქტების მოგვარების ტექნიკის გამოყენებით, კერძოდ: შრომის კანონების კოდექსის მეშვეობით, რომელიც ინტერპრეტირებულია ადმინისტრაციისა და მოსამართლეების მიერ; ამგვარი კოდექსები თავდაპირველად იქმნებოდა ძალაზე დაფუძნებული მოლაპარაკებების შედეგად (იხილეთ, დანლოპი, 1984 წელი). ერთი შეხედვით, კონფლიქტების მოგვარებასა და შრომის მართვა-გადანაწილების შესახებ დავებს შორის კავშირი არ არსებობს. ხელფასის შესახებ დავა არის უთანხმოება სამუშაოს საფასურის შესახებ. საფასურის შესახებ სხვა დავების მსგავსად, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობს, ხელფასის შესახებ დავები მყიდველისა და გამყიდველის მოლაპარაკებებით უნდა მოგვარდეს. ამგვარი მოლაპარაკებები, როგორც წესი, წარმართება კონფლიქტების მოგვარების სამართლებრივი გზებით. მიუხედავად ამისა, კომერციული მოლაპარაკებების პრინციპები და შრომითი კანონმდებლობის არსებობა გარკვეული

კონსენსუალური ნორმების არსებობას ადასტურებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია დავების ვაჭრობით, ალტერნატიული გზებითა და სასამართლო პროცესით მოგვარება.

დავების დარეგულირების ამ თვალსაზრისით, კრებითი სახელები „შრომა“ და „დარეგულირება“ ეხება ისეთ ჯგუფებს, რომელთა ინტერესები, გარკვეულ შემთხვევებში ერთმანეთს ემთხვევა ან ეწინააღმდეგება. როდესაც ჯგუფების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა (მაგალითად, როდესაც მრეწველობის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას საფრთხე ემუქრება), დავები რბილდება ან საერთოდ ქრება. ამგვარად, აშშ-ში პროფესიული კავშირები მრეწველობის დასუსტების დროს არ რეაგირებენ სამუშაო ძალის ჩაგვრაზე და მიიჩნევენ, რომ ის მრეწველობის გადარჩენისათვის საჭირო აუცილებელი პირობაა. როდესაც მუშახელისა და მმართველობის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება (ხშირ შემთხვევაში დავები წარმოიშობა ხელფასების, დახმარებებისა და სამუშაო პირობების შესახებ), წარმოიქმნება დავები, მაგრამ რადგანაც ეს დავები მხოლოდ ხანმოკლე ინტერესებს მოიცავს, მათი აღმოფხვრა და დარეგულირება უფრო შესაძლებელია, ვიდრე მოგვარება.* აშშ-ში ადგილობრივი და ფედერალური შრომითი კანონმდებლობის მიხედვით, ზემოაღნიშნული დავების შესახებ მოლაპარაკება და დამატებითი საშუაშაშლო სამსახურების შექმნა სავალდებულოა. მუშების უფლება გაიფიცონ და დამქირავებლის უფლება არ დაუშვას სამუშაოზე დაქირავებულები, გარანტირებულია, მაგრამ ეს უფლებები მკაცრად შეზღუდულია კანონითა (კერძოდ, „პოლიტიკური“ გაფიცვები, მეორადი ბოიკოტები და სხვა ძალადობრივი გამოსვლები ხშირად არაკანონიერია) და კონტრაქტით (მრავალმხრივ სავაჭრო შეთანხმებებში გაფიცვის უფლების შესახებ პუნქტის შეტანა სავალდებულოა).

დაახლოებით 1930-იანი წლებიდან დასავლეთის უმეტეს კაპიტალისტურ ქვეყნებში კონფლიქტებს სოციალურ კლასებს შორის აღიქვამდნენ როგორც ინტერესებზე დაფუძნებულ დავებს, რომელთა მოგვარება მოლაპარაკებების გზით შესაძლებელია. ეჭვგარეშეა, რომ ისინი, ვინც სწავლობენ ან ცდილობენ „რთული“, ხანგრძლივი ისტორიის მქონე არაკონსენსუალური კონფლიქტების მოგვარებას, ბევრს ვერ გვეტყვიან კლასობრივი კონფლიქტების შესახებ (იხილეთ კრისბერგი, ნორტრაპი და თოუსონი, 1989 წელი). კონფლიქტოლოგების უმეტესი ნაწილი ძირითადად დაინტერესებულია კონფლიქტებით ეთნიკურ, რასობრივ, ეროვნულ, რელიგიურ და იდეოლოგიურ ჯგუფებს შორის - „ხარისხობრივი კონფლიქტებით, რომლებიც წარმოიშობა ისეთი აბსტრაქტული მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის შედეგად, როგორცაა იდენტურობის, აღიარებისა და პიროვნული განვითარების მოთხოვნილებები. ამ კონფლიქტების უმეტესობა რაოდენობრივი ხასიათისაა არის; ვინ შეეცდება ჩრდილოეთ ირლანდიაში, აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთსა და აფრიკაში კონფლიქტების მოგვარებას ეკონომიკური საკითხების გაუთვალისწინებლად? მაგრამ თუ ჩვენ ამ კონფლიქტებს მხოლოდ რაოდენობრივი კუთხით განვიხილავთ, მაშინ გამოვა, რომ ეს კონფლიქტები არის ჩვეულებრივი ინტერესთა კონფლიქტები, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია იმ გზებით, რომლებიც ჩვენ შრომის მართვა-გადასწავლების შესახებ დავებზე საუბრისას აღვნიშნეთ.

წარმოვიდგინოთ, რომ კონფლიქტის მონაწილე ერთი ან ორივე მხარე თავს აღიქვამს როგორც მთლიანი კლასის წარმომადგენელს და მოითხოვს პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის აღიარებას. ამგვარი „კლასობრივი ბრძოლის“ სიტუაცია კარგად ახასიათებს მთელ რიგ თანამედროვე კონფლიქტებს, რომლებიც მოხდა, მაგალითად ნიკარაგუაში, სალვადორში, პერუსა და ფილიპინებზე. წარმოვიდგინოთ, რომ „სოციალური კონტრაქტი“, რომელიც მუშებსა და დამქირავებელს შორის ურთიერთობებს არეგულირებდა, დაირღვა და იგი ახალი ლეგიტიმური სისტემით ჯერ არ შეცვლილა. სწორედ ამგვარი „სოციალური კონტრაქტის“ არარსებობით უხეშად შეიძლება აიხსნას ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული ვითარება. დღესდღეობით შეიქმნა სიტუაცია, როდესაც პროფესიული კავშირები სერიოზულ როლს თამაშობენ მრეწველობის წარმართვაში და ამის მიზეზი ხანგრძლივი გაფიცვებია. ამგვარი კონფლიქტების დროს წარმოშობილი საკითხები

„ვაჭრობას“ არ ექვემდებარება, მაშინ, როდესაც ხელფასებსა და სამუშაო პირობებზე არსებული დავები ჩვეულებრივი მოლაპარაკებების გზით გვარდება. ზემოაღნიშნული კონფლიქტები „კონსენსუალურ კონფლიქტებს“ (იხილეთ კოსერი, 1956 წელი) არ წარმოადგენს, რადგანაც ისინი ხანმოკლე ინტერესებს არ მოიცავს; ამგვარი კონფლიქტები დავების მოგვარების ჩვეულებრივი გზებით ვერ რეგულირდება. ამავე დროს, აღნიშნული კონფლიქტები „საერთო იდენტურობის მქონე ჯგუფთა“ კონფლიქტებია, რომელთა მოგვარებაც ჩვეულებრივი გზებით შესაძლებელია. ჩვენს მიერ მოყვანილი კონფლიქტი კონფლიქტოლოგიის ჯერ ამოუცნობი და გამოუკვლევ სფეროა.

დაქირავებულნი და მენეჯმენტი როგორც ინტერესთა ჯგუფები

შრომის მართვა-გადანაწილების შესახებ დავაზე საუბრისას ხშირად აყენებენ ტავტოლოგიურ მოსაზრებას: კონფლიქტის მონაწილე მხარეები არიან ინტერესთა ჯგუფები და არა სოციალური კლასის წარმომადგენლები.* ინტერესთა ჯგუფი არის ინდივიდთა ერთობა, რომლებიც მოქმედებენ გარკვეულ კონსენსუალურ, ნორმატიულ და ინსტიტუციონალურ ჩარჩოებში. თავდაპირველად ეს ტერმინი აღნიშნავდა ჯგუფებს, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დასაცავად; მაგალითად, აქციონერები, რძის მწარმოებლები, დამქირავებლები, დამოუკიდებელი ბუღალტრები, ახალი ავტომობილების მყიდველები, რკინიგზის ინჟინრები. ინტერესთა ჯგუფის ცნება სოციალური კლასის ცნებასთან შედარებით საკმაოდ ფართო და ზედაპირული იყო. ფართო იყო იმიტომ, რომ „ინტერესი“ მოიცავდა ერთობებს, რომელთა ინტერესები გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე ჯგუფის დამოკიდებულება წარმოების საშუალებების მიმართ; ზედაპირული იყო იმიტომ, რომ ჯგუფში გაერთიანებული ერთობების ინტერესები ხანმოკლე ფულად მოთხოვნილებებს მოიცავდა და ხანგრძლივი ადამიანური მოთხოვნილებებისაგან შორს იყო. დროის განმავლობაში ეს ტერმინი გაფართოვდა და უკვე მოიცავდა ჯგუფებს, რომელთა წევრებსაც უკვე ეკონომიკურის გარდა სხვა ინტერესებიც ჰქონდათ; კერძოდ, იარაღის მეპატრონეები, საეკლესიო სკოლებში მოსიარულე ბავშვების მშობლები, მოქალაქეთა თავისუფლებების დამცველები, მუსიკის მოყვარულები. მაგრამ ასეთი ჯგუფებიც კი ცდილობდნენ თავისი საერთო ინტერესები განეხილათ როგორც ხანმოკლე ეკონომიკური ინტერესები, რომელთა დაცვა შესაძლებელი იყო ვაჭრობითა და მოლაპარაკებებით მსგავს ჯგუფებთან ან სახელმწიფო სააგენტოებთან.*

ინტერესთა ჯგუფებისთვის საერთო დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ მოლაპარაკებები აწარმოონ სხვა ჯგუფებსა და სახელმწიფოსთან საერთო ნორმატიული ჩარჩოების შიგნით. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამგვარი მოლაპარაკებების დროს სერიოზული უთანხმოებების გამომწვევი ნორმატიული საკითხები არ განიხილება, რადგან ისინი უკვე მოგვარებულია, კერძოდ, საყოველთაოდ მიღებული „სოციალური კონტრაქტი“ არსებობს. იმისათვის, რომ ლეგიტიმური სოციალური კონტრაქტის არსებობა დამტკიცდეს საჭიროა:

- ძალის, ქონებისა და პრესტიჟის გადანაწილება საზოგადოების მიერ გარდაუვალ და სამართლიან პროცესად იქნეს აღქმული;
- სოციალური ფასეულობები და ინსტიტუტები, რომლებიც ზემოაღნიშნულ პროცესებს არეგულირებს საზოგადოების მიერ ბუნებრივად და უზენაესად იქნეს აღქმული;
- ადამიანების ძირითადი მოთხოვნილებები და სასიცოცხლო ინტერესები დაკმაყოფილებული იყოს (სულ მცირე „დამაკმაყოფილებელი“ მაინც). ინტერესთა ჯგუფების კომპეტენციაში არსებული ძალის, ნორმებისა და მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებლების რეკონსტრუქცია არ შედის.

ინტერესთა ჯგუფების სისტემის მიერ განსაზღვრული როლი მდგომარეობს იმაში, რომ წარმოადგინონ საკუთარი წევრების ინტერესები სოციალური კონტრაქტით შექმნილი ჩარჩოების შიგნით.

ზემოაღნიშნულ საკითხზე საუბრისას შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ინტერესთა ჯგუფი „მთლიანი ინდივიდის“ წარმომადგენელი არ არის და ინდივიდის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას არ ცდილობს; ამავე დროს, ინტერესთა ჯგუფი არც იმ სოციალური კლასების წარმომადგენელია, რომლებიც ცდილობენ შეცვალონ ძალის სისტემა და არსებული სოციალური ნორმები. ინდივიდი არის განსაკუთრებული, გააზრებული და დროებითი სურვილებისა და მოთხოვნილებების ერთობლიობა, რომელსაც სჭირდება ერთი ან რამდენიმე ჯგუფის წარმომადგენლობა, იმისათვის, რომ დაიკმაყოფილოს სურვილები და მოთხოვნილებები. შესაბამისად, კლასი არის ინტერესთა ჯგუფების ერთობლიობა, რომელთა უმრავლესობა, ფაქტობრივად, სოციალურ-კლასობრივი დიფერენციაციის ვერტიკალზე არის განლაგებული. ასეთი ჯგუფები შეიძლება გაერთიანდნენ, მაგრამ მათი მიზანი მუდმივი კავშირების შექმნა ან მუდმივი მტრების გაჩენა არ არის. ამგვარად, დამქირავებელთან ხელფასის შესახებ მოლაპარაკებების დროს, მუშის წარმომადგენელი შეიძლება პროფესიული კავშირი იყოს. სხვა ჯგუფთან საზოგადოებრივი პოლიტიკის (იგულისხმება ისეთი საზოგადოებრივი პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს მუშებზე) შესახებ მოლაპარაკებების დროს მუშის წარმომადგენელი შეიძლება მრავალკლასიანი პოლიტიკური პარტია იყოს. როდესაც მოლაპარაკებები ეხება ქალის უფლებებს, მათი ინტერესების დამცველი შეიძლება იყოს სპეციალიზებული ინტერკლასობრივი (ცროსს-ცლასს) ორგანიზაცია; რელიგიური საკითხებზე მოლაპარაკებისას ეკლესია ან „მორალურ საკითხებზე“ სპეციალიზებული ჯგუფი და ა.შ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა ორგანიზაციების განვითარების მთელი ისტორია არის პროცესი, რომლის დროსაც კლასზე ორიენტირებული მუშები ინტერესთა ჯგუფებად გარდაიქმნენ. თავდაპირველად მუშათა ორგანიზაციები მთლიანად მუშათა კლასის ინტერესების დაცვას და მუშათა ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცდილობდნენ; დღესდღეობით ინტერესთა ჯგუფები ცდილობენ დროებითი ეკონომიკური უპირატესობების მოპოვებას თავისი წევრებისათვის საყოველთაოდ აღიარებული ‘თავისუფალი ბაზრის’ ჩარჩოებში. აშშ-ში აღნიშნული ტრანსფორმაცია ‘ახალი კურსის’ გატარების შემდეგ მოხდა, როდესაც მუშების ურთიერთობების მოგვარება ცენტრალურ მმართველობას დაევა, მუშების უფლება შეექმნათ პროფესიული კავშირები, გარანტირებული იყო, შრომის მართვა-გადასწავლის შესახებ მოლაპარაკებები სავალდებულო გახდა, მუშების უფლება გაფიცულიყვნენ უზრუნველყოფილი (ამავე დროს, შეზღუდული) იყო და უმუშევრობის კომპენსაციისა და სოციალური უსაფრთხოების სახელმწიფო სისტემები შეიქმნა.

ამგვარი რეკონსტრუქციის შედეგად ამერიკის წამყვანმა პროფკავშირებმა დაიწყეს მუშათა კლასის, როგორც ერთობის ინტერესების დაცვა. ბევრ ორგანიზატორს იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა ბიზნესმენტა კლასის ხელისუფლებიდან გადაგდებას და კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის გეგმური ეკონომიკით შეცვლას; ხელისუფლებას მუშათა კლასი გააკონტროლებდა. მაგალითად, 1934 წელს პროფკავშირების მეთაურობით მოხდა მთელი რიგი გაფიცვები: დასავლეთ სანაპიროს დოკერთა გაფიცვა, რომლის ლიდერებიც კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ და მინეაპოლისის სატვირთო მანქანების მძღოლების გაფიცვა, რომლის ლიდერებიც სოციალისტ მუშათა პარტიის წევრები იყვნენ (იხილეთ გოლდფელდი, 1989 წ.). ეს აგრესიული გაერთიანებები უარყოფდნენ ინტერესთა ჯგუფის შეზღუდულ როლს, რომელსაც ტრადიციულად საამქრო პროფკავშირები და მუშათა ამერიკული ფედერაცია () ასრულებდნენ. “პურის და კარაქის” გაერთიანებებისაგან განსხვავებით, ისინი სოლიდარობას უცხადებდნენ წარმოების სხვა დარგებში დასაქმებულ

მუშებს და ამით ცდილობდნენ გაფიცვები საყოველთაო გაეხადათ; ისინი ამავე დროს, სხვა გაფიცული საწარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქციას არ ყიდულობდნენ. ისინი საკუთარი წევრების “ეკონომიკურ ინტერესებს” უფრო ფართო პოლიტიკური მიზნებისაგან არ განასხვავებდნენ, რომელთა განხორციელების მოთხოვნით კომუნისტური და სინდიკალისტური ორგანიზაციები გამოდიოდნენ. იმდროინდელი პროფკავშირების მიზანი იყო, ხელი შეეწყოთ მუშების ისეთი ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში როგორც არის: იდენტურობის, აღიარების, სოლიდარობისა და პიროვნული განვითარების მოთხოვნები (იხილეთ დობსი, 1972 წელი).

“ახალი კურსის” აღზევების დროს (1936-1938 წლები), პროფკავშირების ყველაზე აგრესიული ლიდერები “სახალხო ფრონტის” საქმიანობაში ჩაებნენ, რომელიც ფრანკლინ დელანო რუზველტის დემოკრატიული პარტიის მიერ იყო შექმნილი. დემოკრატიულმა პარტიამ “სახალხო ფრონტის” დაარსებისას უფრო კონსერვატიულ მუშათა ლიდერებთან, ქალაქის პოლიტიკური მექანიზმების წარმომადგენლებთან, ეთნიკურ ასოციაციებთან, მცირე ბიზნესმენებთან და ფერმერებთან, სამხრეთში მცხოვრები თეთრკანიანების პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და რამდენიმე წამყვან ბიზნეს-კორპორაციასთან ალიანსი შექმნა. ამ კოალიციის ძირითადი წარმომადგენელი სამრეწველო ორგანიზაციების კონგრესი (ჩი) იყო, რომელიც მოგვიანებით ამერიკის მუშათა ფედერაციას შეუერთდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე სამრეწველო ორგანიზაციების კონგრესი ცდილობდა პროფკავშირებიდან სტალინის წინააღმდეგ განწყობილი რადიკალები მოეშორებინა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი მოსკოვის გულშემატკივარი კომუნისტების მოშორება დაიწყო.* ზოგადად გაფიცულთა პირობები კაპიტალის მეპატრონეების მიმართ ასეთი იყო: კაპიტალის მეპატრონეებს უნდა ეღიარებინათ, რომ მუშებს აქვთ პროფესიული კავშირების შექმნის, მსხვილ კომპანიებთან ხელფასზე, პენსიებსა და სამუშაო პირობებზე მოლაპარაკების უფლება, აგრეთვე გაფიცვის უფლება. ამის სანაცვლოდ მუშები მთლიანი მუშათა კლასის სახელით არ გაიფიცებოდნენ, ისინი პროფკავშირების წევრებს წარადგენდნენ მხოლოდ, როგორც ამა თუ იმ კომპანიაში ან მრეწველობის დარგში მომუშავე “დაქირავებულად”. ამ მოლაპარაკების მთავარი მიღწევა ის იყო, რომ მუშებმა აღიარეს მენეჯმენტის ლეგიტიმურობა (კერძოდ, კაპიტალისტური საკუთრების ფორმები, მოგებაზე ორიენტირებული ბაზარი და “მენეჯმენტის უფლებები” მრეწველობის მართვაში) და სახელმწიფოს როგორც ნეიტრალური მესამე პარტიის ლეგიტიმურობა, რომელიც შეძლებს შრომის მართვა-გადანაწილების შესახებ არსებული დავების მოგვარებას (იხილეთ გოლდფილდი, 1989 წელი).

გარკვეული დროის განმავლობაში მსხვილი მრეწველებისათვის აღნიშნული მოლაპარაკების შედეგები მომგებიანი იყო. მანამ, სანამ მსხვილი ამერიკული კორპორაციები არ კონკურირებდნენ უცხოურ კომპანიებთან, ისინი ასრულებდნენ მუშების მოთხოვნებს; მათ შეძლეს მუშების ცხოვრების დონე აეწიათ სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით; ისინი მოგებას იღებდნენ თითქმის თავისუფალი გლობალური ექსპანსიით. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიასა და გერმანიაში მრეწველობის აღდგენამ და აშშ-ის მთავრობის ხარჯებმა “გლობალური იმპერიის” განსამტკიცებლად სურათი მთლიანად შეცვალა. 1973 წლიდან დაწყებული ამერიკელი მუშების ხელფასების ოდენობა აღარ იზრდებოდა. ოჯახებში შემოსავლის დონე იგივე დარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ ქალებმა მუშაობა დაიწყეს და კვირაში სამუშაო საათების რაოდენობა გაიზარდა. დეინდუსტრიალიზაციის შედეგად აშშ-ში სამრეწველო პროდუქციის რაოდენობა შემცირდა და შეიქმნა გადატაკებული სამრეწველო რაიონების “ჟანგიანი სარტყელი”. მუშების უმეტესობა “თეთრსაყელიანები” ან მოსამსახურეები გახდნენ; პროფკავშირები შესამჩნევად დასუსტდა. 1991 წლისთვის ამერიკელი მუშების მხოლოდ 17 პროცენტის ინტერესებს წარმოადგენდა პროფესიული გაერთიანებები – ორგანიზაციები, რომლებიც მუშების სამსახურებიდან გათავისუფლებას, კონტრაქტების გაუქმებასა და ორგანიზაციის წევრებს შორის არსებულ უთანხმოებებს წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამერიკელ მუშათა მოძრაობის მოძველება მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით არ იყო გამოწვეული; ამ ფაქტის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ინტერესთა ჯგუფები ცდილობდნენ მხოლოდ ხანმოკლე და ნაწილობრივი ინტერესების დაცვას, იმის ნაცვლად, რომ დაეცვათ ხანგრძლივი მოთხოვნილებები და ინტერესები. არსებობს “დაუწერელი კანონი”: როგორი მჭიდრო ურთიერთობაც არ უნდა ჰქონდეთ ინტერესთა ჯგუფის წევრებს, სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ცვლილება აუცილებლად იწვევს ინტერესთა ჯგუფის დაშლას, რადგან ახალ გარემოში მათი ინტერესები და თავად ინტერესთა ჯგუფებიც იცვლება. იგივე შეიძლება ითქვას ბიზნესის ინტერესთა ჯგუფებზე, როგორცაა კარტელი ან სავაჭრო ასოციაცია, მაგრამ კლასობრივი ერთობა ვერ შეინარჩუნებს კაპიტალისტურ ძალაუფლებას, რადგან ეს ძალაუფლება კაპიტალის მფლობელების ხელთ არის კონცენტრირებული. მუშათა კლასის ინტერესები გაფანტული და უარყოფილია ინტერესთა ჯგუფების მიერ, რომელთა იდენტურობა დამოკიდებულია ბაზარზე მოთამაშე ძალებზე. ნათელია, რომ ეკონომიკური ზეწოლის ქვეშ მანქანათმშენებლობაში მომუშავე მუშების ინტერესები კონკურენტი მრეწველობის დარგში მომუშავე მუშების ინტერესებს ეწინააღმდეგება; მანქანათმშენებელ კომპანიებში მომუშავე ამერიკელი მუშები უცხურ მანქანათმშენებელ კომპანიებში მომუშავე მუშებს მტრებად აღიქვამენ; დაბოლოს, შედარებით მაღალ თანამდებობებზე მომუშავე მუშები დაუშვებენ დაბალი თანამდებობების სამუშაო ადგილების გაუქმებას.

დავების დარეგულირების თვალთახედვიდან ეს პრობლემა ადვილი გადასაწყვეტია: უნდა შეწყდეს ეკონომიკური ზეწოლა. აღმოიფხვრას „ნულოვანი შედეგის მქონე თამაში“ მუშების მოხმარებისათვის არსებული რესურსების გაზრდით. მაგრამ, სანამ ინტერესთა ჯგუფების შეგნება დომინირებს, პრობლემის გადაწყვეტის აღნიშნული გზის გამოყენება უტოპიურია. ინტერესთა ჯგუფების სამყაროში, სადაც მუშათა კლასი მხოლოდ ფორმალურაა, შედარებით პრივილეგირებული მუშები არ იჩენენ ინიციატივას, რომ გაზარდონ მუშათა კლასისათვის ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობა. როდესაც მუშები გააანალიზებენ, რომ მათ ინტერესებს საფრთხე ემუქრება, ისინი აღმოაჩენენ, რომ კლასობრივმა ორგანიზაციებმა ისინი დაუცველი დატოვეს იმ სისტემის წინაშე, რომელიც საქონლისა და მომსახურების ნაწარმიდან სარგებელს ნახულობს. როგორ შეძლებს მრავალფეროვანი ინტერესთა ჯგუფი, რომელიც მუშათა კლასს, როგორც მთლიანობას არ წარმოადგენს ბაზრის „რკინის კანონებთან“ ან ბიზნეს ციკლთან დაპირისპირებას? როგორ შეძლებს ამგვარი ინტერესთა ჯგუფი ნებისმიერი პოლიტიკური ქმედების განხორციელებას თუ არა ანტაგონისტური კლასების დახმარებით? ნათელია, რომ ამგვარი პროცესების შედეგი მხოლოდ მუშათა ორგანიზაციების დასუსტება არ არის ამ პროცესების შედეგად დავების დარეგულირება მოძველებული მეთოდია იმისათვის, რომ მოხდეს შრომის მართვა - გადანაწილების შესახებ არსებული უთანხმოების მოგვარება. როდესაც ინტერესთა ჯგუფი, რომელიც მუშების ინტერესებს გამოხატავს, სუსტდება ან ქრება, სოციალური კონტრაქტის დავების მოგვარების კონსენსუალური ჩარჩოს არსებობას (რომელიც პროფკავშირებისა და კომპანიების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს) საფრთხე ემუქრება.

ინტერესთა ჯგუფი არის კაპიტალისტური ორგანიზაციის ბრწყინვალე ფორმა (პარ ეხცელენცე ოფ ცაპიტალისტ ორგანიზაციონს). კაპიტალისტური ეკონომიკის ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის პოლიტიკურ სფეროში გადმოტანით ინტერესთა ჯგუფი ცდილობს ნებისმიერი ჯგუფური წარმონაქმნის ბაზრის მუდმივი ცვლილებებისადმი დამორჩილებას. ამის გამო დავების დარეგულირების ან კონფლიქტების მოგვარების ტექნიკის შრომის მართვა-გადანაწილების შესახებ კამათის მოგვარებაში გამოყენება ადვილი არ არის, - განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ სოციალური კონტრაქტი მოძველებულია ან არ ფუნქციონირებს. როდესაც სოციალური ჯგუფები თანხმდებიან იმაზე, რომ ისინი არიან ინტერესთა ჯგუფები და არა სოციალური კლასი, დავის მოგვარებაში ჩარეული მესამე მხარე არაპირდაპირ

ცდილობს დაიცვას საბაზრო სისტემა, რომელშიც დროის განმავლობაში უპირატესობა მუშების ნაცვლად კაპიტალს ენიჭება. როდესაც სოციალური კონტრაქტი, რომელიც მუშებს ინტერესთა ჯგუფებად განსაზღვრავდა, არსებობას წყვეტს, დავების მოგვარების გზების გამოყენება შეუძლებელი ხდება. ასე რომ, დღეს რასაც ზოგი „დავების დარეგულირებას“ უწოდებს სხვა არაფერია თუ არა მენეჯმენტის კონსულტაციის ფორმა – მესამე მხარე ურჩევს კომპანიებსა და მთავრობას როგორ დაიყვანოს მინიმუმამდე კონფლიქტი მუშებთან, როდესაც ეფექტური მუშათა ორგანიზაციები არ არსებობს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ტენდენციები გაგრძელდება, შესაძლებელია პრობლემის გადასაწყვეტად ორი ალტერნატივის მოძებნა. 1. კომპანიის ან მრეწველობის მუშები განსაზღვრავენ თავს, როგორც ინტერესთა ჯგუფს, რომლის წევრებიც კომპანიის ან მრეწველობის მფლობელებიც იქნებიან, 2. ისინი განსაზღვრავენ თავს, როგორც პოლიტიკური ცნობიერების მქონე სოციალურ კლასს. პირველ შემთხვევაში ჩვენ 1930 წლის სოციალური კონტრაქტი „კორპორატიზმის“ ან სახელმწიფო კაპიტალიზმის ფორმით შევცვალებთ; ხოლო მეორე შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ღია კლასობრივი ბრძოლის მოწმენი გავხდეთ. დღესდღეობით კორპორატიზმის (მუშების ეკონომიკურ „ბლოკებში“ გაერთიანება, რომლებშიც კაპიტალი დომინირებს და სახელმწიფო მართავს) ტენდენცია შეინიშნება, განსაკუთრებით გერმანიაში და იაპონიაში, მაგრამ ეს აგრესიულად იმპერიალისტური სოციალურ-ეკონომიკური მოდელი, რომელშიც მუშები ექსპლოატაციას განიცდიან, კონფლიქტების მოგვარებას კარგს არაფერს უქადის.* ჩემი აზრით, ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში, რომელშიც მუშების ძირითადი მოთხოვნები და ხანგრძლივი ინტერესები დაუკმაყოფილებელია, აუცილებლად წარმოიქმნება არასტაბილურობა, პოლიტიკური რეპრესია და ძალადობა. ამგვარ კრიზისულ ვითარებაში, დავების რეგულირების გზები უშედეგოა, მაგრამ კონფლიქტების მოგვარების სპეციალისტები კონსტრუქტიულ როლს თამაშობენ.

კლასობრივი კონფლიქტი და კონფლიქტების მოგვარება

კონფლიქტების მოგვარების მიზანი არის კონფლიქტის მონაწილე გაუცხოებულ მხარეებს დაეხმარონ კონფლიქტის მიზეზის გაანალიზებაში, კონფლიქტის გამოძვევევი სისტემის რეკონსტრუქციაში, კონფლიქტების მოგვარების გზების ძიებაში და მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შედეგების დანერგვაში. სერიოზული კლასობრივი კონფლიქტის დროს მესამე მხარე, ფასილიტატორი, ეხმარება მხარეებს ცუდად ფუნქციონირებადი ან კოლაფსამდე მისული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შეცვლაში. დავების მოგვარების სპეციალისტისაგან განსხვავებით, რომელიც შეეცდება მხარეებს დაეხმაროს სოციალური ნორმებისა და ინსტიტუტების მიღებულ ჩარჩოში იარსებონ, კონფლიქტოლოგი, ხელს შეუწყობს მხარეებს, შექმნან ახალი სოციალური კონტრაქტი, რომელიც მათ ხანგრძლივ მოთხოვნებსა და კლასობრივ ინტერესებს დააკმაყოფილებს. ამგვარი პრაქტიკის მიზანი არის, შეთანხმების საფუძველზე, ძალადობის მინიმუმით, სოციალური ტრანსფორმაციის განხორციელება.

ბევრისათვის ეს მიზანი არარეალურად შეიძლება ჟღერდეს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მმართველი კლასები იშვიათად თანხმდებიან საკუთარი ძალის შეზღუდვაზე, ამის შედეგად სოციალური ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მასობრივი ძალადობის შედეგად. ნათელია, რომ რევოლუციური ცვლილებების დროს, თუ სამოქალაქო ძალადობა მაღალია, მიღწეული ცვლილებები შეიძლება ფუჭი აღმოჩნდეს, რადგან ირღვევა არსებული სოციალური ურთიერთობის ფორმები და ეკონომიკური ინფრასტრუქტურა (იხილეთ დოიჩერი, 1959 წელი). სწორედ ამ მიზეზის გამო კარლ მარქსი უარყოფდა მუდმივ

კავშირს ძალადობასა და კლასობრივი ურთიერთობების ფორმების რადიკალურ ცვლილებებს შორის; მისი აზრით, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში მშვიდობიანი სოციალური ტრანსფორმაცია შესაძლებელი იყო (იხილეთ მაკლელანი, 1973 წელი, გვ. 444). ეჭვგარეშეა, რომ ღრმა სოციალური კონფლიქტების დროს, ძალადობა ან ძალადობის საშიშროება კლასობრივი მიზეზის მქონე ბრძოლების თანმდევი იქნება. მიუხედავად ყველაფრისა, უკანასკნელი მოვლენების შედეგად ჩვენ გაგვიჩნდა საფუძველი, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დაგაყენოთ რადიკალური სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების გაიგივება მასობრივ ძალადობასა და სახელმწიფო ტერორთან.

შესამჩნევი ნორმატიული და ინსტიტუციონალური ცვლილებები მოხდა უკანასკნელი წლების განმავლობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ აფრიკაში, სადაც ძალადობის დონე დაეცა. თუ ბირთვული იარაღის ერაში მასობრივი ძალადობა ყველას განადგურებით ემუქრება, მაშინ შესაძლოა, რომ კონფლიქტების მოგვარებამ სერიოზული როლი შეასრულოს კლასობრივი კონფლიქტების გადაწყვეტაში. წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთს, სადაც სტალინისტური სისტემის დაშლის შემდეგ ახალი სოციალური კონტრაქტი არ შექმნილა, გაფიცვების ტალღამ გადაუარა; ან ამერიკის წამყვან ინდუსტრიულ დარგში, სადაც ადრინდელი გაერთიანებები შეიცვალა აგრესიული, კლასობრივი შეგნების მქონე მუშების ერთობებით, არეულობები დაიწყო. აღნიშნული კონფლიქტების მოგვარებისას შემდეგი საფეხურების გავლა უნდა მოხდეს.

პირველი საფეხური: კონფლიქტის მხარეების შეხვედრა

მესამე მხარის, ფასილიტატორის, მოვალეობა ამ საფეხურზე არის შემდეგი: გაეცნოს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს და აუხსნას მათ კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. პირველი ნაბიჯი—კონფლიქტის მონაწილე მხარეების იდენტიფიკაცია და მათი გაცნობა—მეტად მნიშვნელოვანია. საჭიროა მოხდეს კონფლიქტის დეტალური ანალიზი, რათა ფასილიტატორი მიხვდეს, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეები არ არიან ღრობითი ინტერესთა ჯგუფები, რომელთა თვითშეგნება გარემოში ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილების შედეგად შეიცვლება. მოლაპარაკების გარკვეულ ეტაპზე საჭიროა, რომ მოლაპარაკებაში ჩაებას ყველა ის მხარე, რომლის თანხმობაც საჭიროა სასურველი შეთანხმების მისაღწევად. თუ ფასილიტატორი ხვდება, რომ მოლაპარაკებაში მონაწილე ‘მშვიდობიანი’ მხარეები მალე ‘ექსტრემისტებით’ შეიცვლებიან, იგი უნდა შეეცადოს, რომ შეთანხმებას სწორედ ‘ექსტრემისტებმა’ მიაღწიონ. ფასილიტატორმა აგრეთვე უნდა აუხსნას კონფლიქტის მონაწილე მხარეებს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს კონფლიქტის გაგრძელებას და კონფლიქტის მოგვარების პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმას. პროცესის სხვა ფაზებში გადაწყვეტილება მოლაპარაკების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ მხოლოდ კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა უნდა მიიღონ.

მეორე საფეხური: ფორუმის კონსტრუირება

წარმოვიდგინოთ, რომ შეთანხმება მიღწეულია. რა ფორმას მიიღებს პროცესი ამის შემდეგ? კონფლიქტების მოგვარების შესახებ არსებულ ლიტერატურაში მრავალი შესაძლებლობაა, მაგრამ ყველაზე რეალურია, რომ პროცესი მიიღებს პრობლემების მოგვარების ანალიტიკური უორკშოფის (ნალყტიცალ რობლემ-შოლვინგ ჭორკსჰოპ, შჭ) სახეს, რომელსაც შემდეგ

შეიძლება სახალხო ფორუმიც მოჰყვეს, კონსტიტუციური კონვენციის სახით. პრობლემების მოგვარების ანალიტიკური უორკშოფი მნიშვნელოვანია, რადგან კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ ყურადღების ცენტრში ყოფნის გარეშე გააანალიზონ კონფლიქტი; ამ პროცესის დროს ყურადღება ექცევა კონფლიქტის მონაწილე მხარეების ძირითადი მოთხოვნების და არა ხანმოკლე ინტერესების დაკმაყოფილებას; ამ პროცესის დროს ხდება ალტერნატიული სისტემების მოძებნა; ზოგიერთი ფასილიტატორი ამ პროცესის დროს გარკვეულ ექსპერტიზასაც ატარებს, როდესაც საქმე სერიოზულ და ძალადობრივ სოციალურ კონფლიქტს ეხება.* როგორც წესი, მთავრობები არ აფინანსებენ ასეთ ფორუმებს, თუმცა ისინი შეიძლება კონფლიქტის მონაწილე მხარეებზე წარმოგვიდგინონ. მესამე მხარე, ფასილიტატორი, არის დამოუკიდებელი აქტორი, რომლის მოვალეობაც პრობლემის გადაწყვეტისათვის ხელშეწყობაა და არა დროებითი სოციალური მშვიდობის დამყარება.

მესამე საფეხური: უორკშოფის წარმართვა

პრობლემის მოგვარების ანალიტიკური უორკშოფი ოთხ ფაზად წარმართება და მას შემდეგი მიზნები აქვს: (ა) განისაზღვროს სისტემის დარღვევის გამოწვევი მიზეზები, (ბ) მოიძებნოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ახალი ალტერნატივები, (გ) განისაზღვროს ალტერნატიული მოდელის დადებითი მხარეები, (დ) აირჩეს რომელიმე მოდელი და მიღწეულ იქნას კონსენსუსი მისი დანერგვის შესახებ. ვერავინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ბოლო პუნქტი ადვილი მისაღწევია, ამავე დროს ფასილიტატორი არ უნდა ცდილობდეს მხარეებმა ისეთ შეთანხმებას მიაღწიონ, რომელშიც ეჭვი ოდნავ მაინც ეპარებათ და დაუყოვნებლივ დაარღვევენ. პროცესში ყველაზე რთული საკითხია, სამრეწველო პროდუქციის გადანაწილების ახალი სისტემის მოძიება არსებული კაპიტალისტური, სოციალ-დემოკრატიული თუ სტალინისტური მოდელის სანაცვლოდ, რომელშიც კონფლიქტის მონაწილე მხარეების ძირითადი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ ალტერნატივა არ იყოს არჩეული პროცესის დასაწყისშივე. ისევე როგორც ეთნიკური კონფლიქტის მონაწილე მხარეები იკრიბებიან უორკშოფზე და განიხილავენ პოლიტიკური სისტემის ალტერნატივებს, ისევე სოციალური კონფლიქტის დროს მხარეები არ უნდა განიხილავდნენ კორპორაციული ან წმინდა საბაზრო ეკონომიკური“ სისტემების, “შერეული ეკონომიკის“, დემოკრატიულად კონტროლირებადი გეგმური ეკონომიკის ან მუშების მიერ თვითმართული სისტემების დადებით ან უარყოფით მხარეებს. ერთი შეხედვით, მხოლოდ „აკადემიური“ მეცნიერება გვიჩვენებს მრავალ გზას თუ როგორ შეიძლება დაკმაყოფილდეს ძირითადი მოთხოვნები. ამის შედეგად პრობლემების მოგვარების ანალიტიკურ უორკშოფს კონფლიქტის მონაწილე მხარეებისათვის ხშირად გასაკვირი შედეგები აქვს.

მეოთხე საფეხური: დანერგვა

ამ მნიშვნელოვან საფეხურზე უორკშოფზე მიღწეული შეთანხმება ან საზოგადოებრივ პოლიტიკაში ინერგება, ან მას საზოგადოება მხარს არ უჭერს. პრობლემების მოგვარების ანალიტიკური პროცესი პოლიტიკურ პროცესად გარდაიქმნება, რომლის მიზანიც არის შეიქმნას ახალი სოციალური კონტრაქტი. ამ საფეხურზე მიიღება კონსტიტუციური და სამართლებრივი შესწორებები. ამ პროცესში მონაწილეობს ფართო საზოგადოება, რადგან იგი საზოგადოა და ისეთი სისტემები მიიღება, რომელშიც ადამიანების ძირითადი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. კონსტიტუციური შესწორებების მსგავსად, ამ

პროცესების მიზანია ხაზი გაესვას მოლაპარაკების დროს მიღწეულ კონსენსუსს. სახალხო დემოკრატია, რომელიც ინტერესთა ჯგუფების სამყაროში თითქმის არ ფუნქციონირებს აღნიშნული პროცესის დროს შეიძლება რეალობად იქცეს.

ცვლილებები აშკარად გამოკვეთილია

მე ამ ნაშრომში აღვნიშნე, რომ კლასობრივი კონფლიქტების მოგვარება ზოგადად კონფლიქტოლოგიის შემდეგი ზღვარია. თუ კლასობრივი კონფლიქტების მოგვარებას ძალის პოლიტიკითა და დავების დარეგულირების გზებით შეეცდებიან, თანამედროვე სამრეწველო სისტემებში, სადაც ადამიანის ძირითადი მოთხოვნები დაუკმაყოფილებელია, წარმოიქმნება სერიოზული სტრუქტურული და პოლიტიკური ძალადობა. გასაკვირია, მაგრამ აშშ-ში მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა დაასკვნა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით მომხდარი მკვლელობების ძირითადი მიზეზი არის სერიოზული პრობლემები წარმოების ამერიკულ სისტემაში. ჩემი აზრით, ეს ანარქია მხოლოდ დიდი ქალაქებითა და ლატაკი რაიონებით არ შემოიფარგლება. გაუცხოებისა და ძალადობის დონე იზრდება ყველა რეგიონში, სადაც კი მუშების ინტერესები დაუცველია. იმედია, ადრე თუ გვიან, კონფლიქტის მოგვარების სპეციალისტები შეძლებენ ამ პრობლემის მოგვარებას.

Cultural Globalisation, Multiculturalism And The Post-Colonial Condition: Mapping The Tensions

Salome Adrian Asatiani

Nothing can be denounced if the denouncing is done within the system that belongs to the thing denounced (Julio Cortazar, Hopscotch, Chapter 99)

This essay does not carry an ambition of offering any original and novel conceptual findings; neither will the issues addressed here represent questions which have not been the subject of critical reflection and scrutiny before. On the contrary: their already much-analysed and problematized status can even be said to leave practically nothing 'new' to unpack and identify. Nevertheless, the complexity of the issues to be highlighted here opens multiple ways for critical reflection, and the actuality of the problem renders it as still challenging for theoretical scrutiny.

The argument offered below can be broadly defined as an attempt to map certain specific ideological forms in which the process of globalisation seems to articulate. The argument will primarily represent a hypothetical one, drawing upon concrete critical accounts which conceptualise continuous re-adjustment of power to a particular historical moment; hence the findings suggested here should also be regarded as, if not speculative, than at least presumed.

The framework that will be deployed with a view of illuminating these aspects will be primarily adopted from Antonio Gramsci's thought and its legacy. Hence the underlying issue the paper will attempt to tackle will be to illuminate globalisation in the dynamics of its hegemonic rule. This, in turn, will entail attempts to conceptualise domains in which the relations of power,

inherent in the process, are as the most 'invisible' and least readily identifiable - primarily, in this text, this will be the domain of culture. Also, through this theorising of 'cultural globalisation' (to use this term as a conceptual short-hand), the argument will try to analyse the role of those discourses which form specific forms of resistance to power asymmetries embedded in globalisation, but nevertheless face the 'danger' of functioning an important and maybe even necessary components for the hegemonic rule of global capitalism. Concretely, the argument will try to illuminate possible correspondences between the emergence of 'post-colonialism' - as an analytical category denoting a range of aspects from a historical condition to a distinct academic field - and contemporary 'global hegemony' of capitalist culture. Or, to put it differently, the Gramscian framework will be targeted at illumination of the ways in which the critique of and challenge to the colonial rule, stemming from the critical debate, may be appropriated and incorporated within the, although re-defined and re-newed, but nevertheless ongoing domination rooted in colonial paradigm.

Before getting into actual analysis of these issues, however, it seems necessary to justify the usage of the term 'domination' above - what, in turn, implies engagement with the notion of 'globalisation' with a view of explaining, albeit in the most general manner, those characteristics which render the configuration into a hegemonic discourse. This overview will be mainly conducted from a so-defined 'sceptical position' towards the narrative on globalisation, the position which is mainly concerned with 'power geometry'¹ inherent in the process and focuses on the continuities and transformations among such epochal aspects as 'colonialism', 'Western imperialism' and 'global capitalism' (Tomlinson, 1999:167). The second part of the paper, then, will move on towards analysis of possible factors that might have influenced the emergence of the 'post-colonial' discourse in a specific historical moment, and will also attempt to think the role and function of 'post-coloniality' in the dynamics of globalisation.

THE END OF EUROCENTRISM: ILLUSION OR REALITY?

'Globalisation', presumably, represents one of the most intensively articulated and addressed notions of contemporary epoch. And yet the very multidimensionality of the notion makes it practically impossible to demarcate one concrete aspect that 'globalisation' could be perceived as generally implying. As John Tomlinson puts it,

in its relatively short career, the concept of globalisation has accumulated a remarkable string of both positive and negative connotations without having achieved a particularly clear denotation. Both enthusiasm and suspicion arise from often quite vague associations of the term, rather than from a clear consensus on its meaning. Indeed there are many different narratives of globalisation linked not just with different theoretical positions but with different political positions and stances of discursive power.
(1999: 165)

A rhetoric which, according to Tomlinson, is amongst the most intensively circulated within the tradition of critical reflections on globalisation - and somehow even is 'responsible' for broad generalisations and vague associations of the concept - is based on theorising globalisation as a direct continuation of the imperial expansion and cultural dominance of the 'West', entailing, however, change of the form of domination (from direct coercion in the age of actual colonial expansion to the 'mild' colonisation of the world by cultural patterns and practices originating from the West in the contemporary epoch). Tomlinson, then, is concerned with demystifying the importance ascribed to the West in this framework, and developing a counter-argument on 'de-centred', 'placeless' global culture, in which it becomes increasingly difficult to manifest any form of 'local', or territorial-based, cultural dominance. Identifying globalisation, or, in his

words, 'the rapidly developing process of interconnections between societies, cultures, institutions and individuals world-wide' (1999: 165), as a complex and multidimensional process, loaded with implications for all spheres of social existence – be it economic, cultural, political or environmental – the author concludes that

though cultural production may remain concentrated and centred in the West, and though Western cultural commodities may be globally ubiquitous, it does not follow – as it may have done in an earlier period – that these production and consumption practices serve to reinforce territorially based identities (1999: 165, 176).

However if, for Tomlinson, the uncertainties and vague connotations ascribed to the concept of globalisation becomes a point of departure to develop his argument against the discourse on 'Westernisation', for other writers, this very 'vagueness' represents an important aspect in comprehending the character of the process. Arif Dirlik, for example, perceives the 'mystification' of globalism, as a process, its articulation through various ideological forms (such as the developmentalist discourse or narratives of progress) and in different cites of social existence (economic, cultural, social), as features which render globalisation into a 'new form of hegemony'. Dirlik, in this context, can even be said to engage in a peculiar dialogue with theorists holding similar positions to that of Tomlinson, proclaiming the age of globalisation as signifying the decline of the Western cultural dominance. For, with Dirlik, the aspect of globalising world is conceptualised as hegemonic process which 'seeks to conceal, with some success, that this agenda is set still within the old locations of power, but now with the complicity of Third World states, corporations, intellectuals and experts, who are allowed increasingly to participate in the discourse (1999:171).

The question of the ways in which globalisation indeed gives itself to be read as a distinct and specific form of hegemony is of crucial significance here, and will be addressed shortly. However, at this point it is important to stress that the two positions towards the process of globalisation presented above - one holding that it signifies the loss of the Western cultural dominance over the rest of the world, and the other conceptualising globalisation as rooted in the colonial paradigm of power relations - still can not be identified as in a significant way controverting one another. The major difference, presumably, lies in the dimensions of globalisation the authors choose to concentrate upon. Tomlinson focuses on 'cultural globalisation', or 'the particular effects which these general social processes of time-space compression and distanciation have on than realm of practices and experience in which people symbolically construct meaning' (1999: 166). And it is within this domain that he is able of formulating a nuanced picture, which transcends and challenges the rhetoric on 'Westernised global culture'. Stressing 'the cultural resilience and dynamism of non-Western cultures, their capacity to "indigenise" Western cultural imports, imbue them with different cultural meanings', Tomlinson points out that the implementation of these cultural imports (ranging from consumerism and global cultural industries to values, attitudes and political/human rights) in the non-Western cultures is a complex process, entailing active appropriation rather than passive implementation. Also, and perhaps most importantly, 'cultural globalisation' itself represents a complex process, in which a counter-flow of cultural influence from non-Western spheres plays significant role (e.g. the global popularity of 'world music'). However, Tomlinson is explicit in stating that when it comes to economic realm and the power of transnational capitalism, the role of the West as the dominant and leading in the process of globalisation appears as indisputable (1999: 169, 176).

While such isolation of the dimensions in which globalisation unfolds may be justifiable and even necessary for critical reflections on the process, 'in practice', obviously, all of these spheres are heavily interactive and interconnected. While, then, it may be possible to develop a conceptual account on 'cultural globalisation' as a dynamic and complex process, influenced by

diverse cultural values and practices, this does not undermine the power asymmetries inherent in the process of globalisation as a whole. Moreover, while it may indeed be straightforward to describe 'cultural globalisation' as an unanimous assertion and triumph of western cultural products and practices, the different (to put it crudely, 'western' and 'non-western') cultural patterns and values, articulated by the globalising culture, are far from carrying even value and importance. The most simple argument for such a statement is that globalisation, perhaps first and foremost, entails the expansion of capitalist mode of production - which, historically and culturally, is rooted in the west. To quote Dirlik once again,

it is arguable that the apparent end of Eurocentrism is an illusion, because capitalist culture as it has taken shape has Eurocentrism built into the very structure of its narrative, which may explain why even as Europe and United States lose their domination of the capitalist world economy, culturally European and American values retain their domination.
(1997:518)

And this statement, it may be added, in turn clarifies (and perhaps even justifies) circulation of the, maybe 'un-nuanced', but nevertheless widespread perception which associates globalisation with 'Westernisation'. There is, of course, much more to be said about the role and status of the 'West' in the process of globalisation, and the above presented points more provided a sketch of the problem that offered any kind of in-depth insight. However, the complexity of the issue transcends the scope and focus of this paper. For the purposes of this argument, it is crucial to remain within the cultural domain of globalisation - the domain which, once again, perhaps least readily displays relations of power inherent in the process due to its complexity. However - and this, presumably, is one of the most significant aspects for this argument - it can be suggested that it is precisely this diversity of cultural values, articulated by the globalising culture, which renders globalisation into a hegemonic process. The insight on cultural domain of globalisation, illuminating it as influenced by heterogenous and diverse cultural impulses and practices, and represented by Tomlinson here, significantly replicates the conception of the 'new form of hegemony' developed by Dirlik. For if globalisation indeed represents a 'negotiated' form of domination, than it appears directly consistent that the values and interests of the non-dominant, or the subordinate, carry significant role and importance in this process. In other words, while the cultural complexity of globalisation, in one context, may be read as a counter-factor to the rhetoric on the Western cultural imperialism in the age of globalisation, from other (and, to be precise, Gramscian), point of view, the diverse values and influences articulated by the 'globalising culture' may be interpreted as a crucial factor for a hegemonic rule of global capitalism - based, as Dirlik's statement identified above, on culturally Western values and practices. Hegemony, in Gramscian sense, means leadership which is established through the active consent of major groups in society; consequently, in order to achieve this support, the hegemonic social groups have to accommodate or incorporate interests and cultures which may not be of their own. This 'incorporation' can encompass various spheres of social existence, and does not have to be limited to solely ideological, economic, political or cultural spheres (allowing, once again, for a stable distinction to exist between these). However, the domain of culture, in this line of argument, appears as directly 'structured by the attempt of the ruling class to win hegemony and by the norms of opposition to this endeavor. ... [it is] an area of negotiation, ... within which ... dominant, subordinate and oppositional cultural and ideological values are "mixed" in different permutations' (Bennett, 1986: xv-xvi). Hence it may indeed be possible to state that if globalisation represents a new form of hegemony, articulating through concealment of specific interests and relations of power, and aiming at negotiation rather than direct coercion, than the ways in which the process unfolds in the domain of culture is necessary and appropriate for precisely this 'form' of domination.

With a view to summarize the issues outlined in this section, and to set a ground for the concluding part of the paper, it is worthwhile to stress here again that identification of

globalisation as a hegemonic process, 'negotiating', rather than directly imposing, culturally Western values and practices in the global scope is not to in any sense equate globalisation with 'Westernisation'. Rather, this line of argument is concerned with asymmetries and hierarchies inherent in the undeniably complex and multidimensional process. Cultural globalisation may indeed be 'culturally diverse', influenced by and articulating impulses stemming from various circuits of the world culture rather than representing a one-way flow of 'Western' cultural products; but this 'diversity', far from attributing an even value and importance to different cultural patterns and practices, may itself be viewed as a site on which the hegemonic rule of global capitalism is based. Referring to Dirlik again, 'global capitalism is (and must be) much more fluid culturally than a Eurocentric capitalism' (1997: 522). Hence the 'cultural interpenetration that globalisation brings' (Tomlinson, 1999: 171) can be viewed as determined by, if not resulting from, this need for fluidity of global capitalist dynamics.

DYNAMIC OF COINCIDENCES MULTICULTURALISM, GLOBAL CAPITALISM AND THE 'POST-COLONIAL' CONDITION

It seems possible, then, to put forward a hypothesis that this 'need' of global capitalism for cultural fluidity and diversity is informed by two broad aspects. Firstly, as it was already suggested, the domain of culture appears as one of the most significant spheres in which the hegemonic rule of globalisation is being formulated and shaped. The diverse and complex articulation of different cultural influences and practices, in this context, may be interpreted as 'negotiation' of values stemming from different political and social strata. And this aspect, in turn, may be perceived as forming a 'strategy' that conceals the unevenness of the power relations underlying the process. Also, and perhaps more importantly, the actual form in which this very flow of cultural products and practices - be it from 'western' or 'non-western' origin - is predominantly manifested, is dictated and shaped by the rules of the global market. The diverse cultural influences articulated and mediated by the 'cultural globalisation', are in fact cultural products, commodities, and it is clear which interests are being served by their 'fluidity'. To adopt Dirlik's examples, cultural products as practices from 'hand-made baskets to yogic exercises' are rendered into commodities 'available for global circulation' (1999:160). The above-mentioned emergence of the 'world music', as a distinct genre within the global music industry, might be another example. Hence the complexity of the ways in which globalisation unfolds in the domain of culture, the diversity of cultural influences and practices the process mediates, in the long run, serve for actual economic benefit of the global capitalism. Slavoj Zizek offers an insightful framework for comprehending these processes:

with the direct multinational functioning of Capital, we are no longer dealing with the standard form opposition between metropolis and colonized countries; a global company, as it were, cuts its umbilical cord with its mother-nation and treats its country of origin as simply another territory to be colonized. The final moment ... [after national capitalism and its internationalist/colonialist phase] is the paradox of colonization, in which there are only colonies, no colonizing countries - the colonizing power is no longer a nation-state but the global company itself.
(1999: 215-216)

Subsequently, Zizek goes on, it is obviously no accident that one of the most intensive ideological formations, through which the global capitalism articulates, is the ideology of multiculturalism - or, in his own terms, 'the attitude which, from a kind of empty global position, treats each local culture as the colonizer treats colonized people - as "natives" whose mores are to be studied and "respected"' (1999: 216, Zizek's emphasis). Multiculturalism here is

interpreted as the 'ideal' ideology for global capitalism, for 'just as global capitalism involves the paradox of colonization without the colonizing nation-state metropolis, multiculturalism involves a patronising Eurocentrist distance and/or respect for local cultures without roots in one's own culture' (1999: 216).

What, then, can be said of the emergence of the conceptual formation of 'postcoloniality', circulating in the same historical phase when this 'paradox of colonization' takes place, and denoting a range of aspects from a cultural condition to a distinct academic field? Why is it that the change in the form of the colonizing process – from direct coercion and clear demarcation of the colonized and the metropolis, into the colonial spread of 'uprooted', global capitalism – is marked by the simultaneous formation and significance ascribed to the notion of 'post-colonial'? Or, to put it differently, what does the prefix 'post-' entail here, if it is the process of colonization that governs our era of global capitalism, this time unfolding in an equally 'global' scope?

There are, obviously, no clear-cut answers to these questions – due to, first and foremost, the multidimensionality and heterogeneity of the category 'post-colonial' itself. For each domain in which it circulates – be it the post-colonial 'theory' in the circuits of academic world, and/or the intersections between post-colonialism and 'minority' politics of race and ethnicity - demands careful and nuanced consideration. The matter is further complicated by the diverse meanings the configuration of 'post-colonial' acquires when articulated in relation to different societies and geo-political contexts. In what follows, then, the attempt of answering the questions will be limited to conceptualising the emergence of the category 'post-colonial' as closely connected to, if not determined by, the capacity of globalisation to mediate and 'negotiate' opposing and diverse values into its own interests.

To begin with, it is worth to recall here that a crucial aspect which renders globalisation into 'hegemony' is its mystified articulation, its 'concealment' of underlying power relations and concrete interests, and its capacity to mediate and encompass diverse and fluid cultural values and practices. Perhaps, then, it is possible to theorise the emergence of 'post-coloniality', as a distinct conceptual category, as somehow contributing to making the unaltered colonial basis of globalisation 'invisible'. Perhaps a similar point is made by Dirlik in his identification of a parallel between the ascendancy in cultural criticism of the idea of postcoloniality and an emergent consciousness of global capitalism in the 1980s ... the appeals of the critical themes in postcolonial criticism have much to do with their resonance with the conceptual needs presented by transformations in global relationships due to changes within the capitalist world economy. (1997: 502-503)

And one of the immediate 'needs' of global capitalism – or, maybe, the requirement of its hegemonic strategy - as it was suggested above, is to mediate, negotiate and reflect upon diverse and multiple values and interests, primarily those which constitute apparent and direct resistance and challenge to its colonial roots. The 'parallel' between the emergence of the concept on postcoloniality and the hegemonic structures of global capitalism, of which Dirlik is writing here, is then indeed significant. This very parallel, also, is what explains the factor that 'postcolonial criticism has been silent about its own status as a possible ideological effect of a new world situation after colonialism' (Dirlik, 1997: 503). An example of such possible ideological implications, it might be added, presumably lies in the interrelation between postcolonial discourse and multiculturalism – the prime ideology which constitutes the basis of global capitalism. While an in-depth insight into this point, obviously, requires a far more extensive analysis that it is possible to conduct here, it may be only outlined that 'critical' multiculturalism, subsequently transformed and appropriated by the ideological structures of global capitalism, was largely indebted to and influenced by the post-colonial criticism. As Terence Turner puts it,

the development of multiculturalism followed the revolt against the canon in English and American literary studies and the Eurocentric canon in history (manifested, for example, by the influence of subaltern studies and the concern with colonial and postcolonial resistance to capitalist exploitation and western hegemony) (1994: 415-416).

Hence, it might indeed be possible to assert that post-colonial criticism significantly resonates with the 'ideal form of ideology' of global capitalism – what, in turn, might be a key to comprehend the ways in which globalisation articulates and mediates resistance and challenge directed against its colonial roots. Multiculturalism – or, to be precise, the 'commonsensual' form of the ideological package formulated above by Žižek – may be perceived as one of the central devices through which globalisation manifests its negotiated, hegemonic form of domination. For, on the one hand, multiculturalism apparently challenges colonial Eurocentrism, and may even be perceived as articulating 'post-colonial' values on a wider scale; however, as we have seen, this very rhetoric on cultural fluidity and multidimensionality, in the long run, directly feeds 'back' into the interests of the contemporary structures of hegemony.

Would it be possible to assert, then, that it is this capacity of globalisation to accommodate resisting and opposing values, as reflected in these and many other aspects, which is to be regarded as determining the difficulties of providing systematic and powerful criticism of contemporary forms of colonial rule? (Dirlik, 1997: 523). Or, to rephrase the question, is it these mechanisms which deprive the Subaltern from the ability to 'speak'? (Spivak, 1994: 104). If, as it was highlighted here, the criticism of the past forms of colonialism² may be perceived as appropriated and incorporated in the present 'negotiated' configuration of colonial paradigm, does this leave any space for moving beyond hegemony – even in strictly theoretical and abstract terms?

BY WAY OF CONCLUSION

Once again, any attempt of providing definite answers to these questions would be to oversimplify the complex and multidimensional processes, which were only touched upon surface here. This essay, as it was stated from the outset, was aimed at conceptualising globalisation in relation to specific critical debates on cultural hegemony; and having this distinct framework, in turn, perhaps resulted in treating the issues in a generalised and even straightforward manner. On the other hand, however, maybe this deployment of generalised categories nevertheless fulfilled its primary task, and illuminated the process of globalisation in the dynamics of its hegemonic rule.

It should still be stressed here, that the underlying rhetoric of the text on the incorporation and appropriation of opposing values and discourses into the dominant narrative of global capitalism was not presented here to suggest that the challenge and critique of colonial paradigm, stemming from the 'post-colonial' discourse, was directly 'sanctioned' and 'allowed' by the emerging hegemony. Rather, to repeat once again, what was at stake here was an attempt to unwrap the mechanisms which underlie hegemony in its present configuration, hence the reading of the problems discussed above was conducted from a corresponding critical standpoint. There is, of course, a lot more to be said about the role and status of those discourses which constitute sites of resistance against the hegemonic rule of globalisation – more so, that hegemony is always a process, and never a static and stable configuration of the 'dominant' and 'subordinate' interests and values. This text, then, may be regarded as setting up a rigid framework in moving towards a more nuanced and enriched picture.

15 May, 2001

REFERENCES

- Arrighi, Giovanni and Silver, Beverly E (1999) *Chaos and Governance In the Modern World System*, Minnesota UP.
- Bennett, Tony (1986) 'Introduction: Popular Culture and „the Turn to Gramsci“', pp. xi-xix in Bennett, Tony, Mercer, Colin, Woollacott, Janet (eds.) *Popular Culture and Social Relations*, Milton Keynes: Open UP
- Cortazar, Julio (1987) *Hopscotch*, Pantheon Books: Modern Writers Series
- Dirlik, Arif (1999) 'Place-Based Imagination: Globalism and the Politics of Place', pp. 151-187 in *Review*, Vol. XXII No. 2
- Dirlik, Arif (1997) 'The Postcolonial Aura: Third World Criticism In the Age of Global Capitalism', pp. 501-528 in *Dangerous Liaisons: Gender, Nation and Postcolonial Perspectives*, Minneapolis: Minnesota UP
- Guha, Ranajit (1997) *Dominance Without Hegemony: History and Power In Colonial India*, Cambridge: Harvard UP
- Spivak, Gayatri Chakravorty (1994) 'Can the Subaltern Speak?', pp.66-111 in Williams, Patrick And Christmas, Laura (eds.) *Colonial Discourse and Post-Colonial Theory: A Reader*, New York: Columbia UP
- Tomlinson, John (1999) 'Cultural Globalisation: Placing and Displacing the West', pp. 165-177 in Mackay, Hugh and O'Sullivan, Tim (eds.) *The Media Reader: Continuity and Transformation*, London: Sage
- Turner, Terence (1994) 'Anthropology and Multiculturalism: What Is Anthropology that Multiculturalists Should Be Mindful of It?', pp. 406-425 in Goldberg, David Theo (ed.) *Multiculturalism: A Critical Reader*, Oxford: Blackwell
- Zizek, Slavoj (1999) *The Ticklish Subject: The Absent Centre Of Political Ontology*, London: Verso

ეროვნული სტერეოტიპები საბჭოთა ანეკდოტში

ვაგა ნიჟარაძე, ფსიქოლოგი

Íáíáúáííúé ñoááòñêéé àíáêäîò:
Áðâæíáâ è xàìàââ èâæàò â íáíé ïñòáèè è íàà áâðáè¹

ზოგადად ანეკდოტების შესახებ

ზიგმუნდ ფროიდი ამბობდა, რომ ანეკლოტებისათვის სამი ძირითადი თემა არსებობს: სექსი, საპირფარეშო და პოლიტიკა. რასაკვირველია, ეს თემები არაა შემთხვევითი. ყველა ადამიანის სულის კუნჭულში იმალება არსებული სინამდვილის გადატრიალების, აკრძალვების დარღვევის სურვილი. ყველა საზოგადოებაში არსებობს რიტუალები, წესჩვეულებანი და სხვა მისთანანი, რომლებიც ამგვარი იმპულსებით აღძრული დამაბულობის განმუხტვის საშუალებას იძლევიან. ხოლო თუ ისინი თავის ფუნქციას ვერ აუდიან, დამაბულობა მატულობს და შეიძლება აფეთქებითაც კი დამთავრდეს.

ანეკლოტის ერთ-ერთ მთავარ სოციალურ ფუნქციას შეადგენს ტაბუს დარღვევა, მაგრამ არა ქცევით, არამედ მხოლოდ სიტყვით. სექსი და საპირფარეშო სწორედ ის თემებია, რომელთა შესახებ საჯაროდ საუბარი არაა მიღებული; ხოლო ძალაუფლების კენწეროზე მყოფი პირების სრულ იდიოტებად ან უსინდისო მატყუარებად წარმოჩენა არსებულ წესს არღვევს და ძალაუფლების ილუზიას ბადებს ამ უკანასკნელს მოკლებულ ხალხში.

60-იანი წლებიდან, ანუ ხრუშჩოვის ეპოქაში, სსრკ-სა და ე.წ. სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებში იწყება პოლიტიკური ანეკლოტის არნახული გაფურჩქვნა. უფრო ადრე, სტალინის დროს, ხალხური შემოქმედების ეს ფორმა არქტიკის ყველაზე ნაკლებად ცხელ რეგიონებში მოგზაურობის გარანტიას შეადგენდა და ამგვარად არ ჰქონდა განვითარების პირობები.

შემდეგ კი... ამბობენ, რომ სუკ-ში, სადაც თითქოსდა კარგად ესმოდათ ანეკლოტის „ორთქლგამომშვები“ ფუნქცია, იყო სპეციალური განყოფილება, სადაც ითხზებოდა პოლიტიკური ანეკლოტები. ასე იყო თუ ისე, სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის და ძმთა მათთა შესახებ გესლიანმა შაყირმა ჭეშმარიტად საერთო სახალხო გავრცელება ჰპოვა და ეპოქის სიმბოლოდ იქცა.

„ეროვნული“ ანეკლოტების შესახებ

Tðè æåèàíèÿ òðàíóóæáíèè:
ðþìèà éííüÿèà äí è ñèãàððàòà ïññèå.

მაგრამ არის ანეკლოტების კიდევ ერთი კლასი, რომელსაც ფროიდი არ ახსენებს, თუმცა ხშირად მიმართავს მაგალითებისათვის თავის ცნობილ წიგნში „გონებადამხვილობა და მისი მიმართება არაცნობიერთან“. რა თქმა უნდა, ესაა ანეკლოტები სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა შესახებ. მათი სიუჟეტები ხშირად ისევე სექსს, ტუალეტსა და პოლიტიკას უტრიალებს, მაგრამ ბევრ მათგანში გათამაშებულია უბრალოდ ეროვნული სტერეოტიპი, ზოგჯერ რამდენიმე. ამგვარი ანეკლოტები ყველა ქვეყანაშია გავრცელებული და იუმორის გარდა, საკუთარ სოციალურ ფუნქციასაც ასრულებს: მაღლა წევს თვითშეფასებას, არასრულფასოვნების ან ბრალის კომპლექსს აკომპენსირებს, ხდება დაგროვილი გაღიზიანებისა თუ აგრესიისაგან განტვირთვა მათი სხვა, „არა ჩვენი“ ერის სტერეოტიპულ წარმომადგენელზე გადატანის გზით. ეროვნული ანეკლოტის ეს „ფსიქოთერაპიული“ ეფექტი, რასაკვირველია, მცირეა და თითქმის ყოველთვის შეუმჩნეველი, როგორც მომყოლისათვის, ისე მსმენელთათვის, მაგრამ იგი არის და თავის საქმეს აკეთებს.

ჩუქჩები

Ha äíäííüð ò÷äíèÿð íäèí òàíè ìàðóøààò ñòðíé.
Èíìàíèèð ä ÿðíñòè ìðàò ä ìèèðíðíí. Èç òàíèà
âüèàçààò ÷óé÷à ä ðàäèíøèàìà: - Óíààðèù
èíìàíèèð, øàíèà äíäíðèò!!!

ეროვნული ანეკდოტების აღწერილი ფუნქციების შესაბამისად ირჩევა მათი პერსონაჟებიც, ე.ი. კონკრეტული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. ერთი, პერსონაჟი შეიძლება გახდეს ისეთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც ყველაფერში ჩამორჩება „მთქმელ“ ჯგუფს - კულტურით, განათლებით, ცხოვრების დონით... ასეთ შემთხვევაში როლების განაწილება ცირკის სიტუაციას ემსგავსება: ბავშვი ხარხარებს ჯამბაზის ოინებზე, რომელიც სულელურად გამოიყურება, ყველაფერი ხელიდან უვარდება და მხოლოდ სიბრიყვეს ამბობს; ეს კი მაღამოდ ედება პატარა, ზოგჯერ კი არცთუ პატარა მაყურებლის თვითშეფასებას („მე ხომ ასეთი არა ვარ!“)

სხვა ქვეყნებისა არ ვიცი, და საბჭოთა კავშირში ეს როლი ჩუქჩებს ერგოთ. გარკვეულ დრომდე ჩუქჩები ცხოვრობდნენ თავისთვის, ნადირობდნენ სელაპებზე და ირმებს მწყემსავდნენ. სსრკ-ის დანარჩენმა მოსახლეობამ, უკეთეს შემთხვევაში, იცოდა, რომ ასეთი ხალხი არსებობს, ეს იყო და ეს. და უცებ, 70-იანი წლების დასაწყისიდან ჩუქჩები შემოიჭრნენ ყველა სახლში, ყველა დაწესებულებაში და ყოველდღიურობის ნაწილად იქცნენ. აი, ჩუქჩა ტელევიზორს ღებავს, იგი რომ „ფერადი“ იყოს, აი, ტყეში დაკარგული, მშველელთა მოსახმობად მშვილდს ისვრის, ანდა პასპორტის მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ ახალს ითხოვს, რადგან „ძველი უკვე მოვწიეო“.

რატომ მაინცდამაინც ჩუქჩები, და არა, ვთქვათ, ევენკები ან ხაკასები? ჩემის აზრით, აქ ძირითადი როლი სიტყვა „ჩუქჩამ“ ითამაშა, რომელიც რუსული ყურისათვის თავისთავად ღიმილისმომგვრელად, „ბავშვურად“ ჟღერს.

ერთი სიტყვით, ერთ მშვენიერ დღეს ჩუქჩამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი ეროვნული ანეკდოტების ტრადიციული პერსონაჟების, ებრაელის და ქართველის გვერდით. მართალია, ამ უკანასკნელთა ფუნქცია სხვა იყო.

კიდევ ცოტა თორია

ინგლისელმა ანთროპოლოგმა ვიქტორ ტერნერმა აღწერა საინტერესო ფენომენი, რომელსაც მან „სუსტის ძალა“ უწოდა. იგი შემდეგში მდგომარეობს: ხშირად ხდება, რომ სუსტი, დაჩაგრული თუ დამონებული ეთნიკური ჯგუფი გაბატონებული ჯგუფის თვალში ფარული სიძლიერის ნიშანს იძენს, თითქოს სუსტი ჯგუფი ფლობს რაღაც საიდუმლო ცოდნას, მისტიკურ ძალას, ან კიდევ სხვა რაიმეს, რაც მიუწვდომელია „ძლიერი“ ჯგუფისათვის. კარგი მაგალითია ბოშები, რომელთაც მომავლის განჭვრეტის უნარი მიეწერებათ. საბოლოო ჯამში გაბატონებულ ჯგუფში „სუსტი“ ჯგუფის მიმართ ორმაგი განწყობა ვრცელდება: ერთის მხრივ, ერთგვარი პატივისცემა, ხოლო მეორეს მხრივ გაღიზიანება იმის გამო, რომ „ჩვენ“ ღია ვართ „მათ“ წინაშე, „ისინი“ კი „ჩვენს“ წინაშე დახურულნი არიან. გაღიზიანებისაგან თავის დაღწევა კი შესაძლებელია, თუ მის წყაროს სასაცილოდ წარმოაჩენ. ასე წარმოიშობა მეორე ტიპის ეროვნული ანეკდოტები.

არ უნდა მტკიცება, რომ საბჭოთა კავშირში „გაბატონებულ ჯგუფს“ რუსები შეადგენდნენ; ხოლო ანეკდოტების ყველაზე პოპულარული პერსონაჟები იყვნენ ებრაელები და ქართველები (იყო კიდევ უკრაინული ანეკდოტები, მაგრამ მათი ფსიქოლოგიური ანალიზი მიჭირს, რადგან რუსულ-უკრაინულ ურთიერთობებს საკმარისად არ ვიცნობ).

ებრაელები

Àâðáé - æáíá, ïññèà âèçèòà ê âðà÷ó:
- Òù çíàáøù, Ñàðà, òí, ÷òí ìù ñ÷èòàèè
ñððàñòùð, îèàçàèïñü àñòìé...

ებრაულ ანეკლოტს რუსეთში საკმაოდ ხანგძლივი ისტორია აქვს. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ებრაელები, დისკრიმინაციული კანონების მიუხედავად, თანდათან იკავებენ მნიშვნელოვან ადგილს რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კომერციის სფეროში. მდიდრები კი რუსეთში არ უყვართ, ასე რომ რეაქციამაც არ დააყოვნა. გაჩნდა უამრავი მონაწილე „ებრაელთა მსოფლიო შეთქმულების“ შესახებ (სუსტის ძალა!); ამასთან ერთად ებრაელთა შესახებ ანეკლოტების მოყოლაც დაიწყო. სიუჟეტები ჩვეულ თემებს უტრიალებდა - ცოლ-ქმრული ღალატი, სიდედრი, სკოლა... მაგრამ ამავე დროს აშკარად გამოიკვეთა დომინანტური ნიშანი, რომელიც ებრაელს მიეწერებოდა: მომხვეჭელობა. საინტერესოა, რომ გერმანულენოვან ქვეყნებში, სადაც ებრაელები აგრეთვე არ უყვარდათ, ანეკლოტის პერსონაჟს სხვა უარყოფით ნიშანს მიაწერდნენ, სახელდობრ, მოდიო, ასე ვთქვათ, პირადი ჰიგიენის არცთუ მაღალ დაფასებას (ორი ებრაელის შეხვედრა აბანოში. ერთი ამოიოხრებს: აი, კიდევ ერთი წელიც გავიდა...). კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უსვამს ხაზს კულტურა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს.

მაგრამ დავბრუნდეთ რუსეთში. საბჭოთა პერიოდში რაბინოვიჩს, გასაგები მიზეზების გამო, უკვე აღარ შეუძლია ლეგალური კერძო ბიზნესის წარმართვა. მაგრამ თავის მოწოდებას იგი არ ღალატობს: ეწყობა იმ სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც ფული კეთდება (Àíèñ ñ àâðáéñèè àèòáíðí: - Àèèí, ýòí áàçà? - Àà. - À èòí àíáíðèò? - Èáàíîá. - Ìðñòèòá, ý ìáâðííá ìèáñý ïíâðíí, ì÷àèèí ýòí àíáíáÿ áàçà...).

მაგრამ 60-იანი წლებიდან რაბინოვიჩი ახალ როლშიც გვევლინება, ამასთან მისი ეს ახალი სახე წამყვანი ხდება საბჭოთა ანეკლოტში: ებრაელი ხდება საბჭოთა რეჟიმის, მართალია, პასიური, მაგრამ ფრიად გესლიანი მოწინააღმდეგე, გარდა ამისა, ეროვნული ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის მსხვერპლი (ხრუშჩოვთან მოაქვთ დასამტკიცებლად კანდიდატთა სია მოსკოვის მთავარი რაბინის თანამდებობაზე. - თქვენ გაგიჟდით?! - ყვირის ხრუშჩოვი, - აქ ხომ მხოლოდ ებრაელებია!).

ანეკლოტების ამ სერიაში ებრაელი, როგორც წესი, არათუ არ წარმოადგენს განქიქების ობიექტს, არამედ პირიქით, თვითონ დასცინის პოლიტიკურ თუ სოციალურ რეალობას, ანუ „დადებითი“ პერსონაჟის როლში გვევლინება. ეს გარემოება მიუთითებს, რომ ამგვარი ანეკლოტები თვით ებრაული ინტელიგენციის წრეებში იბადებოდა. ამრიგად, ებრაული პოლიტიკური ანეკლოტი - ეს კიდევ სხვაა, სახელდობრ კი რეაქცია „მლიერის ძალაუფლების“, ამ შემთხვევაში პოლიტიკური რეჟიმის (და არა კონკრეტული ერის) წინააღმდეგ.

ქართველები

ქართველი დგას არბატზე და ფულს ითვლის.

გამკვლელი: - Òíàððèù, èàè ìðíèòè ê ìàçíèâá? - პრახადი, პრახადი, დელომ ზაიმის...

ანეკლოტები ქართველების შესახებ აგრეთვე 60-იან წლებში ჩნდება, ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც საბჭოთა ცხოვრება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. მთავარი ის იყო, რომ საზოგადოებრივი პირამიდის კენწეროზე „ორგანოების“ ადგილი პარტიულმა ნომენკლატურამ დაიკავა. ყველაფერს, მოგეხსენებათ, თავისი ფასი აქვს; ნომენკლატურისათვის ძალაუფლების

საფასური გახდა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარი ლიბერალიზაციის დაშვება. სხვა დათმობათა რიცხვში ხელისუფლება იძულებული გახდა დაეხუჭა თვალები ოფიციალური კანონმდებლობით აკრძალულ კომერციულ საქმიანობაზე. რეჟიმმა თითქოს ქვეშევრდომებთან დადო დაუწერელი ხელშეკრულება: აკეთეთ რაც გინდათ, ფული იშოვნეთ, მაგრამ ძალიან ნუ გახვალთ თავს, და რაც მთავარია, არ გაბედოთ ოფიციალურ იდეოლოგიასა და პოლიტიკაში ჩარევა.

საქართველოში თამაშის ახალი წესები ძალიან სწრაფად და ეფექტიანად შეითვისეს. ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ დიდის გულმოდგინებით იწყო ფულის კეთება; ამასთან, და ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ისინი, ებრაელებისაგან განსხვავებით, არ ერიდებოდნენ სიმდიდრის საჯაროდ დემონსტრირებას. სწორედ ეს გარემოება აღიზიანებდა ყველაზე მეტად „საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეებს“. და ჩნდება პერსონაჟი - გივი ან გოგი, რომელიც არაა დამძიმებული მაღალი ინტელექტით, საშინელი აქცენტი აქვს, რაც ხშირად ხდება სასაცილო გაუგებრობათა მიზეზი; მაგრამ გივის მთავარი თვისებებია დაუოკებელი ლტოლვა ქალებისადმი (შემშლს ქართველი ერთ კვირას უძლებს, წყურვილს - ერთ დღეს, უქალობას - არაუმეტეს ორი საათისა) და ფულით სავსე ჯიბეები. ქართველების შესახებ ანეკდოტებში ხშირად ესმებოდა ხაზი, რომ კერძოდ გივი და მთლიანად საქართველო ცხოვრობენ თავისი, არასაბჭოური წესებით. არა, ანტისაბჭოთა განწყობას ქართველებს არ მიაწერენ; მათ უბრალოდ სხვა ინტერესები აქვთ და ხშირად არ იციან ის, რაც არ შეიძლება არ იცოდეს ყოველმა საბჭოთა ადამიანმა, მაგალითად, მარქსიზმის კლასიკოსთა ან პოლიტიკურის წევრთა სახელები („ბრეჟნევი ეს რომელია, „ვრემიაში“ რომ თამაშობს?“).

საგულისხმოა, რომ 90-იანი წლებიდან, კომუნიზმის დანგრევის შემდეგ, ქართული ანეკდოტების ნაკადი რუსეთში მცირდება, განთავისუფლებულ „ეკოლოგიურ ნიშას“ კი „ახალი რუსები“ იკავებენ. „ახალი რუსი“ ბევრ დეტალში იმეორებს ქართველ პერსონაჟს: იგივე იოლად ნაშოვნი ფული, იგივე ამ ფულის დაუთვლელად ხარჯვა, იგივე გაუთლელობა (Íàèì “ííàúé ðóññéèè” äðóäííó: - Niîððè, èàèîé ÿ äàèñóóè èóíèè çà äââ òññÿ÷è äàèñîâ. - Äòðàè, çà òáèï òí÷í òàèîé-æâ ïðîäàðò çà òðè òññÿ÷è!); აღარაა მხოლოდ მუსუსობა და, რასაკვირველია, აქცენტი. სხვა მხრივ კი ეს ორი პერსონაჟი უმრავლეს შემთხვევაში ურთიერთშენაცვლებადია, განსაკუთრებით თუ ანეკდოტში ფული ფიგურირებს. და ეს გარემოება, სახელდობრ კი სიმდიდრის განქიქება, რაც მისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების მანიშნებელია, ძალზე დამაფიქრებელია: დაუშვებს კი რუსული კულტურა თავის ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებას? ხომ არ განმეორდება 1917 წლის ოქტომბერი, რომელიც, ისტორიკოს იაკოვენკოს სიტყვებით, იყო სხვა არაფერი, თუ არა რუსული კულტურის გლობალური რეაქცია, რომელიც მიზნად ისახავდა დანგრევის პროცესში მყოფი ბაზური ღირებულების აღდგენას; ღირებულებისა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს: საყოველთაო თანასწორობა სილატაკეში...

Äòðàè - ýòì ïðîäàññèÿ, äðóçèí - íáðàç æèçíè, ÷óé÷à - àèàáííç, à ðóññéèè - ýòì ñòäüàà...

გზები, რომლებსაც ვირჩევთ

ნინო დოლიძე

ბიბლია, თავისი მრავლისმომცველობისა თუ საკრალურობის წყალობით, არაერთხელ ქცეულა მხატვრული, ლიტერატურული თუ პოლიტიკური შთაგონების წყაროდ. არ არის

გასაკვირი, რომ დღევანდელ საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი ისევ და ისევ ბიბლიური რემინისცენციებისაკენ გვიბიძგებს.

თავისუფლება უდიდეს იდეალს წარმოადგენს მსოფლიოს ყველა ერისათვის და ყველა ინდივიდისათვის, მიზანს, რომლის მისაღწევად ვიღვტვით, თუ თავისუფალნი არა ვართ და იდეალს, რომლის შენარჩუნებასა და გამყარებას ვცდილობთ მისი მოპოვების შემდეგ. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა ებრაელ ხალხს, როდესაც ისინი გაემიჯნენ ეგვიპტის სახელმწიფოს, დატოვეს საუკუნეების მანძილზე მშობლიურად ქცეული ქვეყანა, შეჩვეული ყოფა და საკუთარი აღთქმული მიწის საძიებლად დაიძრნენ. ბიბლია, ჩვენი აზრით, ფიზიკური სვლის აღწერით ახდენს ებრაელთა სულიერი ლტოლვის ჩანაცვლებას, რაც საშუალებას გვაძლევს, ასეთივე სიმბოლური ჩანაცვლების მეთოდით ჩვენი, თანამედროვე ქართველების მისწრაფება თავისუფლებისაკენ შევადაროთ ებრაელთა 40-წლიან ვოიაჟს უდაბნოში.

რას გვულისხმობთ ცნება “თავისუფლების” ქვეშ, არის ეს სახელმწიფოებრივი თუ პიროვნული თავისუფლება?! - ამ საკითხზე თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებ. შევეცდები მხოლოდ, განზოგადების მინიმალური ხარისხით მშრალი პარალელები გავავლო ქართულ პოლიტიკურ სინამდვილესა და ებრაულ მითოსს შორის.

უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერი მოძრაობა ლიდერის გარეშე განწირულია. სწორედ ასეთი ლიდერი მოიძია ებრაელ ერში და აღსანიშნავია, რომ თავისი ცხოვრების პირველ ეტაპზე იგი არც ერთი თვალსაზრისით არ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რაც ერმა თავის სულიერ თუ ეროვნულ მოძღვრებას შეიძლება წაუყენოს. მოსე, წინასწარმეტყველი, მხოლოდ თავისი ცხოვრების გვიანდელ ეტაპზე ხდება მაღალი ზნეობრივი იდეალების მატარებელი. იგი ღვთის მიერ არის ხელდასმული და მისი კანდიდატურა ერთი წუთითაც არ იწვევს ეჭვს. მაგრამ გავიხსენოთ მისი ახალგაზრდობა (და, რასაკვირველია, გარკვეული პარალელები თავად ამოგვიტივტივდება გონებაში) - მოსე ებრაელია, თუმცა ეგვიპტის სამეფო კარზეა აღზრდილი, მას ეთაკილება კიდევ ებრაელობა, რადგან მისთვის მზე სწორედ ფარაონის ტახტრევიდან ამოდის. მას წინ ბრწყინვალე კარიერა და უზრუნველი ცხოვრება ელის. თუმცა, ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ მოსე მეტნაკლებად მფარველობს თავის თანამომხმეებს, რომლებიც ფარაონის კარზე იმყოფებიან.

როგორც ბიბლიიდან, ისე სხვადასხვა ისტორიული წყაროებიდან შეგვიძლია დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ ის სოციალურ-პოლიტიკური სურათი, რომელიც ამ პერიოდის ეგვიპტეში ჩამოყალიბდა, მისი შიდა მდგომარეობა თუ საგარეო ურთიერთობები. ცნობილია, რომ ქვეყანა აღარ წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს და განვითარებულ, აყვავებულ სახელმწიფოს, იგი დაცემის გზაზეა, რასაც ხელს უწყობს, როგორც შინაგანი ინტრიგები და კონფლიქტები, ასევე ბუნებრივი კატასტროფები (მკბენართა შემოსევა, ეპიდემიების გავრცელება, რაც ბიბლიაშია აღწერილი, სავარაუდოდ, მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ამას). სავარაუდოა ისიც, რომ ამ პერიოდში გარე სამყაროსთან ქვეყნის ურთიერთობათა გაძლიერება, ე. წ. “რკინის ფარდის” რღვევა, დამღუპველი აღმოჩნდა ეგვიპტის კარჩაკეტილი და თვითკმარი სისტემის პირობებში აღმოცენებული იდეოლოგიისათვის, სახელმწიფოს სტრუქტურისათვის, რადგან ღია კარიდან ახალმა, პროგრესულმა იდეებმა დაიწყო ჟონვა. ალბათ ამ პერიოდში გაძლიერდა შოვინისტური ტენდენციებიც ფარაონის კარზე და, ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც მოსეს თავისი ებრაელობა გაახსენეს და ახლადგამომცხვარ კარიერისტს “თავისი ადგილი” მიუთითეს. ჩათრევას ჩაყოლა რომ სჯობს, ეს ყველასათვის ნათელია, მით უმეტეს ისეთი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსისათვის, როგორც მოსე იყო, ჩაყოლას კი - ორგანიზება და სათავეში ჩადგომა. მოსე ეფექტურად იყენებს სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც მთელს ქვეყანაში სუფევს და განსაკუთრებულ ტვირთად აწვება ებრაელ მოსახლეობას, როგორც უღარიბეს ფენას. იგი პოზიციებს იმყარებს თავისი ერის უმაღლეს

სახელისუფლებო ეშელონებში, ხელთ იგდებს საკანონ-მდებლო ხელისუფლებას (10 მცნების დაკანონება), ხოლო თავის უახლოეს გარემომცველ პირებს (ნათესავებს) გადასცემს აღმასრულებელ ხელისუფლებას. ამის შემდეგ მოსე თითქმის განუხორციელებელ მიზანს სახავს (რომელიც ებრაელმა ხალხმა ბოლომდე დღესაც ვერ განახორციელა) და იწყებს საკმაოდ სარისკო პოლიტიკურ თამაშს.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ძლიერი სოციალური მღელვარებისა, ებრაელები სრულ პოლიტიკურ უეცრობას ამჟღავნებენ. რა თქმა უნდა, სწორედ მათ რიგებშია შემზადებული ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც მზამზარეული საფუძველი შეუქმნა მოსეს მოღვაწეო-ბისათვის, მაგრამ ეს მოძრაობა, უფრო “პოლიტიკურ რომანტიზმად” შეიძლება დავახასიათოთ. ერში სუსტადაა გამოვლენილი პოლიტიკური ძალები, რომლებიც მოსეს ერთპიროვნულ ძალაუფლებას და მის სახელისუფლებო პარტიას ჯანსაღ ოპოზიციას შეუქმნიდნენ. ერის პრო-ტესტი ავტოკრატიული მმართველობის წინააღმდეგ ზნედაცემული ორგიებითა და დებოშებით გამოიხატება და არა რეალური პოლიტიკური აქტივობით. ყოველივე ეს ხელს უწყობს კორუმპირებული ფენის გაჩენას, რომელიც ძირს უთხრის თავად მოსეს ავტორიტეტსაც და ნიადაგს უქმნის ერში ნიჰილიზმისა და ირონიული დამოკიდებულების გაჩენას ეროვნული და ტრადიციული ღირებულებების მიმართ. ირყევა ორი უმთავრესი ბურჟი, რომელზედაც მოსე თავიდანვე აგებს თავის მოძრაობას - ალტქმული მიწის ხატი, როგორც მატერიალური კეთილდღეობის სიმბოლო და რწმენა, ერთი მხრივ ღვთის (ფეხს იკიდებს ფეტიშიზმი, ებრაელები დალატობენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ღვთის დაწესებულ 10 მცნებას და ა. შ.), მეორე მხრივ კი საკუთარი ღვთაებრიობის, გამორჩეულობისა. იწყება ერის მორალური და ფსიქოლოგიური დეგრადაცია.

რას აკეთებს ამ დროს ლიდერი, ლიდერი, რომელიც ვერსად გაექცევა თავის მოვალეობას, თუნდაც იმიტომ, რომ უდაბნოშია თავისი ხალხის გვერდიგვერდ?

ჩვენდა გასაკვირად, მოსე პასიურ სტადიაში გადადის და “განჭვრეტს”. იგი თვალს ხუჭავს ყველა იმ უარყოფით მოვლენაზე, რაც ღვივდება ერში და, გარკვეულწილად, უსუსურიც კი ხდება მათ წინაშე. მოსე განჭვრეტს წლების მანძილზე და მხოლოდ მაშინ, როცა ერი, პრაქტიკულად, დაღუპვის პირასაა მისული, მიმართავს ისევ და ისევ ნაცად პოლიტიკურ ხერხს - ღვთაებრივი ძალის, სასწაულის ჩარევისა - რის შედეგადაც ახერხებს ერის ხელახალ კონსოლიდაციას. ასეთი ნაბიჯი გარკვეულ მიზანს ემსახურება - რეალურად, ეს ერთადერთი საშუალებაა მისთვის შერყეული ავტორიტეტის განმტკიცებისა. მოკვდავთა ენაზე ამას პოლიტიკური შანტაჟი ეწოდება - “შე გაჩვენებთ, რა ცუდად იქნებით ჩემს გარეშე, შემდეგ კი, როცა მოვბრუნდები, სიხარულით მიიღებთ ყველაფერს, რასაც შემოგთავაზებთ”. რაში დასჭირდა მოსეს ასეთი ხერხის გამოყენება?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა კიდევ ერთი ფაქტორის გათვალისწინება, რომელიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს - ეს არის დრო. ყველას გვახსოვს, რომ ებრაელებს 40 წელი დასჭირდათ ალტქმულ ქვეყნამდე მისაღწევად. ამას სრულიად განსაზღვრული ახსნა მოუძებნეს ბიბლიის კომენტატორებმა - აუცილებელია გამოიცვალოს თაობები, რათა ერმა თავისუფლებას მიაღწიოს და მისი ღირსი გახდეს, მონობაში დაბადებული თავისუფალი ვერ იქნება. ეს არგუმენტი ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ შევეცადოთ, გავა-ანალიზოთ ეს მომენტი არა ეთიკურ - თეოლოგიური, არამედ პოლიტიკის ისტორიის თვალსაზრისით. ისტორიულად დამტკიცებულია, რომ მარშ-რუტი, რომელიც ებრაელებმა გაიარეს, რბილად რომ ვთქვათ, არ იყო ორმოცწლიანი. დიდი ხნის განმავლობაში მოსეს წინამძღოლობის ქვეშ ისინი “წრეზე დადიოდნენ”. ბუნებრივია, იბადება კითხვა - ხომ არ იყო ეს ხელოვნურად შექმნილი, ე.წ. “გეოგრაფიული” კრიზისი, რომელიც ვილაციის ინტერესებს ემსახურებოდა?

შეგახსენებთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ბიბლიის კომენტატორებს ათასგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს - მოსეს სასჯელი, რომელიც მას ღმერთმა დაუწესა. მოსე განწირულია, იგი უნდა დაიღუპოს მაშინვე, როგორც კი ერს აღთქმულ ქვეყნამდე მიიყვანს. მას ვერასოდეს ეღირსება თავისუფალ და აყვავებულ ქვეყანაში ცხოვრება. მოსემ ეს კარგად იცის და საკმაოდ იაფფასიან ხერხს მიმართავს - სხვადასხვა პოლიტიკური სიმულაციებით დროს ჭიმავს, მარტივად რომ ვთქვათ, იხანგრძლივებს ხელისუფლებაში ყოფნის ვადას. ძნელია, გაამტყუნო ადამიანი ასეთი საქციელის გამო, რადგან მოსეც კი მოკვდავია, ხოლო თავდაცვისა თუ თვითგადარჩენის ინსტინქტი ახასიათებს ყველა მოკვდავს, თუნდაც სხვების კეთილდღეობის ხარჯზე.

თუ ისევ ჩვენს პარალელურ მივუბრუნდებით, ამ შემთხვევაში, ყველაზე დამაფიქრებელ ფაქტორად სწორედ დროის ხანგრძლივობა - 40 წელი წარმოგვიდგება. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ბიბლია საკმაოდ ძლიერი, ავტორიტეტული წყაროა ფსიქოლოგიური კლიშეებისა, რომლებიც ხშირად ფიზიოლოგიურ კანონებსაც კი სჯაბნის და განმაპირობებელ გავლენას ახდენს ცალკეული ინდივიდისა თუ მთელი ერის არჩევანსა და მომავალზე.

იმედს ერთი რამ გვაძლევს - თითქმის 12 წელი ამ კლიშირებული დროიდან უკვე უკან ჩამოვიტოვეთ, ერთი მეოთხედით წინ ვართ ებრაელებზე. მაგრამ ნუთუ ამდენად შეუძლებელია საკუთარ თავში მითოსური აზროვნების დაძლევა, საღი გონების გათავისუფლება სხვადასხვა წანამძღვრებისაგან და საბოლოო მიზნის მისაღწევად უფრო მარტივი, უფრო მოკლე გზების ძიება?

„თუ შენ ცეკვა არ შეგიძლია, ნამდვილი რევოლუციონერი ვერასოდეს იქნები“

ემა გოლდმანი და ანარქიზმის ფილოსოფია

ანარქისტებს ყოველთვის გიჟებად ნათლავდნენ. მათ სახელს ქაოსსა და არეულობას უკავშირებდნენ. ანარქისტები კი, რეალობას უწოდებდნენ ქაოსს. მათი მიზანი იყო 'დელამიწაზე' სამარადისო მშვიდობის მიღწევა. ინდივიდი, მისი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება, ანარქისტების უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა. ისინი ებრძოდნენ სახელმწიფოს, რელიგიას და საკუთრებას, ებრძოდნენ ყველაფერს, რაც შეიძლება უთანასწორობის მიზეზი გამხდარიყო.

ემა გოლდმანი (1869-1940) მეტად საინტერესო ფიგურაა ანარქიზმის ისტორიაში. მას საზოგადოების ტრანსფორმაცია რევოლუციური გზით წარმოედგინა. მთელი ცხოვრება ამ იდეის განხორციელებისათვის იბრძოდა. სულ ახალგაზრდა იყო, როდესაც თავისი ოჯახი მიატოვა (ემა რუსეთში დაიბადა რუსი ებრაელის ოჯახში) და შეერთებულ შტატებში გაემგზავრა ბედისა და თავისუფლების საძებრად. რუსეთის რევოლუციის შემდეგ 20-იან წლებში თავის პირვანდელ სამშობლოს დაუბრუნდა იმ იმედით, რომ ნამდვილი თავისუფლების ქარიშხალგადავლილ რუსეთში ანარქისტული სულის გამარჯვებას იპოვიდა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა. ამერიკაში ყველაზე საშიშ ქალად მიჩნეული გოლდმანი აცხადებდა, რომ რუსეთის რევოლუცია რევოლუციის ანტითეზა აღმოჩნდა. ემას დევნიდნენ რუსეთსა და ამერიკაში. მისი ცხოვრება სავსე იყო მოულოდნელ-ღობებითა და განცდებით.

თავის დროზე მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში, იყო ქალთა უფლებების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დამცველი, რომელ-მაც ჰენრი ფორდზე განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ უარყო ძალადობა, როგორც ბრძოლის მეთოდი და თქვა: “თუ შენ ცეკვა არ შეგიძლია, ნამდვილი რევოლუციონერი ვერასდროს იქნები”. გოლდმანის თანახმად, ხელოვნება არის ყველაზე რევოლუციური გზა, რომელიც ძალისმიერ რევოლუციებს ბევრად სჯობს. მან მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. ის ერთ-ერთი პირველი ქალი იყო, რომელმაც გენდერულ თანასწორობაზე ხმამაღლა დაიწყო საუბარი. ქალი პიროვნებაა და არა სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ობიექტი, აცხადებდა იგი. ადამიანი ვალდებული არ არის ვინმეს ემსახუროს, ეს იქნება სახელმწიფო, რელიგია, საზოგადოება, თუ ოჯახი, ამბობდა გოლდმანი. საზოგადოებრივი აზრი პიროვნებისათვის თავისუფლების მიღწევის ბარიერი არ უნდა გახდეს.

ემა გოლდმანი რადიკალური ცენტრიზმის წარმომადგენელია. მისი იდეების კრიტიკის გარეშე მიღება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მისი აზრები და მიმართებები ჩვენთვის რამდენიმე თვალსაზრისით არის საყურადღებო. გოლდმანისეული ანარქიზმის იდეა, ერთი მხრივ, რადიკალური მემარცხენეობისაგან იღებს საუკეთესოს და, მეორე მხრივ, დემოკრატიული, ლიბერტიარიანული ღირებულებებით საზრდობს. დღევანდელ დღეს, როდესაც ბილ ქლინტონმა, ტონი ბლერმა და სხვებმა საკუთარ ქვეყნებში რადიკალური ცენტრიზმის წარმატებული მაგალითები გვიჩვენეს, ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს ემა გოლდმანის ნააზრევი.

ანარქიზმი

ემა გოლდმანი
თარგმნა შორენა ლორთქიფანიძემ

ხარ განკიცხული, დაწყველილი, შენ არვინ
გისმენს,
ჩვენი ეპოქის საშინელი ტერორი შენ ხარ;
„კვდება წესრიგი“, ყოველ წუთას ეს ხმები ისმის,
სიკვდილის, ომის, მკვლევლობების მოწმე შენა
ხარ!
დაე იყვირონ, არ შესწევთ ძალა ჰპოვონ
სიმათლე,
სიტყვების მიღმა სადღაც იქით გადამალული,
სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა მათ არ იციან,
და აგრძელებენ ბრძენი ბრძობას ამ სამყაროში.
სიტყვა ნათელი, სუფთა, ძლიერი,
ყოველისმომცველი,
უკვე ნათქვამი და სამიზნე ყველა სიკეთის,
სიტყვა მომავლის, სიმშვიდის სიტყვა, სიტყვა
აისის,
იპოვის იგი დღის სინათლეს ქარიშხლის შიშით?
მე ეს არ ვიცი,
მაგრამ ღმერთმა ეს კარგად უწყის,
ანარქისტი ვარ! მე არვის ვმართავ,

და არც არვის დავემონები! ჯონ ჰენრი მაქქეი

ადამიანის ზრდისა და განვითარების ისტორია, იმავდროულად, ყოველი ახალი და ნათელი იდეის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას წარმოადგენს. ტრადიციული ლოგიკიდან გამომდინარე, ძველი არასოდეს თაკილობს ახლის დასამორჩილებლად სასტიკი და ბინძური იარაღის გამოყენებას. თუმცა, საბოლოოდ, ახალი მაინც იმარჯვებს. პროგრესული იდეების რეალიზება ათას სირთულესთან, სიძნელესთან და მძაფრ განცდასთან არის დაკავშირებული. წამების იარაღები ჯერ კიდევ არსებობს. პატიმრის სამოსი და ხალხის რისხვა სულის წინააღმდეგ შეთქმულან, ის კი დაულალავად მიიწევს წინ.

ანარქიზმი სხვა ინოვაციური იდეების ბელს ვერ გაექცევა. იგი, რევოლუციური და უკომპრომისო, უმეცრებასა და ბოროტებას ებრძვის. მას მიზნად სამყაროს რეკონსტრუქცია დაუსახავს, მაგრამ ამავე დროს უწევს იგნორირებულ და წინააღმდეგობრივ მდგომარეობაში ყოფნა.

ანარქიზმზე დაულალავად შეიძლება საუბარი, მას ტომები შეიძლება მიეძღვნას, თუმცა მე ორ ძირითად საკითხს შევეხები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და შევეცდები წარმოვაჩინო ამ მიმდინარეობის უმთავრესი იდეა და არსი.

ანარქიზმთან ურთიერთობაში მისი ოპონენტების მიერ მეტად უცნაური ფენომენი ვლინდება, როდესაც ისინი ამტკიცებენ რომ ეს მიმდინარეობა ყურადღების ცენტრში აქცევს ეგრეთ წოდებულ ინტელექტსა და უმეცრებას. მაგრამ ეს იმდენად უცნაური არ არის, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ყველაფერი ურთიერთმიმართებაში უნდა განვიხილოთ. გაუნათლებელი მასა არ გამოთქვამს პრეტენზიას განათლებასა და ცოდნაზე. ბავშვის მსგავსად, ის უბრალო იმპულსებით მოქმედებს. “რატომ?” - “იმიტომ”. გაუნათლებელი ადამიანების პოზიცია ანარქიზმის ისეთივე ყურადღებით მოპყრობას საჭიროებს, როგორც განათლებული კაცისა.

რა იძლევა ანარქიზმის მიმართ გაჩენილი ეჭვის საფუძველს? პირველ რიგში, მისი იდეალისტური ბუნებიდან გამომდინარე, ანარქიზმი მეტად არაპრაქტიკულ იდეოლოგიად აღიქმება. მეორე, ის ძალადობისა და ნგრევის სიმბოლოდ მიიჩნევა, ამიტომაც საჭიროა, როგორც მდაბალსა და საშუაშ, მას წინ აღვუდგეთ, აცხადებენ ზოგიერთები; ასე, რომ განათლებულიცა და გაუნათ-ლებელი ადამიანიც ყურმოკ-რული ამბების, ან მცდარი ინტერპრეტაციების მიხედვით მსჯელობს და არა ნამდვილად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ოსკარ უაილდი წერ-და, პრაქტიკული მდგომარეობა ან უკვე არსებობს, ან უკვე არსებულ პირობებში ზორცი-ელდება. ანარქიზმის არსი არსებული ცრუ სამყაროს უარყოფაში მდგომარეობს, და აქედან გამომდინარე, ნების-მიერი ისეთი სქემა, რომელიც ეგუება ამ პირობებს, არის არასწორი და გიჟური. პრაქტიკულობის ნამდვილი კრიტერიუმი ის კი არ არის, რამდენად შეუძლია მას არასწორისა და გიჟურის შენარჩუნება. პირიქით, სქემა პრაგმატულია იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია მიატოვოს ძველი დაგუბებული ჭაობი, და რამდენად შეუძლია შექმნას და შენარჩუნოს ახალი სიცოცხლე. ამ კონცეფციიდან გამომდინარე, ანარქიზმი პრაქტიკულ იდეად იქცევა, ყველა სხვა იდეაზე მეტად ის უწყობს ხელს არასწორი და გიჟური ცხოვრებიდან წასვლას და მის მაგივრად, ახალი ცხოვრების შექმნასა და შენარჩუნებას.

ანარქიზმის შესახებ შემაშფოთებელი ისტორიები, უცოდინარი ადამიანის ემოციებთან თამაშის მუღმივი წყაროა. ამ დროს ამ ფილოსოფიის ოპონენტები არც ერთ დამაჯერებელ არგუმენტს არ გვთავაზობენ. აქედან გამომდინარე, ანარქიზმი ერთგვარ საფრთხობელად გამოიყენება

გაუნათლებელი მასისათვის, ისევე როგორც ბავშვებს აწინებენ შავი მონსტრით, რომელიც ყველაფერს ყლაპავს მის გზაზე. მოკლედ, ის წარმოადგენს ნგრევასა და ძალადობას.

ნგრევა და ძალადობა! იცის თუ არა უბრალო ადამიანი, რომ საზოგადოებაში უმეცრება წარმოადგენს ყველაზე დიდ ძალადობას, და რომ სწორედ ამ ნგრევის ძალას ებრძვის ანარქიზმი?.. ჩვეულებრივმა ობიექტელმა არ იცის აგრეთვე ის, რომ ანარქიზმი, რომელიც ბუნების შვილია, ომს უცხადებს არა სიცოცხლისუნარიან უჯრედებს, არამედ იმ არაჯანსაღ წამონაზარდებს, რომლებიც პარაზიტულად იკვებებიან საზოგადოების ხარჯზე. ის სიბინძურისაგან ათავისუფლებს ნიადაგს და დღენიდაგ ზრუნავს ჯანმრთელი ნაყოფის დამკვიდრებისათვის.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ადამიანის ან იდეების დაუფიქრებლად უკუგდება ან განკიცხვა გაცილებით ადვილია, ვიდრე მათზე დაფიქრება. საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული გონების „სიზარმაცე“ ამ თეზისის სისწორეს ამტკიცებს. თუ იდეებს ჩაუღრმავდებით, თუ მათ წარმოშობასა და მნიშვნელობას შევისწავლით, შესაძლოა, ამისათვის გაგვიკიცხონ კიდევც, განაჩენის გამოტანისას კი არაარსებით, ზედაპირულ ცრურწმენებს დაეყრდნონ.

ანარქიზმის წყალობით ადამიანი სწავლობს ფიქრს, იძენს კვლევის უნარს, ანალიზს უკეთებს ყველა წინადადებას. საშუალო მკითხველის გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მე საუბარს ანარქიზმის განსაზღვრებით დავიწყებ.

ანარქიზმი: - ადამიანური კანონის მიერ შეუზღუდავი, თავისუფლებაზე დაფუძნებული ახალი ფილოსოფიაა. თეორია, რომელიც აცხადებს, რომ სახელმწიფოს ყველა ფორმა ძალადობაზე დგას, შესაბამისად, ის არასწორი და ზიანის მომტანი სოციალური მექანიზმია, რომლის არსებობაც არ არის აუცილებელი.

ახალ სოციალურ წესრიგს, რა თქმა უნდა, მატერიალური ბაზა გააჩნია. ანარქისტები ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში, რომ ერთ-ერთი უმთავრესი ბოროტება ეკონომიკური უთანასწორობაა, ისინი ამავე ღროს იმას უსვამენ ხაზს, რომ ამ ბოროტების დაძლევა სოციალური ცხოვრების ყველა ფაზის - ინდივიდუალურისა და კოლექტიურის, შინაგანისა და გარეგანის გათვალისწინებით არის შესაძლებელი.

ადამიანური განვითარების ისტორიის სრულყოფილი შესწავლა ნათელს მოჰყენს ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფ ორ ელემენტს. ამ ელემენტთა გაგებას მხოლოდ ახლა ეყრება საფუძველი. თუ მათ შესაბამის გარემოში მოვათავსებთ, ინდივიდუალურ და სოციალურ ინსტინქტებს შორის ურთიერთმიმართება სრულიად ჰარმონიული იქნება. ინდივიდსა და საზოგადოებას შორის საუკუნეების მანძილზე გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. თითოეული პირველობისათვის იბრძოდა, საკუთარ მნიშვნელობასა და ღირებულებას წარმოაჩენდა და ერთმანეთის უპირატესობებს ვეღარც კი ამჩნევდნენ. ინდივიდუალური ინსტინქტები მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის პიროვნული ზრდის, მისწრაფებებისა და სურვილების რეალიზებისათვის, ხოლო სოციალური ინსტინქტები ურთიერთსიყვარულსა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას უზრუნველყოფს. ინდივიდსა და მის გარემომცველ სამყაროს შორის ბრძოლის ახსნა არ არის რთული ამოცანა. პრიმიტიული ადამიანი, რომელსაც თავის გარშემო არსებული სამყაროს შეცნობა არ ძალუძს, ვერც სამყაროს შეიცნობს. იგი ბრმა და ძალუღ ძალებზე აბსოლუტურად დამოკიდებულია, ისინი კი მას დასცინიან და ჩაგრავენ. აქედან გაჩნდა ადამიანში რელიგიური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ის თავს ზებუნებრივ ძალებზე დამოკიდებულ ჭუჭყის ლაქად მიიჩნევს და მათი მორჩილი ხდება. ბიბლიური ისტორიები თავისებურად ხსნიან ადამიანის ღმერთთან, სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან მიმართებას. მთავარი ლაიტმოტივი ადამიანის არსის ახსნისას იმის მტკიცებაა, რომ ადამიანი არარაობაა, ხოლო

ზებუნებრივი ძალები - ყველაფერი. აქედან გამომდინარე, ღმერთი იაჰვე კაცს მხოლოდ სრული მორჩილების შემდეგ იღებს. ადამიანი საკუთარ თავს ვერასოდეს შეიცნობს, მიუხედავად ყველა ამქვეყნიური წარმატებისა. სახელმწიფო, საზოგადოება და ზნეობის კანონები ერთსა და იმავეს იძლეობენ: ადამიანმა შეიძლება მიწიერი დიდების მწვერვალები დაიპყროს, მაგრამ მან არამც და არამც არ უნდა შეიმეცნოს საკუთარი თავი.

ანარქიზმი ერთადერთი ფილოსოფიაა, რომელიც ადამიანს საკუთარი თავის შეცნობაში ეხმარება. იგი ხმამაღლა აცხადებს, რომ ღმერთი, სახელმწიფო, და საზოგადოება არარსებებია, მათი დაპირებები ამაოა, მათი არსებობა ადამიანის დამონებაში მდგომარეობს. ანარქიზმი სიცოცხლის მთლიანობას ქადაგებს, მთლიანობას ბუნებასა და ადამიანში. ანარქიზმის ფილოსოფია არ უშვებს კონფლიქტს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის. ადამიანი და საზოგადოება ერთმანეთს ავსებს, აცხადებს იგი. მათ გულსა და ფილტვებს ადარებს. პირველი სიცოცხლის არსია, მეორე კი, არსს აძლიერებს. ინდივიდი საზოგადოების გულია, სოციალური ცხოვრების მატარებელი; საზოგადოება კი ფილტვია, რომელიც აძლიერებს სოციალურ ორგანიზმებს, ძალას ჰმატებს გულს.

“ყველაზე ღირებული რამ ამ მსოფლიოში, - წერს ემერსონი, - არის მოქმედი სული. მას თითოეული ადამიანი ატარებს. სწორედ მოქმედი სული შეიცნობს ჭეშმარიტებას, გამოხატავს და ქმნის ახალ ჭეშმარიტებას.” სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდივიდუალური ინსტინქტი სამყაროს ერთ-ერთ დიდ ფასეულობას წარმოადგენს. სწორედ ნამდვილი სული ხედავს და ქმნის ჭეშმარიტებას. იგი სოციალური სულის დასაბამია.

ანარქიზმი ადამიანს დამთრგუნველი ფანტომებისაგან ათავისუფლებს. ანარქიზმი ინდივიდუალური და სოციალური ჰარმონიის არბიტრი და საფუძველია. ანარქიზმი ამ მთლიანობის მისაღწევად ომს უცხადებს ინდივიდისა და საზოგადოების, ინდივიდუალური და სოციალური ინსტინქტების ჰარმონიული შერწყმის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ დამლუპველ გავლენას.

რელიგია ადამიანის გონების საბრძანებელი, საკუთრება, ადამიანის მოთხოვნილებათა საუფლო, სახელმწიფო, ადამიანის ქცევის წარმმართველი, მისი დამონების იარაღი, ერთად წარმოადგენენ ადამიანის დამონების მყარ საფუძველს და იმ საშინელებებს, რაც ამ დამონებას მოჰყვება. რელიგია! როგორ ბატონობს იგი ადამიანის სულზე, როგორ ანადგურებს მას. ღმერთი ყველაფერია, ადამიანი კი არარაობა, ამბობს რელიგია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ არარაობისაგან ღმერთმა ყველაზე დესპოტური, ტირანული, სასტიკი სამეფო შექმნა, სადაც არარაობა და სიბნელე, ცრემლები და სისხლი მართავს ყველაფერს. ანარქიზმი ადამიანს აამხედრებს ამ შავი ურჩხულის წინააღმდეგ. გაარღვიე გონებრივი ბორკილები, თვითონ იფიქრე, თვითონ განსაჯე, დასძლიე სიბნელე, ყოველგვარი ბოროტების დასაბამი; აი, რას უნერგავს ანარქიზმი ადამიანებს.

საკუთრების წყალობით ადამიანი იძულებულია უარი თქვას საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. იყო დრო, როდესაც საკუთრება პრეტენზიას “ღვთიურ უფლებაზე” აცხადებდა. რელიგიის მსგავსად, ის ადამიანს მიმართავდა: “გაწირე და უარყავი საკუთარი თავი, დაემორჩილე! ანარქიზმის სულმა ადამიანს ჰორიზონტები აჩვენა და ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზები ასწავლა. ადამიანი აღდგა, მან სინათლეს გაუსწორა თვალი. მან დაინახა საკუთრების გამანადგურებელი ძალა. დღეს ის მზადაა შეებრძოლოს ურჩხულს.

“საკუთრება ქურდობაა“, ამბობდა დიდი ფრანგი ანარქისტი პრუდონი, თუმცა ამ ქურდობის ჩადენისას მძარცველს არ ელის რისკი და საშიშროება. ადამიანის აკუმულირებული ენერჯების მონოპოლიზებით, საკუთრებამ მას ხელახლა დაბადების უფლება წაართვა და აქცია ღარიბად და განკიცხულად. ადამიანი თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვერ

ახერხებს. დღეს ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტმა კარგად იცის, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე შრომის ნაყოფიერებამ ნორმალურ მოთხოვნას გადააჭარბა. მაგრამ, რას გულისხმობს ნორმალური მოთხოვნა არანორმალური ინსტიტუტების არსებობის პირობებში? სიმდიდრის მიმართ უდიდესი „მადა“ საკუთრების მიერ აღიარებული ერთადერთი მოთხოვნაა. სიმდიდრე ძალაა. ძალა, რომელიც იმონებს, იმორჩილებს, განკიცხავს. ამერიკა ტრაბახობს თავისი შეუზღუდავი ძალითა და უზარმაზარი ეროვნული სიმდიდრით. რაში სჭირდება ამგვარი ძალაუფლება და სიმდიდრე, თუ მისი მოქალაქეები ლუკმაპურს დაეძებენ? ისინი ჭუჭყისა და ნეხვში ცხოვრობენ და უიმედოთა, უსიხარულოთა, უსახლკაროთა და უმიწაწყლოთა არმიას წარმოადგენენ.

საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ, როდესაც ბიზნესში შემოსავალს დანახარჯები კატასტროფულად აღემატება, საქმე წასულია. დღეს მავანს, ამგვარი ვითარება, ეტყობა, კარგად არ ესმის. წლითი წლობით ადამიანების რაოდენობა იკლებს (ზოგი ომში იხოცება, ზოგიც შიმშილისაგან „მშვილობაში“), მცირდება მათი რიცხვიც, ვინც მონაწილეობას სიმდიდრის შექმნასა და დაგროვებაში იღებს. ამერიკას სრული გაკოტრება ემუქრება. განა ეს დანაშაული არ არის? მუშა მანქანის ნაწილად აღიქმება, მისი ნება და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ფოლადისა და რკინის მბრძანებელს ჩაუგდია ხელში. ადამიანს განა მარტო თავისი შრომის შედეგს ართმევენ, არამედ მას თავისუფალი ინიციატივის, ორიგინალურობის, ინტერესის ქონის, ახლის შექმნის სურვილს უქრობენ.

ნამდვილი სიმდიდრე, ერთი მხრივ, მშვენიერი ნივთების დაგროვებაში, მეორეს მხრივ, კი მათი თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობაში მდგომარეობს. იგი ისეთი გარემოს შექმნას გულისხმობს, რომელშიც მშვენიერება გივსებს სიცოცხლეს და გაძლიერებს. მაგრამ, თუ ადამიანი განწირულია, მთელი ცხოვრება ართავდეს ძაფს, მუშაობდეს მაღაროში, აგებდეს გზებს თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ის სიმდიდრეს ვერ შექმნის. სამყარო უსახური და უფერული, ნაცრისფერი და მოსაწყენი ნივთებით აივსება. მათი არსებობა არც სიკვდილია და არც სიცოცხლე, ისინი ორივესთვის მეტად სუსტები და უსუსურები არიან. ზოგისთვის ეს დიდი მიღწევაა. თუ ამგვარად გაავარძლებთ ცხოვრებას, ჩვენი მონური მდგომარეობა მეფის მონების ბედზე უარესი გახდება. ცენტრალიზაცია კლავს სილამაზეს, ჯანმრთელობას, ხელოვნებას, მეცნიერებას; ამ ყველაფერს მექანიკურ გარემოში არსებობის უნარი არ შესწევს.

ანარქიზმის უმთავრესი მიზანია ადამიანს მასში არსებული ყველა ლატენტური და ფარული უნარის რეალიზებაში დაეხმაროს, მას თავისუფლება მიანიჭოს. ოსკარ უაილდი სრულყოფილი პიროვნების განვითარებას მხოლოდ სრულყოფილ და უსაფრთხო გარემოში მიიჩნევს შესაძლებლად. საზოგადოება, რომელშიც ადამიანი თავისუფლად ირჩევს სამუშაოს ტიპს, სამუშაო პირობებსა და თავისუფლად მუშაობს, ადამიანში სრულყოფილი პიროვნების განვითარებისათვის იდეალურ გარემოდ უნდა მივიჩნიოთ. შრომა შემოქმედებაა, თუ იგი ნებაყოფლობითია. მაგიდის გაკეთება, სახლის აშენება, მიწის დამუშავება თავისუფალ გარემოში, იგივეა, რაც ხატვა ხელოვანისათვის და აღმოჩენა მეცნიერისათვის - იგივე შემოქმედებაა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ფორმაციის საფუძველი ნებაყოფლობითი შრომაა, რაც კომუნიზმის პირობებში ვითარდება. ადამიანური ენერჯია თავისუფლად უნდა გადანაწილდეს და შემოქმედებითად უნდა დაიხარჯოს. ასე იქმნება ჭეშმარიტი სიმდიდრე და კეთილდღეობა.

ინდივიდუალური და სოციალური თავისუფლების მტრად ანარქისტები სახელმწიფოს მიიჩნევენ. მას ორგანიზებულ ხელისუფლებად ნათლავენ, სახელმწიფოებრივ კანონსაც უწოდებენ. სახელმწიფოა ადამიანის ქმედების წარმმართველი.

რელიგია, როგორც უკვე აღვნიშნე, გონების ბორკილია; საკუთრება ანუ საგანთა მონოპოლიზება, ადამიანის მოთხოვნილებებს იმორჩილებს. სახელმწიფო კი ადამიანის სულს

იმონებს, ადამიანს ყოველ ნაბიჯს კარნახობს. “ყოველი სახელმწიფოს არსი ტირანიაა“, აცხადებს ემერსონი. არა აქვს მნიშვნელობა ხელისუფლება ღვთიურ უფლებას ემყარება, თუ უმრავლესობის მართვას. მის ძირითად მიზანს წარმოადგენს ინდივიდთა აბსოლუტური დამორჩილება.

რაც შეეხება ამერიკის მთავრობას, დიდი ამერიკელი ანარქისტი დევიდ თოროუ ამბობდა: „სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა ტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკამ საკუთრება ხელშეუხებლად აქცია, იგი შინაგან ერთიანობას ყოველ ნაბიჯზე კარგავს. მას არ გააჩნია ერთი ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა და ძალა. კანონი იოტისოდენა სამართლიანობასაც კი არ შეიცავს. კანონის აღმსრულებელი ადამიანები უსამართლობის აგენტები ხდებიან.“

ასე რომ, სახელმწიფო უსამართლობაა. სახელმწიფო ქედმაღალია და თვითკმაყოფილი. იძლევა ბრძანებებს, ასამართლებს, განაჩენი აღსრულებაში მოჰყავს. ამით კი თავად სჩადის დანაშაულს. ის ადამიანს თავისუფლებას ართმევს. „სახელმწიფოს ერთადერთი მიზანია იმ მიმართულებების დანერგვა, რომელთა დახმარებით შეავსებს ხაზინას და ამოიღებს გადასახადებს.“ მისი უმაღლესი მიღწევაა კაცობრიობის მექანიკურ მექანიზმად ქცევა. ამგვარ გარემოში კაცობრიობის საუკეთესო და უმშვენიერესი თავისუფლებები, რომელთაც მუდმივი მზრუნველობა სჭირდება, თანდათან ხმება, ჭკნება და შრება. სახელმწიფო საჭიროებს გადასახადების გადამხდელ მანქანას, რომელიც დაბრკოლების გარეშე მუშაობს; ხაზინას, რომელსაც დეფიციტი არასოდეს აქვს; და მონოტონურ, მორჩილ, უფერულ, უსულო მოქალაქეებს, რომლებიც ცხვრის ფარასავით მიემართებიან ორ კედელს შორის გაჭრილ გრძელ გზაზე.

ცხვრის ფარასაც შესწევს ძალა აღუდგეს სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეულ ინტრიგებს. ბაკუნინი სახელმწიფოს ინდივიდუალური და სოციალური თავისუფლებების ხელმყოფად მიიჩნევს. მას მიაწერს სოციალური ურთიერთობების დარღვევას, სიცოცხლის სრულ უარყოფას საკუთარი განდიდების მიზნით. სახელმწიფო პოლიტიკური თავისუფლების სამსხვერპლოა, რელიგიური საკუთრებელის მსგავსად, სადაც ადამიანები ეწირებიან მსხვერპლად.

ყველა თანამედროვე მოაზროვნე თანხმდება იმაზე, რომ სახელმწიფო, ორგანიზებული ხელისუფლებაა, და იგი შექმნილია საკუთრებისა და მონოპოლიის დასაცავად. ამ ფუნქციის აღსრულებაში მას ტოლი არ მოეძებნება.

სახელმწიფოსაგან სასწაულის მომლოდინე, ფაბიანისტური საზოგადოების ერთგული შვილი, მწერალი ჯორჯ ბერნარდ შოუც კი იზიარებს იმ აზრს, რომ სახელმწიფოს „უზარმაზარი მანქანა უხეში ძალის გამოყენებით „ატყავებს“ ადამიანებს.“ მისი აზრით, სახელმწიფოს არსებობა უნდა შეწყდეს მას შემდეგ, რაც კაცობრიობა სიღარიბის დამარცხებას შეძლებს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთაც ღრმად სწამთ, რომ სახელმწიფო ბუნებით კანონებს ეფუძნება, რომ ის სოციალური წესრიგისა და ჰარმონიის არსებობას უზრუნველყოფს; ამცირებს დანაშაულსა და „სიზარმაცეს“ - „ბედოვლათობას“. ახლა მე შევეცდები ეს მოსაზრებები ფართოდ გავშალო.

ბუნებითი კანონის არსებობის პირობებში, ადამიანი თავისუფლად და სპონტანურად შეიგრძნობს თავს გარე ძალებისაგან დამოუკიდებლად, ბუნების მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, ბუნებითი კანონებია კვების, სექსის, სინათლის, ჰაერის მოთხოვნილებები ადამიანში. მათ გამოხატვას სულაც არ სჭირდება მთავრობა, კლუბები, იარაღი, ბორკილები

და ციხეები. ამ კანონების მორჩილებას, თუ ამას მორჩილებას დავარქმევთ, მხოლოდ სპონტანურობა და თავისუფალი შესაძლებლობები სჭირდება. სახელმწიფო კი ცხოვრების პირობად ძალადობას მიიჩნევს. ბლექსტონი მართალი იყო, როდესაც აღნიშნავდა, რომ „ადამიანის მიერ შექმნილი კანონები უმოქმედოა, რადგან ისინი ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება.“ ვარშავის მოვლენების შემდეგ, როდესაც ათობით ადამიანი გასწირა სახელმწიფომ, ძნელია ისაუბრო მისი ჰარმონიული მართვის სისტემაზე. ტერორისა და მორჩილების წესრიგი ვერ იქნება უსაფრთხოების გარანტი. სახელმწიფო კი წესრიგის მხოლოდ ამგვარ ფორმას იცნობს. ნამდვილ სოციალურ ჰარმონიას, ინტერესების სოლიდარობა განაპირობებს. საზოგადოებაში, სადაც ყველაფერს ის ფლობს და განკარგავს, ვინც არ შრომობს და, ვინც შრომობს, უქონელია, არ შეიძლება სოციალურ სოლიდარობაზე ვისაუბროთ, მითუმეტეს, სოციალური ჰარმონია წმინდა წყლის მითია ამგვარ ვითარებაში. სახელმწიფო კი აგრძელებს თავის პოლიტიკას, მეტ პრივილეგიას ანიჭებს ისედაც პრივილეგირებულებს და იმონებს უკვე მონებს. სახელმწიფო მთელი თავისი არსენალით, კანონებით, პოლიციით, ჯარისკაცებით, სასამართლოებით, საკანონმდებლო ორგანოებით, საზოგადოების ყველაზე ანტაგონისტური ელემენტების “ჰარმონიზებას“ ახდენს.

დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლის როლი ხელისუფლებისა და კანონის ყველაზე აბსურდულ აპოლოგიად გვევლინება. თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო თავად არღვევს კანონებს, გადასახადების აკრეფით მარცვავს ადამიანებს, ომების წარმოებითა და სიკვდილით დასჯით მკვლელობებს სჩადის, ის ყველაზე დიდი დამნაშავეა.

დანაშაულის ენერგიას მიმართულება არა აქვს. ის გზად ყველაფერს ანადგურებს. ადამიანთა უმეტესობა დღეს აკეთებს იმას, რაც სძულს, საბრალო ადამიანებს აგრესია და დანაშაული ბუნებრივ მოთხოვნილებად გადაექცევათ. ამგვარ პირობებში ყოველგვარი კანონი მათში დანაშაულის ჩადენის სტიმულირებას მოახდენს. თანამედროვე ადამიანის უიმედო ყოფა, სილატაკე, შიში, სულისათვის ბრძოლა დანაშაულსა და დევრადირებას იწვევს, პეტრე კროპოტკინის სიტყვებში ჭეშმარიტება შეიძლება ვიპოვოთ:

“ისინი, რომლებიც ინარჩუნებენ ბალანსს კანონისა და დასჯის მექანიზმების მუშაობით მიღებულ სარგებელსა და გამანადგურებელ ეფექტს შორის; ისინი, რომლებიც მოზღვავებული დანაშაულის შეფასებასა და განსჯას შეეცდებიან დანაშაულის შენიღბვის სურვილით; ისინი, რომლებიც ციხის კედლებში გამოკეტილთა ცხოვრების ამაზრზენობას ვერ ამჩნევენ, საბოლოოდ გვაფიქრებინებენ, რომ სახელმწიფოს მთელი აპარატი უნდა მოისპოს.“

“გაზარმაცებულ“ კაცზე კანონის შემაკავებელი ეფექტის შესწავლა ყურადღებასაც კი არ იმსახურებს, მასზე კანონი არ მოქმედებს. თუ საზოგადოებას პარაზიტების ცხოვრების ხარჯებისაგან გავათავისუფლებთ, სიძლიერის თანასწორად გადანაწილებას შევძლებთ საზოგადოებაში. სიზარმაცე განსაკუთრებული პრივილეგიების, ფიზიკური ან მენტალური ნაკლის შედეგია. წარმოების არაჯანსაღი სისტემის პირობებში წახალისებულია ერთიცა და მეორეც. შრომისადმი ინდიფერენტულობა და შრომის მიმართ დაკარგული სურვილი კი თანამედროვეობის ყველაზე გამაოგნებელი ფენომენია. ანარქიზმი ცდილობს შრომა უფერულობისაგან იხსნას. ის გართობის, სიძლიერის, მრავალფეროვნებისა და ნამდვილი ჰარმონიის მიღწევის საშუალებად აქციოს, ისე, რომ ყველაზე ღარიბმა ადამიანმაც კი მასში დასვენება და იმედი ჰპოვოს.

ცხოვრების ამგვარად მოწყობისათვის სახელმწიფო მთელი თავისი უსამართლობებით, არბიტრის სტატუსით, ზეწოლის მეთოდებით, უნდა მოისპოს. სოციალური ცხოვრების საერთო მოდელი უნდა ჩამოყალიბდეს, ინდივიდუალური და სოციალური განსხვავებებისა და მოთხოვნილებების მიუხედავად. ხელისუფლებისა და სახელმწიფოებრივი კანონების დამხობით, ანარქიზმი ცდილობს ინდივიდს თვით პატივისცემა და დამოუკიდებლობა

გაუღვიძოს. მხოლოდ თავისუფლებაში სწავლობს ადამიანი თავისუფლებას. იწყებს ფიქრს, მოძრაობას. მხოლოდ თავისუფლებაში აცნობიერებს სოციალური კავშირების მნიშვნელობას, რომლებიც სოციალური ცხოვრების უმთავრეს ნაწილს შეადგენს.

რაც შეეხება ადამიანურ ბუნებას: შესაძლებელია იგი შეიცვალოს? და თუ არა, როგორ გააგრძელებს იგი არსებობას ანარქიზმის პირობებში?

საბრალო ადამიანური ბუნება, რამდენი დანაშაულია ჩაღწეული შენი სახელით! ყველა სულელი, მეფიდან დაწყებული, უბრალო პოლიციელით დამთავრებული, ბედავს შენზე ისაუბროს. ადამიანური ბუნების სისუსტეებზე იმაღლებენ ხმას “ჭკვიანი” შარლატანები. განა შეიძლება მასზე საუბარი ციხეში დატყვევებული სულისა და დაჭრილი გულის განცდების შეცნობის გარეშე?

ჯონ ბურომ განაცხადა, რომ აბსოლუტურად უსარგებლოა გალიაში გამოკეტილ ცხოველებზე ყოველგვარი ექსპერიმენტული კვლევის ჩატარება. ტყესა და მინდვრებს მოწვევტილი არსებების ხასიათი, ჩვევები და მათა ტყვეობაში სრულ ტრანსფორმაციას განიცდის. ვიწრო სივრცეში გამომწყვდეული ადამიანის, მუდამ მტირალი ადამიანის შესაძლებლობებზე, განა შეიძლება რამე წარმოდგენა გვექონდეს?

თავისუფლება, ექსპანსია, შესაძლებლობა, მშვიდობა და სიმშვიდე გაგვიკვლევს გზას ადამიანური ბუნების ნამდვილი ხასიათისა და სასწაულებრივი შესაძლებლობებისაკენ.

ანარქიზმი ადამიანის გონების განთავისუფლებას ცდილობს რელიგიისაგან, საკუთრებისაგან მისი სხეულის გამოხსნას ლამობს, ხოლო მისი სულის სახელმწიფოს ჯაჭვებისაგან ხსნას ესწრაფვის. ანარქიზმი იცავს ინდივიდთა თავისუფალი შეკრების უფლებას, სოციალური სიმდიდრის შექმნის, სიცოცხლისაგან ბედნიერების მიღების სურვილის განხორციელების მიზნით. ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს დედამიწასთან შეხების უფლება, უნდა შეეძლოს დატკბეს სიცოცხლის მშვენიერებით მისი სურვილების, გემოვნებისა და უპირატესობების მინიჭების მიხედვით.

ეს ოცნება არ არის. ამ დასკვნამდე მსოფლიოს განათლებული ადამიანები მივიდნენ. თანამედროვე საზოგადოების შესწავლის შედეგად ნათელი გახდა, რომ ინდივიდუალური თავისუფლება და ეკონომიკური თანასწორობა ადამიანში ყოველივე საუკეთესოს განვითარების უპირობო საფუძველია.

რაც შეეხება მეთოდებს: ანარქიზმი, ბევრის წარმოდგენით, მომავლის თეორიაა, რომელიც ღვთიური მისწრაფებების განხორციელების შედეგად იქცევა რეალობად. მაგრამ ის ხომ ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელი ძალაა, ის ხომ ახალ პირობებს ქმნის. ანარქიზმი არ იყენებს რკინის ჯოხის მეთოდს. მეთოდები ქვეყნის გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების მიხედვით მუშავდება, ამ პროცესში ინდივიდუალური და ტემპერამენტული საკითხების გათვალისწინებაც მეტად მნიშვნელოვანია. ტოლსტოის სიმშვიდე სოციალური რეკონსტრუქციისათვის სხვა მეთოდებს მოითხოვს, ბაკუნინისა და კროპოტკინის ვნებებით სავსე შინაგანი სამყაროსაგან განსხვავებით. რუსეთში სხვა ზომების მიღებაა საჭირო, ინგლისი და ამერიკა სხვა მიდგომას საჭიროებენ. ანარქიზმი რევოლუციური სულის მატარებელია. ის ამბობს აწარმოებს ადამიანის განვითარების მტრების წინააღმდეგ. ანარქიზმი სამხედრო წვრთნისა და უნიფორმის წინააღმდეგია, თუმცა, ამბოხის სულითაა გაჟღერებული და ბრძოლას უცხადებს ადამიანური ზრდის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ გამოვლინებას.

“არჩვენები, - ამბობს თოროუ, - შაშისა და ნარდის თამაშითაა, ან მოგივა კამათელი ან არა; თამაშში სარგებელი უნდა ნახოს კაცმა; მაშინაც კი, როდესაც არჩვენებში ხმას სამართლიანობას აძლევს, მისთვის არაფერს აკეთებს.” ეს თოროუს ლოგიკაა.

რა აჩვენა პარლამენტარიზმის ისტორიამ? არაფერი დამარცხების გარდა. ხალხის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების გამოსწორების მიზნით, არც ერთი რეფორმა არ გატარებულა. შრომის პირობების გამოსწორებას მრავალი კანონი ითვალისწინებდა, მაგრამ რა?! თუ ილინოისის მაგალითს ავიღებთ, ყველაზე მეტი კანონი ამ შტატში ქვანახშირის მოპოვების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა, თუმცა სწორედ ეს სფერო განიცდის უკუსვლას. მდაროელთა სოციალური მდგომარეობა უარესდება. ბავშვების შრომის ექსპლოატაცია ყოველდღიურ ცხოვრებას თან ახლავს. აი, რაში გამოიხატება კაპიტალიზმის მიღწევები. ასე აღწევს კაპიტალიზმი თავის ზენიტს.

თუ მუშებს ეყოლებათ თავიანთი წარმომადგენლები სახელისუფლებო ორგანოებში, რისთვისაც სოციალისტი პოლიტიკოსები იბრძვიან, რა შანსები უნდებათ მათ? ადამიანებს აღარაფრის სწამთ, რადგანაც ისინი ყოველთვის მოტყუებულნი რჩებიან. ამის მაგალითი მრავლად გვექონდა. სახელმწიფო თავისი მსახურების ეკონომიკური მბრძანებელია. ხასიათისა და რწმენის სრული დემორალიზაცია მიმდინარეობს. ადამიანებს აბაიბურებენ, ატყუებენ, მათ აღარ სწამთ, მათ ნდობა გაუქრათ პოლიტიკოსების მიმართ. პოლიტიკა სიმუხთლისა და დაბეზლების სფეროდ იქცა.

შეძლებს, თუ არა პატიოსანი ადამიანის გარყვნას პოლიტიკური წისქვილი? შესაძლოა, ვერც კი მოახერხოს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთ ადამიანს შრომის დასაცავად არავითარი ძალა არ ექნება. სახელმწიფო თავის მსახურთა ეკონომიკური ხელმძღვანელია. კარგ ადამიანებს ისლა დარჩენიათ, შეინარჩუნონ პოლიტიკური რწმენა და დაკარგონ ეკონომიკური საყრდენი, ან შეეკრან მბრძანებელს. პოლიტიკური არენა ალტერნატივას არ გვიტოვებს.

პოლიტიკური მმართველები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ბატონობას მასების გულებსა და გონებაზე. ანარქისტები კი მათ წინააღმდეგ ილაშქრებენ, ყოველგვარი კანონისა და შეზღუდვის წინააღმდეგნი გამოდიან. როგორც სტირნერი ამბობდა, ადამიანს იმდენი თავისუფლება გააჩნია, რამდენსაც თავად მოინდომებს. ანარქიზმი პირდაპირ მოქმედებას იყენებს, იერიშზე გადადის; კანონის ყოველგვარ შეზღუდვას, ეკონომიკურს, სოციალურსა და მორალურს უპირისპირდება. მაგრამ ეს დაუმორჩილებლობა არალეგალურია. იგი ინტეგრირებულობას მოითხოვს. მას თავისუფალი, დამოუკიდებელი სულები სჭირდება. ნამდვილ ადამიანებს შესწევს ძალა პირდაპირ იმოქმედონ.

საყოველთაო არჩვენები პირდაპირი მოქმედების გამოვლინებაა. მაგრამ მას ჯერ კიდევ მეფის მანტია აქვს მოსხმული. ამერიკა ჯერ კიდევ ზანგებით ვაჭრობს. ამის გაუქმება პირდაპირი მოქმედებით არის შესაძლებელი. პროფესიული კავშირები, თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრების გლადიატორები, პირდაპირ მოქმედებას უმაღლიან თავიანთ არსებობას. მათ მთავრობები ებრძვიან. ისინი, რომ შეგუებოდნენ დევნას, წასულიყვნენ კომპრომისზე, დღეს განადგურდებოდნენ. საფრანგეთში, იტალიაში, რუსეთში, ესპანეთში, ინგლისში პროფესიულმა კავშირებმა თავისუფალი წარმოებისათვის გააჩაღეს ბრძოლა, აჩვენეს მსოფლიოს მუშათა ძალის უზარმაზარი მნიშვნელობა. გენერალი სტრაბი, მუშათა ეკონომიკური აზროვნების საუკეთესო გამომხატველი, დაცინვის ობიექტს წარმოადგენდა. დღეს გამარჯვების მისაღწევად ყველა ამბობს უნდა გაითვალისწინოს სოლიდარული პროტესტის მნიშვნელობა. პირდაპირი მოქმედება ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით ინდივიდთა გარემოში უნდა განხორციელდეს. ანარქიზმის უმთავრეს მეთოდს მუდმივი ქმედება და სახელმწიფოს წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლა წარმოადგენს ყველგან და ყოველთვის. გამოიწვევს თუ არა ეს რევოლუციას? რა თქმა უნდა. არც ერთი სოციალური ცვლილება

რევოლუციის გარეშე არ მომხდარა. ადამიანებმა ან არ იციან თავიანთი ისტორია, ან ვერ კიდევ ვერ გაუცნობიერებიათ, რომ რევოლუცია აზრის მოქმედებაში მოყვანის შედეგად წარმოიქმნება.

ანარქიზმი აყალიბებს დამოუკიდებელ აზრს და ადამიანის შესაძლებლობებს ფართო ასპარეზს აძლევს. მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, დრამა, ეკონომიკური გაჯანსაღების ყოველი მცდელობა, არსებული უწყესრიგობის წინააღმდეგ მიმართული ყოველი ნაბიჯი ანარქიზმის სულით არის გაჟღერებული. ის ადამიანის სუვერენულობის ფილოსოფიაა. ის სოციალური ჰარმონიის თეორიაა. ანარქიზმი უდიდესი ჭეშმარიტებაა, რომელიც სამყაროს განახლებას ისახავს მიზნად. იგი სინათლის დასაბამია.

პოლიტიკური რეალიზმის სკოლის ჩამოყალიბება

კორნელი კაკაჩია

პოლიტიკური რეალიზმის სკოლის სათავეებთან

საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით XX საუკუნე განსაკუთრებულია. სახელმწიფოთა შორის იდეოლოგიურმა განსხვავებულობამ და ეროვნულ ინტერესთა დაპირისპირებამ თეორიული და პრაქტიკულ-პოლიტიკური ბრძოლების დიდი პერიპეტეიები გადაშალა. ამ პროცესში იხვეწებოდა და თანდათანობით მიმდინარეობის სახით ყალიბდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები და თეორიები. თითოეული მათგანი საერთაშორისო სისტემაში არსებული სინამდვილისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობათა თავისებურ თეორიულ ასახვას ცდილობდა.

პირველი მსოფლიო ომის კატასტროფულმა შედეგებმა ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის ახალი მეთოდების წარმოჩენას. სულ მალე დასავლეთის აკადემიურმა წრეებმა, რომლებიც შოკირებულნი იყვნენ პირველი მსოფლიო ომის შედეგებით, ჩამოაყალიბეს ლეგალისტურ-მორალური (ე.ი. იდეალისტური) მიდგომა, რომელიც ომს განიხილავდა, როგორც უბედურებასა და ცოდვას. იდეალისტური მიდგომა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შესაძლებელია ახალი კონფლიქტების თავიდან აცილება.

იდეალისტები თვლიდნენ, რომ ადამიანები თავიანთი ბუნებით დადებითი მუხტის მატარებლები არიან და ზოგადად მათი მიზანია საკუთარი და სხვათა კეთილდღეობისაკენ სწრაფვა. მათი შეხედულებით, მსოფლიოს ცუდმა სტრუქტურულმა და ინსტიტუციონალურმა მოწყობამ განაპირობა ინდივიდუალურ საწყისებზე ადამიანთა ცუდი ქცევა. ამიტომაც მათ მიაჩნდათ, რომ ომი არ არის გარდაუვალი მოვლენა და იგი განპირობებულია ზემოთნახსენები პირობებით.

იდეალისტები მიიჩნევდნენ, რომ ევროპაში ეროვნული თვითგამორკვევის პროცესების დაწყება მოსპობდა ომის დაწყების ძირითად მიზეზებს. ამიტომაც ისინი მხარს უჭერდნენ იდეას, რომ ყველა ერს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ჩამოეყალიბებინა საკუთარი სახელმწიფო. ისინი ასევე ეწინააღმდეგებოდნენ იმ დროს გაბატონებული ფარული დიპლომატიის მეთოდებს და მოითხოვდნენ ფართო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას საგარეო პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში. აღიარებდნენ რა საერთაშორისო სამართლის პრინციპს, იდეალისტებს მიაჩნდათ, რომ სწორედ საერთაშორისო სამართლის პრინციპების ამოქმედება უზრუნველყოფდა მშვიდობას. ისინი უარყოფდნენ ტრადიციულ ეროვნულ ინტერესებზე

დამყარებულ პოლიტიკას რაც ჩამორჩენილობისა და არაშორსმჭვრეტელობის ნიშნად მიაჩნდათ. ოცნებობდნენ რა შესაბამისი საერთაშორისო ზეეროვნული სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც, მათი აზრით, შეძლებდა საერთაშორისო პოლიტიკაში მორალური და სამართლებრივი პრინციპების დამკვიდრებას, ისინი ძალზე მიუხელოვდნენ უნივერსალური, ე.წ. „მსოფლიო მთავრობის“ ჩამოყალიბების უტოპიურ იდეას. ისე ჩანდა, თითქოს მსოფლიო მთავრობა თავისი ადექვატური სტრუქტურებით წარმატებით გადაწყვეტდა სახელმწიფოებს შორის წარმოშობილ ყოველგვარ დავას. იდეალისტთა ძალისხმევით, სამეცნიერო წრეებში მსოფლიო ფედერალიზმი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მოდური და გავრცელებული შეხედულება, რომელსაც არსებული ქაოსური და უწესრიგო საერთაშორისო ძალთა ბალანსი უნდა შეეცვალა სახელმწიფოთა კეთილ ნებაზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგით.

ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა აზროვნების ორი ახალი სკოლა - ნაციონალ-სოციალიზმი და ბოლშევიზმი, პირველი მათგანი ფოკუსირებული იყო იმაზე, თუ როგორ და რაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული ნაციონალური ძლიერება, ხოლო მეორე, ცდილობდა საკუთარი იდეების ექსპანსიით „მსოფლიო რევოლუციის“ განხორციელებას. სწორედ ეს სამი მიმდინარეობა დომინირებდა საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზში პირველსა და მეორე მსოფლიო ომებს შორის და სამივე მათგანმა მიაღწია განსხვავებულ შედეგებს.

პირველმა მსოფლიო ომმა ყველას დაანახა ტრადიციული ევროპული დიპლომატიის უუნარობა და არაეფექტურობა მსოფლიო წესრიგის შენარჩუნების საქმეში. თუ საერთაშორისო პოლიტიკა აქამდე დიპლომატების ფარული საქმიანობის სფერო იყო, პირველი მსოფლიო ომის სავალალო შედეგებმა ფართო საზოგადოებას ყურადღება მიაპყრობინა ომისა და მშვიდობის მარადიული პრობლემისაკენ. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი აქტიურად მოითხოვდა გლობალური კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მაქსიმალურად შეზღუდავდა ნებისმიერი პოტენციური აგრესორის ამბიციებს. ამასთანავე, თანამედროვეთა თვალში მსოფლიო საზოგადოების აქტიურობა და მჭიდრო საერთაშორისო ურთიერთ-თანამშრომლობა უნდა ყოფილიყო ის გარანტია, რომელიც შეძლებდა თავიდან აეცილებინა ყოველგვარი საფრთხე. ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტით იყვნენ დაკავებული იმ დროის ევროპისა და ამერიკის უდიდესი მოაზროვნეები, რომლებიც ცდილობდნენ გამოენახათ ეპოქის შესაბამისი პრაქტიკული გამოსავალი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელი იყო ომის თავიდან აცილება, თუ შეიქმნებოდა შესაბამისი სტრუქტურები. სწორედ ამ საერთაშორისო სტრუქტურებს უნდა უზრუნველყოთ ომის თავიდან აცილება. უნდა შექმნილიყო ერთა ლიგა, რომელიც წარმოადგენდა ფორუმს, სადაც სახელმწიფოები გადაწყვეტდნენ დავებს, ხოლო ექსტრემალურ სიტუაციაში ისინი ერთად გამოვიდოდნენ რომელიმე აგრესორის წინააღმდეგ, რათა უზრუნველყოთ საყოველთაო მშვიდობა. ყველაფერი ეს იმით დასრულდა, რომ 1919 წ. პრეზიდენტ უილსონის ძალისხმევით შეიქმნა ერთა ლიგა, რომელსაც გლობალური კონფლიქტების თავიდან აცილებით თავისი წვლილი უნდა შეეტანა მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში¹.

კოლექტიური თავდაცვის ეს პრინციპი საჭიროებდა ერთობლივ ქმედებებს და რაც მთავარია, ტერმინ „აგრესორის“ ზუსტ დეფინიციას. მეორე მსოფლიო ომის წინა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ ერთა ლიგა ვერ შეძლებდა ასეთი ფუნქციების შესრულებას. ეს პერიოდი აღსანიშნავია იმითაც, რომ ამავე პერიოდში იწყება დებატები იდეალისტებისა და რეალისტების პირველ თაობას შორის.

ლიბერალიზმისა და ოპტიმიზმის ერა დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც გამოჩნდა, პირველი მსოფლიო ომი მხოლოდ შხეფები იყო იმ ახალ უბედურებათა ტალღისა, რომელიც შემდგომში დაატყდა თავს მსოფლიოს. ნაციონალ-სოციალიზმმა და მისმა ერთ-ერთმა გერმანულმა მიმდინარეობამ ნაციზმმა შეძლო, მობილიზება გაეწია სახელმწიფოს

ეკონომიკური, ინდუსტრიული და ადამიანური რესურსებისთვის, რათა ტოტალურად განემტკიცებინა სახელმწიფო ძლიერება. ნაციონალ-სოციალისტებისთვის ტერიტორიული ექსპანსია და ომები აღიქმებოდა სისტემის უზენაესობის დამადასტურებელ ფაქტორებად. საერთაშორისო ურთიერთობებში მათ ჩამოაყალიბეს ახალი მიდგომა, რომელიც მიიჩნევდა, რომ „ძლიერება იძლევა უფლებას“ და რომ ძლიერ სახელმწიფოებს აქვთ მცირე სახელმწიფოებზე დიქტატის უფლება. გერმანიისა და იტალიის ფაშისტ ლიდერებს მიჩნდათ, რომ ომი გარდაუვალია და, თუ ეს ასეა, საჭიროა ამ ომში გამარჯვება. და მართლაც, ფაშისტური გერმანიისა და იმპერიული იაპონიის ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ განაპირობა მეორე მსოფლიო ომის დაწყება, რითაც საბოლოოდ დაასამარა იდეალისტთა უტოპიური მისწრაფებები, მიეღწიათ მშვიდობისათვის სამართლებრივი ნორმებისა და ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნების მეშვეობით.

მეორე მსოფლიო ომმა ორმოცმეტიწლიანი მსხვერპლით წყალი შეუყენა ერთა ლიგაზე დამყარებულ კაცობრიობის იდეალისტურ მისწრაფებებს. იდეალიზმმა ვერ შეძლო აღებული ვალდებულებების შესრულება და ომის შეჩერება, ყველასთვის ნათელი გახდა, რომ იდეალიზმზე დამყარებული მსოფლიო წესრიგი უტოპიური იყო. მწარე სინამდვილე ახალ ხედვას, ახალ მიდგომას მოითხოვდა.² სწორედ ამ დროს ასპარეზზე გამოჩნდა პრაგმატულ მკვლევართა ახალი თაობა, რომლებმაც ზურგი აქციეს უფროსი თაობის იდეალისტურ ილუზიებს. აზროვნების ამ ახალი სკოლის წარმომადგენლებმა, რომლებმაც საკუთარ თავს „რეალისტები“ უწოდეს, საბოლოოდ უარყვეს დიპლომატიაში აქამდე გაბატონებული იდეალისტური შეხედულებები.

თუმცა პოლიტიკური რეალიზმი, როგორც თანამედროვე პოლიტიკის პრობლემებთან მისადაგებული დოქტრინა, სცენაზე მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოვიდა, იგი სწრაფად ჩამოყალიბდა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა გავლენიანი მიმართულება. საინტერესოა, რომ რეალიზმი, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, ძირითადად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა და საკუთარი განვითარების პროცესში მრავალი ფორმა შეიძინა.

რეალიზმი წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტურ მიმდინარეობას. ის საერთაშორისო ურთიერთობებს აღწერს, როგორც ძალაუფლებისთვის ბრძოლას სხვადასხვა ინტერესების მქონე სახელმწიფოებს შორის და, საზოგადოდ, პესიმისტურად უყურებს კონფლიქტებისა და ომების აღმოფხვრის პერსპექტივას. რეალიზმმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ცივი ომის პერიოდში, რადგან იძლეოდა ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ძლიერ არგუმენტებს ომებისა და ალიანსების ხასიათზე, იმპერიალიზმზე, საყოველთაო თანამშრომლობის წინააღმდეგობებზე და სხვა საჭირობოროტო საკითხებზე.

რეალიზმის თავდაპირველი ფორმულირება ეკუთვნოდათ ომამდელ და ომისშემდგომი პირველი წლების ისეთ ავტორებს, როგორებიც იყვნენ თეოლოგი რაინჰოლდ ნიბური, დიპლომატი ჯორჯ კენანი და საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი ჰანს მორგენტაუ; სწორედ ამ უკანასკნელის სახელმძღვანელომ საერთაშორისო ურთიერთობების თემაზე, ყველაზე დიდი ზეგავლენა იქონია ამერიკელთა საგარეო პოლიტიკურ აზროვნებაზე ცივი ომის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ მორგენტაუს ცნობილმა ნაშრომმა „ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის“ მის სიცოცხლეში ხუთ გამოცემას გაუძლო, მეექვსე კი კენეტ ტომპსონმა გამოსცა უკვე მისი გარდაცვალების შემდგომ.

პოლიტიკური რეალიზმის სკოლის დაფუძნება ასევე განუყოფელია ისეთი ავტორიტეტების სახელებისაგან, როგორებიც არიან არნოლდ ვოლფერსი, ფრედერიკ შუმანი, რობერტ სტრაუს-ჰუკე, ნოკოლას სპაიკმენი, ფრანგი რაიმონ არონი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ

თითოეულ მათგანზე დიდი გავლენა იქონია ცნობილი ბრიტანელი მეცნიერის ედვარდ კარის განხილულმა ნაშრომმა „ოცწლიანი კრიზისი, 1919-1939: საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლის შესავალი“, რომელიც რეალიზმის საფუძველთა საფუძველად არის აღიარებული.

მაგრამ რეალიზმის ყველაზე აშკარა ქომაგად უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ჰენრი კისინჯერი მოგვევლინა. კისინჯერმა, როგორც სახელმწიფო მდივანმა, თავის საბოლოო მიზნად დაისახა უილსონიანური ლიბერალიზმისგან ამერიკული საზოგადოების „განხილვა“ და მისი შემობრუნება უფრო „რეალისტური“ მიდგომისაკენ, რაც მან უდავოდ მოახერხა.³ სწორედ რეალისტური მიდგომა ახასიათებს კისინჯერის ბევრი სტუდენტისა და მიმდევრის აზროვნებას და შემდგომში, როცა თავად კისინჯერს ძველი თანამდებობა უკვე აღარ ეკავა, სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ ამერიკის საგარეო პოლიტიკის კურსს. სწორედ მათი ძალისხმევით საუკუნის მეორე ნახევრისთვის რეალიზმი გახდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ყველაზე გავრცელებული შეხედულება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ რეალიზმი არ წარმოადგენს მხოლოდ ერთ თეორიას და ცივი ომის შემდგომ, მან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. კლასიკურ, ანუ როგორც შემდგომში მათ ვუწოდებთ, პოლიტიკურ რეალისტებს მორგენტაუსა და ნიბურის სახით სჯეროდათ, რომ სახელმწიფოებს, ისევე როგორც ადამიანებს, გააჩნიათ ბუნებრივად თანდაყოლილი სხვებზე დომინირების ინსტინქტი, რომელიც მათ ომებისკენ უბიძგებს. მორგენტაუ ხაზს უსვამდა კლასიკური, მულტიპოლარული და ძალთა ბალანსის სისტემის უპირატესობას და ბიპოლარულ მეტოქეობას საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის საშიშად მიიჩნევდა.

ამის საწინააღმდეგოდ კენეტ უოლცის მიერ გაუმჯობესებულ-დახვეწილი „ნეორეალისტური“ თეორია უარყოფს ადამიანური ბუნების მნიშვნელობას და ძირითადი აქცენტი გადააქვს საერთაშორისო სისტემის ეფექტსა და გავლენაზე. უოლცის საერთაშორისო სისტემა მოიცავს რამდენიმე ძლიერ სახელმწიფოს, რომელთაგან თითოეული გადარჩენაზეა ორიენტირებული. ვინაიდან თვითონ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია (ე.ი. არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც დაიცავს სახელმწიფოებს ერთმანეთის ხელყოფისაგან), თითოეულმა სახელმწიფომ უნდა მოახერხოს გადარჩენა საკუთარ ძალებზე დაყრდნობით. უოლცი ამტკიცებს, რომ ეს პირობები აიძულებს შედარებით სუსტ სახელმწიფოებს დააბალანსონ შედარებით ძლიერი სახელმწიფოები და მორგენტაუს საპირისპიროდ ამტკიცებს, რომ ბიპოლარულობა უფრო სტაბილურია, ვიდრე მულტიპოლარულობა.

რეალიზმის მნიშვნელოვან მოდერნიზაციას წარმოადგენს „თავდაცვითი“ (ეფენსე) და „თავდასხმითი“ (ოფენსე) თეორიები, რომლებიც სამეცნიერო ხმარებაში შემოიტანეს რობერტ ჯერვისმა, ჯორჯ ქუესტერმა და სტეფან ვან ევერამ. ეს მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ომის დროს სახელმწიფოებს ადვილად შეუძლიათ ერთმანეთის დამარცხება. ისინი აღნიშნავენ, როდესაც თავდაცვა უფრო ძლიერია, ვიდრე თავდასხმა, უსაფრთხოება უფრო ნაყოფიერია, ამ დროს გაფართოების სტიმული მცირდება და უფრო თანამშრომლობა მოსალოდნელია. იმ შემთხვევაში, როდესაც თავდაცვას გააჩნია რაიმე უპირატესობა, სახელმწიფოებს შეუძლიათ მოახდინონ არჩევანი თავდასხმითი ხასიათის და თავდაცვითი ხასიათის იარაღებს შორის, ამის შედეგად სახელმწიფოებს შეუძლიათ შეიძინონ ისეთი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთარ თავდაცვას სხვა სახელმწიფოებისაკენ მიმართული მუქარის გარეშე, რაც ამცირებს ანარქიის გავლენას.

„თავდაცვითი“ თეორიის მიმდევარი რეალისტები თვლიან, რომ სახელმწიფოები მხოლოდ გადარჩენისთვის იბრძვიან და ზესახელმწიფოებს შეუძლიათ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა გამაწონასწორებელი ალიანსებისა და თავდაცვითი სამხედრო პოზიციების

ჩამოყალიბებით. მნიშვნელოვანია, რომ კენეტ უოლცს და სხვა ნეორეალისტებს სჯერათ, რომ აშშ-ის უსაფრთხოება უფრო დაცული იყო ცივი ომის პერიოდში, ვიდრე ახლა. “თავდაცვით” რეალისტებს- უოლცის, ვან ევერას და ჯეკ სნაიდერის სახით მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოებს თითქმის არ გააჩნიათ სამხედრო გზით დაპყრობის შინაგანი ინტერესი და ამტკიცებენ, რომ ექსპანსიის ხარჯები გადაწონის მიღებულ სარგებელს, ანუ ექსპანსიის ხარჯები ვერ ფარავს საკუთარ თავს. მათ საპირისპიროდ “თავდასხმითი” ტიპის რეალისტები- ჯონ მერშაიმერი, ფარიდ ზაქარია და ერიკ ლევი ამტკიცებენ, რომ დაპყრობის შედეგად მიღებული შემოსავალი ბევრად აჭარბებს მისთვის გაღებულ დანახარჯებს. ამის დასამტკიცებლად მათ მოჰყავთ ისეთი ისტორიული მაგალითები, როგორცაა ფაშისტების მიერ ევროპის ოკუპაცია და საბჭოთა ჰეგემონია აღმოსავლეთ ევროპაში, როდესაც დაპყრობით მიღებულმა მოგებამ გადააჭარბა დანახარჯებს.

ზოგადად რომ შევაჯამოთ, ცივი ომის დამთავრების შემდგომ, რეალიზმი დაშორდა კლასიკური რეალისტების ფუძემდებლურ პრინციპებს და მათგან განსხვავებით უფრო ოპტიმისტური ხასიათი შეიძინა.

მასობრივი წესრიგი და არსებობის უზრუნველყოფა

მანანა ცირამუა

სადაცაა XXI საუკუნის ომი დაიწყება. ამერიკამ ტერორიზმს მსოფლიო დაუპირისპირა, სტატისტიკოსები, ეკონომისტებისა არ იყოს, ითვლიან ციფრებს. ფილოსოფოსებიც ალბათ არ სდუმან და ეგოტიატორ - ების პირით ამბობენ: “შეპარატე ტჰე ეოპლე ფრომ ტჰე რობლემ”, ვინაიდან თქვენ საქმე გაქვთ არა აბსტრაქტულ “მეორე მხარის” წარმომადგენლებთან, არამედ ადამიანებთან. მათი ემოციები, გამოწვეული სხვადასხვა ფასეულობებით, მსოფლმხედველობით, წინასწარ გაუთვლელია. ასე ხარ შენც. თანხმობისაკენ სვლა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რათა მიაღწიო ორმხრივ დაკმაყოფილებას. მაგრამ გაურკვევლობამ, ერთის სათქმელის ვერგაგებამ შეიძლება უკურეაქცია გამოიწვიოს და რაციონალურმა განმარტებებმა შეუძლებელი გახადოს თანხმობა. ამრიგად, მოლაპარაკებას ჩაშლის საფრთხე ემუქრება.

ფსიქოლოგები და ფსიქიატრები ამაყად დააბიჯებენ ნიუ-იორკის ქუჩებში “ფუნქციონალური დისოციაციის” განკურნების რეცეპტით ილიაში და დაზარალებულებს ჰპირდებიან საწყისი მდგომარეობის აღდგენას. ისინი პაციენტებს მიზნად სინთეზს უსახავენ (როგორც ამას იუნგი, მედერი, სტოკერი და კრეჩმერი უწოდებენ), ე. ი. ჰარმონიის მიღწევას, როდესაც იქმნება სრულყოფილი, სტრესებისაგან გამოთავისუფლებული, ბალანსირებული პიროვნება.

CNN კი ატრიალებს ერთსა და იმავე კადრს: თვითმფრინავი მიზანმიმართულად უახლოვდება ამერიკის ფინანსური ძლიერების სიმბოლოს, გაკვეთს შუაზე და ოკეანეში ენარცხება. ალბათ საჭე დისტანციურია და თვითმფრინავი - ჰოლივუდის მაკეტი. კვამლი კი პიროტექნიკოსების საუკეთესო გუნდის მორიგი შედეგია!

ადამიანი, როგორც ბიოლოგიური ქმნილება, მოგესხენებათ, თვითგადარჩენის ინსტინქტის მატარებელია, იგი სტრესულ სიტუაციებში ხშირად კარგავს თვითკონტროლს, ან, უკეთეს შემთხვევაში, წარბს მაინც იხრის. ასე პირდაპირ წასვლა სიკვდილზე რთული ტექნიკის

კონტროლის პარალელურად და თანაც გეზის ასე გამართული, სწორხაზოვანი სიზუსტით, მის ტვინს არ ძალუძს!

მაგრამ, თურმე, ასეც ხდება. თუ ახალი დროის რაციონალისტურ ფილოსოფიას დაუჯერებთ, ადამიანის ემპირიული რეალობის აღწერის პარალელურად შესაძლებელია აღიწეროს “ზოგადი შემეცნებაც”, სადაც “მე” კარგავს ინდივიდის ემპირიულ განსაღვრებას, სწრაფვას საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ, საფრთხის თავიდან აცილებისაკენ, უარს ამბობს თავისი მომავალი არსებობის უზრუნველყოფაზე. “მე”-ს დაკარგვა ამ დროს ხდება ბუნებრივ, ბიოლოგიურ დონეზე. იგი გაიგივდება სხვა “მე”-ებთან “ზოგადი შემეცნების” ზეინდივიდუალურ საწყისებზე, ტრანსცენდენტური სუბიექტივიზმის ფარგლებში და შესაძლებელს ხდის ობიექტური ყოფიერების არსებობას. ასეთ მდგომარეობას ნეოკანტელებმა “მე”-ს მეორე ეტაპი უწოდეს (“*Ichheit*”), მდგომარეობას, როდესაც “მე” აღიჭურვება კატეგორიული ხერხებით, რათა თავი დააღწიოს ყოფით დონეზე “მე”-სთვის დამახასიათებელ ბუნებას.

როგორ აღწევს ადამიანი ამ მდგომარეობას, ან რატომ?

ეკრანზე გაჩნდა ბოსტონის აეროპორტის დამკვიდრებული კამერით დაფიქსირებული კადრები: ადამიანები, რომლებიც ჩვეულებრივი მასიდან არაფრით გამოირჩევიან. მათი სიარული, მიხრამოხრა, მხერა არ იქცევს ყურადღებას. ეჭვს მხოლოდ ჩანთა ბადებს (აქსესუარი მხოლოდ), რომელიც წესით ბოსტონ-ნიუ-იორკის თვითმფრინავის პილოტს არ უნდა ეკიდოს მხარზე. ეს ის არაბია, რომელიც უკვე მზადაა თავი დასდოს სამსხვერპლოზე. მისი შინაგანი მდგომარეობა, გამოხატულია - *Ichheit*, კი არ ხდის მის პორტრეტს პოპულარულს, არამედ უადგილო ადგილზე გამოშვებული უტილიტარული დანიშნულების საგანი, რომელიც ნებისმიერი მგზავრის მხარზე შეუმჩნეველია.

რაზე ფიქრობდა იგი, ან რას გრძნობდა? ისტორიას ახსოვს თავგანწირვის უამრავი მაგალითი, მაგრამ დღევანდელი მასშტაბები დაუჯერებელია: 48 მილიონი თალიბი, იგივე კამიკაძე და იგივე ტერორისტი! ყველა ისლამისთვის! თუმცა სუ!!! ამაზე ნიუ-იორკში არ ლაპარაკობენ.

უპრიანია ვილაპარაკოთ ფროიდზე, რომელიც ინდივიდს სამ სტრუქტურულ ელემენტად ყოფს: 1. “იდი” - ფსიქიკური ენერგიის ბაზა, ყველა ძალების მატრიცა. 2. “ეგო” - აღმასრულებელი, რადგანაც “იდის”-თვის მოქმედებს და თანაც აკონტროლებს, რომელი ინსტინქტი კმაყოფილდება და რაგვარად; 3. “სუპერ ეგო” - ტრადიციულ ფასეულობათა, იდეალთა გარე წარმომადგენელი, კონტროლიორი, დამყარებული წახალისებისა და დასჯის სისტემაზე.

ეს განსაზღვრება პრიმიტიულ დონეზეც კი დასაშვებს ხდის სქემატურად “ზოგადი შემეცნების” განხორციელების საშუალებას. “ეგოს” და “სუპერ ეგოს” შეუძლიათ გახსნან “იდის” ძალები, წარმართონ სოციალურად დაკანონებული ნორმებით, ოღონდ მათ (“ეგოსა” და “სუპერ ეგოს”) სჭირდებათ ძლიერი სისტემატური გამლიზიანებელი, თაობებით გადმოცემული სულისკვეთება, ქვე- და ზე- ცნობიერების (როგორც ამას იუნგი იტყოდა) ცალმხრივი წარმართვა და შესაძლოა “წმინდა ომიც” ნორმად იქცეს.

სიტყვამ მოიტანა და იუნგიც სამ ელემენტს გამოყოფს ინდივიდუალურ სტრუქტურაში: 1. “ეგო” - ტვინის ცნობიერი ნაწილი, მეხსიერების, აზრის და შეგრძნების სფერო; 2. “პერსონალური ქვეცნობიერი” - დავიწყებას მიცემული ან პერსონალური გამოცდილებიდან უგულებელყოფილი, საჭირო მომენტამდე ჩრდილში მდგომი და 3. “კოლექტიური ქვეცნობიერი” - ისტორიული და პრე-ისტორიულად მემკვიდრეობით მიღებული არქეტიპები,

რომლებიც იზოლირებულნი არ არიან ერთმანეთისაგან. ისინი ურთიერთქმედებენ და ვლინდებიან მითოსში, რიტუალში, “ნეუროტიც ანდ პსყცპოტიც სუმპტუოუს ანდ წორკს ოფ არტ ცონტაინ ა გრეატ დეალ ოფ არცპეტყპალ მატერიალ ანდ ცონსტიტუტე ტჰე ბესტ სოურცე ოფ კნოწლედეგ რეგარდინგ არცპეტყპეს.”

ამრიგად, ცნობიერის და არაცნობიერის ჩამოყალიბებაში მრავალსაუკუნოვანი გარე ფაქტორები არქეტიპებად იძირებიან. რელიგია ფსიქიკის ფორმირების აპრობირებული იარაღია, რომელიც ცდილობს გააფართოოს თავისი მოქმედების არეალი, შემოიკრიბოს ახალი ძალები. იგი მანიპულირებს რწმენით, რომელიც მოიცავს ადამიანს. რწმენა არ უთანაბრდება გარკვეულ შინაარსსა თუ ღოგმატს. რწმენა არის ის, რაც ადავსებს ადამიანის ძირეულ, სანუკვარ გრძნობებს, ამოძრავებს, გამოჰყავს საკუთარი “მე”-ს შესაძლებლობებიდან და აერთიანებს ყოფიერების საწყისებთან. რწმენის მიღწევა მხოლოდ ისტორიულ ფორმაშია შესაძლებელი და ცრუობს მაშინ, როდესაც თავის თავს თვლის ერთადერთ, ყოვლის გამომრიცხავ ჭეშმარიტებად ყველა ხალხებისათვის.

ცალკეულ მორწმუნეებს აერთიანებთ ერთობის საიდუმლო. პოტენციურ მეტოქეთა შორის კი მათი ყველაზე დიდი მეტოქე ნიჰილიზმია - ურწმუნოების უფსკრული. ტერორისტი დააბიჯებს ცინიზმით, სიძულვილით, მომხვეჭელობით დაბინძურებულ ქალაქში. მის გარშემო ადამიანებს საკუთარი სასიცოცხლო ძალებისა და ინსტინქტების უშუალო ხელმძღვანელობის სრული ილუზია აქვთ. ისინი გაცნობიერებულად ადგანან ნიჰილიზმის გზას - მთავარი მხოლოდ დოლარის კურსია, ბირჟის მორბენალი სტრიქონი, წამი. ცათამბჯენებზე ფანჯრები ავტომატურად ირეცხება, შრება, მზეზე პრიალებს. არისტოტელე კი ამბობს, რომ ადამიანს შეუძლია იყოს მხოლოდ რაღაცით მეტი ან ნაკლები, ვიდრე ცხოველი. თუ ადამიანი ამას უარყოფს, რათა იცხოვროს ცხოველის მსგავსად ბუნების კანონებით, იგი გაცნობიერებული ნიჰილიზმის გზას დაადგებაო.

ეგზისტენციალისტებისათვის ადამიანის არსება არ იწურება ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური გამოკვლევებით, იგი განიხილება არა უბრალო არსების მსგავსად, რომელიც ხელმძღვანელობს ინსტინქტებითა და განსჯით, არამედ როგორც არსება, რომელიც ამდლდება თავისი საზღვრებიდან: “იგი მონაწილეა ყოვლისმომცველის, იდეის, ვინაიდან არის სული, რწმენა და ამდენად არის ეგზისტენცია”.

მაგრამ შეცდა არააბი. ადამიანს არ შეუძლია რწმენის გარეშე ცხოვრება. ნიჰილიზმი, როგორც რწმენის საწინააღმდეგო პოლუსი, არსებობს შესაძლებლობებთან შეფარდებით. იგი უარყოფს ერთ რწმენას, მაგრამ აღიარებს მეორეს. ყოველივე ის, რასაც დასავლელი ხალხი აკეთებს - იქნება ეს დემოკრატია, მსოფლიო წესრიგი, გლობალიზაცია თუ სხვა, ხდება არა რაციონალური შემეცნებისა და ინსტინქტების ზემოქმედებით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა რწმენის საფუძველზე. ჯერ კიდევ XX საუკუნის შუა წლებში დაიწყო ლაპარაკი ორი მიმართულებით: “მსოფლიო იმპერია” თუ “მსოფლიო წესრიგი”.

კარლ იასპერსი “მსოფლიო იმპერიის” ერთი ხელისუფლების მიერ შექმნილი მშვიდობის მოძალადეობრივ ხასიათზე ლაპარაკობს, ვინაიდან მის ფორმულირებაში ტოტალურ დაგეგმარებასა და ტერორს ხედავს. “მსოფლიო წესრიგი” კი უფრო “მსოფლიო ფედერალიზმად” ესახება, როდესაც მხარეები კანონიერი შეთანხმების საფუძველზე პროცედურული გზით ამტკიცებენ უმრავლესობის აზრს უმცირესობათა გათვალისწინებით, საერთო უფლებების გარანტიის ეგიდით. ამის გამო მსოფლიო წესრიგისაკენ მიმავალი გზა ძლიერთა თვითშეზღუდვის ხარჯზე შეიძლება იქნეს დამყარებული, რაც ასევე აბსოლუტური სუვერენიტეტის დათმობას და სახელმწიფოს ძველი განსაზღვრების გადახედვას მოითხოვს.

გუშინდელი თვალსაწიერიდან ყოველივე ეს უფრო რეალისტურად გამოიყურებოდა. დღეს კი მთავარი ამოცანაა არ აღმოვჩნდეთ პირისპირ ძალათა შეტაკებასთან. ამერიკა ცდილობს გააგრძელოს მოლაპარაკება, მიაღწიოს შეთანხმებას, გამოიცნოს მოთმინება. იტალიელი ფსიქოლოგი ასკაჯიოლი წერს: “*l'età è un'età di transizione, un'età di crisi, un'età di passaggio. È un'età di crisi, un'età di passaggio. È un'età di crisi, un'età di passaggio.*”, თუმცა ხშირ შემთხვევაში კრიტიკული ანალიზი საკმარისი არ არის. ჩვენი არსების ზოგიერთი ვიტალური ელემენტი ჯიუტად აგრძელებს არსებობას აგრესიულ გამოვლინებებში და მივყავართ ალგზნების მდგომარეობისაკენ. ძირეულ ტენდენციებს შეუძლიათ გზა გაიკვლიონ ახალი და არასასურველი გამოსავლისაკენ. ამიტომაც, ამგვარი ძალების დინებაზე მიშვება დაუშვებელია. მათ კონსტრუქციული მიზნებისაკენ მიმართვა სჭირდებათ. ეკრანზე ამოტივტივებული დამნაშავეთა პორტრეტები კი ემოციათა სხვადასხვაგვაროვნებას იწვევს, რაც უფრო დამამძიმებელს გახდის ვნებათა ლელვას და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს კაცობრიობის არსებობას.

ნაციონალიზმი ქართველ ახალგაზრდებში და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები

*შალვა აბზიანიძე
თინათინ ტყემელაშვილი
ელენე კვანჭილაშვილი*

ნაციონალიზმის ცნება

პოლიტოლოგთა აზრით, არცერთ პოლიტიკურ დოქტრინას არ უთამაშია თანამედროვე მსოფლიოს ხატის ჩამოყალიბებაში ისეთი განსაკუთრებული როლი, როგორც ნაციონალიზმს. მილიონობით ადამიანი ნებაყოფლობით დაეცა ბრძოლის ველზე და ეს მასობრივი თავგანწირვა განუწყვეტლივ გრძელდება. ცხადია, ყველა არ ავლენს უკიდურესობას, მაგრამ სამწუხაროდ ნაციონალური ექსტრემიზმი, ნორმად იქცა და საფუძვლად დაედო XX საუკუნისა და XXI საუკუნის დასაწყისის უდიდეს და ყველაზე საზარელი მოვლენებს.

ამ ძლიერი ზეგავლენის მიუხედავად, უკანასკნელ პერიოდამდე, ნაციონალიზმის პრობლემა სერიოზულად არ აღიქმებოდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლების მიერ. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ნაციონალიზმს განიხილავდნენ როგორც გარდამავალ, შუალედურ ფაზას საზოგადოების ლიბერალიზაციის გზაზე და შესაბამისად ის არ წარმოადგენდა ინტელექტუალურ პრობლემას. მხოლოდ XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ისტორიკოსების - Carleton Hayes, Hans Kohn, Louis Snyder და E. H. Carr – პირველი შრომების გამოქვეყნების შემდეგ გახდა ნაციონალიზმი მეცნიერული კვლევის საგანი. თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით ამ მეცნიერებმა ნაციონალიზმი გამოყვეს კვლევის ცალკე ობიექტად და აქცენტი ეთნიკური საკითხების ნაცვლად სოციოლოგიურ ფაქტორებზე გააკეთეს. შემდგომი ათწლეულის განმავლობაში ნაციონალიზმის შესახებ შრომების რიცხვმა იმატა. დღეს ნაციონალიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და სადისკუსიო საკითხს. გაძლიერდა ხალხის დაინტერესება ნაციონალური პრობლემებით და ეთნიკური კონფლიქტებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა ამ საკითხის გარშემო წამოჭრილი მრავალი კითხვა უპასუხოდ რჩება. მეცნიერთა შორის ნაციონალიზმის დეფინიციაც კი სადაოა. არ არსებობს საერთო აზრი იმაზე თუ რას წარმოადგენს ნაციონალიზმი. ამ ცნებასთან დაკავშირებით გაურკვევლობას აქვს ადგილი ხალხის ფართო მასებშიც. ზოგისთვის

ნაციონალიზმი ეროვნულობას, პატრიოტიზმს გამოხატავს, ზოგს კი დაუყოვნებლივ მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული საზარელი მოვლენები ახსენდება. ნაციონალიზმის ცნებამ, რომელიც თავდაპირველად დადებითი მნიშვნელობით იყო დატვირთული, XX საუკუნის შუა წლების სოციალ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე ტრანსფორმაცია განიცადა. ამის გამო, როცა ვსაუბრობთ ნაციონალიზმზე, აუცილებელია დავაზუსტოთ, თუ რას ვგულისხმობთ ამ ცნების ქვეშ.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ნაციონალიზმის ფენომენი ცალსახად უცხო ერების მიმართ აგრესიას და საკუთარი ერის გადაჭარბებულ უპირატესობის გრძნობას წარმოადგენს. სხვა საკითხია მისი წარმოშობის პრობლემა ანუ რის საფუძველზე ჩნდება ის და რა მიზეზები ახდენენ მის პროვოცირებას. ის განსაკუთრებით დამაფიქრებელი გახდა მაშინ, როცა არც თუ ისე შორეული წარსულიდან დაწყებული, საერთაშორისო ტერორიზმის და ნაციონალური ექსტრემიზმის წარმოშობის შემდეგ ნაციონალიზმის უკიდურესმა ფორმამ იჩინა თავი და უამრავი ადამიანი ჩაერთო

ამ თითქოს ყველასთვის ცხად ირაციონალურ პროცესში.

ნაციონალიზმი იმდენად ფართო ცნებაა, რომ მისი ამომწურავი განხილვა მხოლოდ ერთი მეცნიერების ჭრილში შეუძლებელია. პოლიტოლოგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური პერსპექტივები ერთმანეთს ავსებს და მეტნაკლებად სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა ფენომენის შესახებ.

ნაციონალიზმის ფსიქოლოგიური ასპექტები

მაშინ, როცა ნათელი გახდა, რომ ნაციონალიზმს შეუძლია მსოფლიოს უმეტესი ნაწილი ომსა და ქაოსში ჩაძიროს, განსაკუთრებით საჭირო გახდა იმის შესწავლა, თუ როგორ უნდა მოველოს ასეთი უკიდურესი ჯგუფური ერთგულების გამომწვევ და ხელშემწყობ პირობებს. მეორე მსოფლიო ომის მოვლენები, ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის სიძლიერე და დღეს ნეონაცისტური მოძრაობების არსებობა კიდევ უფრო ამძაფრებს ამ აუცილებლობას. მნიშვნელოვანია აღმოვაჩინოთ ნაციონალიზმის განმაპირობებელი ფაქტორები, იმისათვის რომ კიდევ ერთხელ არ გავხდეთ იმ ადამიანური სისასტიკის მოწმენი, რასაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის შუა წლებში.

ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ „ნაციონალიზმი არ არის ზებუნებრივი ძალა, რომელიც თავს იჩენს მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში. ის არ ჰგავს ბუნების კატასტროფას, რომელიც მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გვატყდება თავს. ნაციონალიზმი მუდმივად აყალიბებს ჩვენს ცნობიერებასა და მსოფლმხედველობას. იგი განსაზღვრავს ჩვენს კოლექტიურ იდენტურობას იმით, რომ გვაყალიბებს ნაციონალისტებად. ნაციონალიზმი არის ჩვენი ხედვისა და ინტერპრეტაციის ფორმა, რაც განსაზღვრავს ჩვენს ყოფით მეტყველებას, ქცევებსა და დამოკიდებულებებს“. (Daniel Druckman).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საჭიროა ნაციონალიზმის საფუძველად მდებარე ჯგუფისადმი ერთგულების ჩანასახის ძიება ბავშვობაში და შემდეგ მის დინამიკაზე დაკვირვება პიროვნების განვითარებასთან ერთად. ჯგუფისადმი ერთგულება მოიცავს პიროვნების ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც უნივერსალურად ითვლება, თუმცა მათი ინტენსივობა იცვლება ინდივიდების მიხედვით. მიკუთვნებულობის, მიღწევისა და ძალაუფლების მოთხოვნილებები წარმოადგენენ სოციალური ქცევის მამოტივირებელ პირობებს და ასევე შეადგენენ ნაციონალური და საზოგადოდ ჯგუფური იდენტურობის საფუძველს. ჯგუფისადმი ერთგულება თავის მხრივ აძლიერებს ადამიანის პიროვნებასა და

მის თავდაჯერებულობას. ერის დონეზე ჯგუფი ასრულებს ეკონომიკურ, სოციოკულტურულ და პოლიტიკურ ფუნქციებს, რითაც ინდივიდებს ანიჭებს დაცულობის გრძნობას. პიროვნების თეორიების მიხედვით ჯგუფისადმი მიჯაჭვულობის გრძნობა ჩნდება და ვითარდება სოციალიზაციის პროცესში. ბავშვები ცვლიან საკუთარ თავზე ორიენტირებულ ფოკუსს იმათთან იდენტიფიკაციით, ვინც მათ გარემოცვაში მათთვის მნიშვნელოვანია. ამგვარად, ჯგუფებთან ასოცირება სოციალიზაციის შემადგენელი ნაწილია. ამის საშუალებით ადამიანები სწავლობენ სოციალური გარემოს გააზრებასა და მასში ეფექტურ ფუნქციონირებას. ეს არის პროგრესი ეგოცენტრულობიდან მზარდ სოციოცენტრულობამდე. რაც უფრო იზრდება ბავშვი, მით უფრო ნაკლებადაა ის ორიენტირებული საკუთარ თავზე და მით უფრო მეტად განიხილავს საკუთარ თავს, როგორც უფრო დიდი სოციალური ჯგუფის ნაწილს. ზოგადად, პიროვნების განვითარების თეორიებში განსაკუთრებითაა აღნიშნული თვით-დებინიციის მნიშვნელობა და ობიექტებთან ემოციური იდენტიფიკაცია ადრეული სწავლების პერიოდში. ადამიანები თანდათან ივითარებენ მოთხოვნილებებისადმი მგრძნობიარობას და სხვებისადმი ინტერესს. თვით-ორიენტაციის სხვებზე ორიენტაციით შეცვლა მქდავდება მზარდ პროსოციალურ ქცევაში, რომელიც გულისხმობს სხვების დახმარებას, მათდამი სიმპათიის გამოხატვას და ალტრუიზმს. სოციალური ქცევის ამგვარი ფორმები ადაპტაციური დატვირთვის მატარებელია. კოოპერაციული ქცევა განსაზღვრავს ინდივიდუალურ გადარჩენის უნარს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ჯგუფები, რომლებიც ურთიერთის მოყვარული წევრებისაგან შედგება, უფრო ეფექტურია, ვიდრე ის ჯგუფები, სადაც კონკურენტული ატმოსფეროა. კონკურენტულ ქცევას წვლილი შეაქვს იდენტობაში, ვინაიდან მას განასხვავებს დანარჩენებისაგან. თანამშრომლობითი ქცევა კი ყალიბდება ჯგუფური ნორმებისადმი კონფორმულობის ზეგავლენის გამო და იშვიათად განიხილება განსხვავებული ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობის ჭრილში. ადამიანის დამოკიდებულება სხვების მიმართ შერჩევითია. ამ შეფასებაზე გავლენას ახდენს იმ ჯგუფის წევრობა, რომელსაც ის დაბადებიდან ეკუთვნის ან ადრეული გამოცდილება. ამის მიხედვით ინდივიდი განსაზღვრავს, ვინ არის ჯგუფის წევრი და ვინ არა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი კატეგორიზაცია ემოციურ კომპონენტებს შეიცავს. ესპააკ და მისი კოლეგები შეეცადნენ გაერკვიათ, თუ რა იწვევს საკუთარი ჯგუფისადმი დადებით და სხვებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. მათ იკვლიეს საკუთარი და სხვა ქვეყნებისადმი დამოკიდებულება, რის შედეგადაც გამოყვეს ორი ფაქტორი. პირველი ფოკუსირებულია საკუთარი ქვეყნისადმი დადებით გრძნობებზე, მეორე კი ეროვნული უპირატესობის გრძნობაზე, ეროვნული ძალაუფლებისა და დომინანტობის მოთხოვნილებაზე. პირველს უწოდეს პატრიოტიზმი, ხოლო მეორეს - ნაციონალიზმი. მეორე ეტაპზე მკვლევარებმა გაზომეს კორელაცია ამ ფაქტორებსა და ისეთ ცვლადებს შორის, როგორცაა ოჯახისადმი მიკუთვნებულობა, ბირთვული შეიარაღებისადმი დამოკიდებულება და ომში წასასვლელად მზადყოფნა. აღმოჩნდა, რომ ნაციონალისტები აქტიურად უჭერენ მხარს ბირთვული შეიარაღების პოლიტიკასა და ომს, თუმცა პატრიოტებზე ნაკლებად ავლენდნენ მზადყოფნას თავგანწირვისთვის. აქედან გამომდინარე ნაციონალიზმი ასოცირებულია შეჯიბრებით, მილიტარისტულ მსოფლმხედველობასთან, პატრიოტიზმი კი მშვიდობასა და თანამშრომლობასთან. როგორც ჩანს მილიტარიზმისა და მშვიდობის მიმართ დამოკიდებულება პიროვნების ბაზისურ დისპოზიციებშია კონცენტრირებული. ამის გამო რთულდება მათი შეცვლა. ინდივიდები საკუთარი ქვეყნისადმი დადებით გრძნობებს იქამდე განიცდიან, სანამ გრძნობებს შინაარსები შეუერთდება და დაიწყება ემოციების რაციონალიზაცია. მიუხედავად ამისა, კოგნიტური ელემენტების ცვლილების ფონზე გრძნობები შესაძლებელია იგივე დარჩეს. სწორედ გრძნობების ამ რაციონალიზაციის პროცესს მივეყვართ ნაციონალიზმამდე ან პატრიოტიზმამდე, იმისდა მიხედვით თუ როგორ წარიმართება ის. მეორეს მხრივ თვითონ ჯგუფი განსაზღვრავს მისი წევრების დამოკიდებულებებს. ეს დამოკიდებულია ჯგუფის შიდა ორიენტაციის ხასიათზე, რომელიც ჯგუფის არაწევრების მიმართ მტრობასა და მათდამი ტოლერანტობას შორის ვარირებს. ასევე დადგინდა შემდეგი კანონზომიერება: რაც უფრო

დაცულია ინდივიდი ჯგუფში, მით უფრო ნაკლებად უნდება მას საკუთარი ჯგუფის სხვებისაგან გამიჯვნის სურვილი.

ეს იყო ნაციონალიზმი - პატრიოტიზმის ერთ-ერთი მოდელი, რომელიც ცდილობს ახსნას ამ ფენომენების ფორმირების მექანიზმი. სხვა მოდელის თანახმად, ნაციონალიზმი არის პატრიოტიზმის უფრო რთული ფორმა, მისი შემდგომი ეტაპი. ამგვარად, თუ პატრიოტიზმი სამშობლოსადმი თავგანწირვას გულისხმობს მისი კეთილდღეობის მიღწევის იდეიდან გამომდინარე, ნაციონალიზმი მოიაზრებს სხვებისაგან გამოყოფის ნებას და თავგანწირვას სხვების მიმართ მტრობის მოტივიდან გამომდინარე.

არსებობს მრავალი კვლევა, რომლებშიც ნაცადია ნაციონალიზმის, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენის განსაზღვრა, მისი წარმოშობისა და ხელშემწყობი პირობების დადგენა. მეცნიერთა სიმრავლე მათი მოსაზრებების მრავალფეროვნებას განაპირობებს. მაგრამ ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ ნაციონალიზმის ფსიქოლოგიურ ბაზისს სწორედ ჯგუფისადმი მიჯაჭვულობა წარმოადგენს. ამ დამოკიდებულების ფორმირება და შემდგომი განვითარება სოციალიზაციის პროცესში ხდება. თუ რა მიმართულებას მიიღებს ჯგუფისადმი მიჯაჭვულობა (ანუ ფოკუსირებული იქნება შესაბამისად საკუთარი ეთნიკური ჯგუფის სიყვარულზე თუ უცხო ჯგუფის სიძულვილზე) და რა ინტენსივობის იქნება ის, ეს დამოკიდებულია პიროვნულ და სოციალურ ფაქტორებზე. პიროვნების ამ მახასიათებლის ნაციონალიზმად ჩამოყალიბებას განაპირობებს როგორც ინდივიდის სხვა თვისებები და გამოცდილება, ასევე გარე ცვლადები, როგორცაა მაგ. მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები.

ნაციონალიზმის ფსიქოლოგიური კორელატების ემპირიული კვლევა

საკითხის დასმა

ზემოთ ჩამოთვლილი სოციალ-ფსიქოლოგიური გამოკვლევები იკვლევენ უცხო და საკუთარი ჯგუფების შეფასების, ჯგუფთან იდენტიფიკაციისა და თვითშეფასების მექანიზმებს. მაგრამ არც ერთი მათგანი არ ადგენს ნაციონალიზმის, ჯგუფური და პიროვნული მახასიათებლის არსებობას.

სწორედ ეს რთული ამოცანა დავისაზე მიზნად წინამდებარე კვლევის დაწყებისას. მაგრამ ამ პრობლემას მას შემდეგ წავაწყდით, როდესაც დავინტერესდით იმით, თუ რამდენადაა ნაციონალიზმი წარმოდგენილი ჩვენს კულტურაში.

ნაციონალიზმი, დღეს, თითქოს არ წარმოადგენს აქტუალურ ფსიქოლოგიურ პრობლემას.

მაგრამ მიუხედავად ამისა მრავალი მკვლევარი დგება ამ ფენომენის შესწავლის წინაშე სხვადასხვა სოციალ-ფსიქოლოგიური საკითხის განხილვისას. ეთნო კონფლიქტები, სოციალური მოძრაობები და გაერთიანებები, ჯგუფისა და ლიდერის ურთიერთმიმართება პოლიტიკურ ჭრილში – თითოეული ამ საკითხთაგანი ადრე თუ გვიან საჭიროებს ნაციონალიზმის ფენომენის გააზრებასა და მისი ზემოქმედების ფარგლების დადგენას. მომავალი გვიჩვენებს თუ რამდენად შორს წავა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა. ამ ეტაპზე კი ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ნაციონალიზმის გამზომი სკალის შედგენა, მისი შემოწმება და დახვეწა.

მეთოდის აღწერა

ნაციონალიზმის შესახებ არსებულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურასა და მასალებზე დაყრდნობით გამოვყავით ამ ფენომენის ოთხი ძირითადი ნიშანი:

- მიჯაჭვულობა საკუთარი ერისადმი, ქვეყნისა და კულტურისადმი.
- აგრესია უცხო ერების, მათი წარმომადგენლებისა და კულტურის მიმართ.
- საკუთარი ერის სუპერიორობის გრძნობა, საკუთარი ერთ სიამაყის გრძნობა, სხვებზე მისი უპირატესობის განცდა.
- ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული იდეალები ზოგადად.

ამ ნიშნების შესაბამისად ჩამოვყავილებთ დებულებები. მათგან შევარჩიეთ მხოლოდ 55, რომელნიც ნიშნების არსის საუკეთესოდ გამომხატველად მივიჩნიეთ. ინსტრუქციაში, რესპონდენტებს ვთხოვდით შეეფასებინათ მოცემული დებულებები მათი მისაღებობა-მიუღებლობის მიხედვით. მათ უნდა აღენიშნათ მხოლოდ ის დებულებები, რომლებსაც ეთანხმებოდნენ. ამის შემდეგ ჩვენ გამოვყოფდით ნაციონალიზმის ხარისხებს (სუსტად, საშუალოდ და ძლიერად გამოხატული), რაც მოგვცემდა ინდივიდების შესაბამის კატეგორიებში განაწილების საშუალებას.

The value of new public art could be viewed as its ability to initiate a continual process of social criticism, and to engage the public on important global issues. Within this understanding, the purpose of art is not to fill museums, but to resist the structures of power and money that have caused subjugation, oppression, and other unfair practice, and in doing so, to create imaginative spaces that help to enable others to construct new futures.

The potential of public art and social conflict

This public art project will serve as an example of a public art conflict instigator. In the 1980s, Richard Serra, a famous US modernist artist was commissioned by the city of New York to create a public sculpture within a large public square that was surrounded by government office buildings. Serra made the mistake of not holding any public meetings with the people who worked around this public square to ask them what they wanted - these were the people who used this site daily as a relaxing social space to meet with friends, eat lunch, read books and relax on their lunch hour. Serra instead constructed this huge, 90-foot rusted steel sculpture that

he thought was best suited for this public square. When this sculpture, entitled “Tilted Arc” was placed in the public square it caused a great public outcry for a variety of reasons. The sculpture cut in half the square, greatly altering the ability to walk around the square, and making it impossible to see from one side to the other. One woman was raped because she was standing in an area where no one could see her well, due to the sculpture's presence. In addition, many of the people that frequented this public square simply didn't like the way the sculpture looked, and felt that it was an ugly obstruction in their public space. There was a law suit waged against the city's public art commission and Richard Serra, and this whole ordeal in many ways polarized the community, with artists fighting against other community members. The result of the court battle was that the sculpture was relocated.

Gentrification - the ‘purification’ of public space through art Gentrification is an example of an arts-led process to ‘purify’ urban space by beautifying the space through the use of public art. Gentrification of urban space through the use of art has a long history, and gentrification generally operates to an increase in property values which drives out the lower income community. Artists have been pivotal in the process of gentrification, although artists themselves are usually then displaced by wealthy clientele who follow them into the newly popularized and chic neighborhood. This is a contemporary version of the purification of the city for the benefit of the bourgeois which took place in the eighteenth and nineteenth century.

Women and Urban Space

Here is a public performance of a woman dressed in a traditional Asian kimono who is caught or trapped inside a glassed in window display. The window display operates as a space of total confinement as well as complete surveillance of the woman.

Urban space is gendered, and women often intuitively know the constraints that exist for them when walking in the city. Sexual attacks warn women that their bodies are not always welcomed to be in public space. For many women this is either ideological or physical confinement (or both) to the “private’ spheres of the home. There are many differences in the psychology of urban space that are gendered. For example, women are more often sexually intruded-on, and they are more likely to get out of the way than men. Overall, urban environments do not provide women with a range of settings that make them feel psychologically comfortable.

In the United States and in Georgia, most artists who receive recognition in public art through either commissions or coverage in literature, are men. I have walked all around the city of Tbilisi, looking for a public art statue of a ‘real’ woman, and I couldn't find any. The only statues of females that I found were of mythical or archetypal women, such as the “Mother of Georgia”. There are lots of public statues of real Georgian people, who have lived and breathed, and every one of them that I found was male. And so the question that I asked to you is, what message does this convey to the community of Tbilisi if the only real people who are revered by having statues made in their honor are men? And if you feel this question is taking a feminist perspective, let me ask you another question. Is adding women to art history the same as producing feminist art history?

Re-designing public space with the intent of women's psychological comfort might be one method for creating a more egalitarian public domain. Adding public art of real women, and real women's experiences to the urban space is important, but it is also necessary to critically examine the way the city has been designed as a foundation for a masculine public realm. Women's absence in art history, in public monuments, and in public art in general reflects the patriarchal society which created that history, in the same way that so much of world history has

agreed to masculine constructions of greatness, goodness and heroism. And this is so much of what I have found in the public art statues here in Tbilisi as well as in the US and Europe.

In my experience as an artist working in the United States and Europe, the last several decades have been filled with debates on the issues of whether art is at the end of modernism, and whether modernism has failed. At the forefront of many of these debates is art critic and author Suzi Gablik who talks about the links between ecology and “ecofeminism”. Ecofeminism is a term that constitutes positions from which the connection between western culture’s exploitation of women and its exploitation of the earth are constructed. Gablik views the reconstruction of art as including the need to relinquish the privileging of patriarchal structures which determine modernism’s structures. Gablik states: “In our present situation, the effectiveness of art needs to be judged by how well it overturns the perceptions of the world we have been taught, which has set our whole society on a course of biospheric destruction...I believe that we will see that in the next few years is a paradigm based on the notion of participation, in which art will begin to redefine itself in terms of social relatedness and ecological healing.”

I believe that the nineteenth century development of monuments in the public realm was a narrative with the intent of persuading the public to accept the reality that the dominant class should always inherit history. And national memories like these continue to be constructed through public monuments.

Some more questions that I have for you are: Do you think that the range of public art in Tbilisi reflects the dominant attitudes and values of the society, and benefits the society through raising social awareness of important issues? Do you think public art in Tbilisi is socially beneficial to the extent in which it addresses the needs of urban dwellers, and initiates social criticism within the public realm? If your answer is no, what can be done here in Tbilisi to help shape a new reality that reflects the diverse values and beliefs of the society as a whole through public art? I am hoping that these questions will stimulate some thinking about your surrounding environment, and how you could potentially change it to reflect the diverse attitudes, values and beliefs of your own very special community.

References

Miles, Malcolm. *Art, Space and the City: Public Art and Urban Futures*. 1997, Routledge publishers, London and New York.

Weintraub, Linda, Danto, Arthur, McEvelley, Thomas. *Art of the Edge and Over: Searching for Art’s Meaning in Contemporary Society 1970s-1990s*. 1996, Art Insights, Inc. publishers, Litchfield, CT.

Gablik, Suzi. *Has Modernism Failed?* 1984, Thames and Hudson publishers, New York and London.

სინემა, სინემა

მალსაზ კობრეიძე

მე და ციფი თელ-ავივის სინემატიკის დირექტორის - ალონ გარბუზის ოფისში ვზივართ. ალონი ქართულ კინოზე საუბრობს. თენგიზ აბულაძეს, ოთარ იოსელიანს და სერგო ფარაჯანოვს ახსენებს. მე სხვა ქართველ რეჟისორებზე ვიწყებ საუბარს. ვატყობ, დავაინტერესე. საბოლოოდ შევთანხმდით, თელ-ავივის მერიის დახმარებით, ისრაელში,

ქართული კინოს ფესტივალი მოეწყო. სასწრაფოდ ვრეკავ თბილისში ჩემს მეგობართან, გამობრძმედილ “კინოშნიკთან” - ნუკრი ბარამიძესთან და დახმარებას ვთხოვ.

ჩამოვედი თუ არა საქართველოში, რეჟისორებს - საშა რეხვიაშვილს, მერაბ კოკოჩაშვილს, რეზო ესაძეს შევხვდი და წინასწარი შეთანხმებისათვის მათი ფილმების ვიდეოჩანაწერები გამოვართვი, ხოლო იმაჟამად მოსკოვში მყოფი ირაკლი კვირიკაძე დაპირებისამებრ, კასეტას ისრაელში გადმოგზავნის. ჩემდა სავალალოდ, ამ რეჟისორების ფილმების სამონტაჟო ფურცლები გაბნეული აღმოჩნდა, არადა კასეტებთან ერთად ფილმების ივრითული თარგმანი რომ არ წარვადგინო, საქმე ცუდად წამივა. ვჯდები ტელევიზორთან, ხელში ვიღებ ვიდეოს პულტს და დიალოგებს სიტყვასიტყვით ბლოკნოტში ვიწერ, რომელსაც შემდეგ ციფი ივრითზე თარგმნის.

სინემატეკმა მოიწონა წარდგენილი მასალები და ფესტივალის ჩატარების დროდ 1997 წლის ოქტომბერი გამოაცხადა, ამასთან მოწვევა გამოუგზავნა მერაბ კოკოჩაშვილს, საშა რეხვიაშვილს და რეზო ესაძეს. გული დამწყდა იმაზე, რომ ირაკლი კვირიკაძის ფილმების მოსკოვიდან ისრაელში ჩატანა ვერ მოხერხდა.

იმხანად თბილისის ეკრანებზე ლევან ანჯაფარიძის “ორმაგი სახე” გამოვიდა, ამ დროს, შემთხვევით, ქუჩაში ღია ქობულაძე შემხვდა. ღია ამ ფილმში დედის როლს ასახიერებს. სწორედ მან მირჩია ფილმის ნახვა და ფესტივალზე წაღება. სურათის ნახვის შემდეგ, ფესტივალზე ოსტატებთან ერთად შეგირდების ნამუშევრების წარდგენაც გადავწყვიტე და ძვირფას ტვირთს ლევანის ფილმის გარდა გიო მგელაძის, ბესო სოლომანაშვილის და გიო ცინცაძის სურათებიც მივამატე.

დათო ტურაშვილმა თავიდანვე იცოდა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ. გამგზავრებისას მე დათოს დავუკავშირდი და ვთხოვე თბილისის მერთან, ბატონ ბადრი შოშიტაიშვილთან მისულიყო, რათა მერიას ფესტივალისადმი მისაღობების ტექსტი მოემზადებინა. დათო ხალისით მოეკიდა ჩემს თხოვნას და იქვე მომიგო: გიორგი სააკაძის შემდეგ თბილისს, იცოდე, ასეთი მერი არ ჰყოლიაო. ბატონი ბადრი ფესტივალსაც მიესალმა და თელ-ავივის მერი - რონი მილოც მოიწვია თბილისში.

თვითმფრინავი ბენ-გურიონის აეროპორტში დაეშვა. ძვირფასი ტვირთი საბაჟო ტერმინალში გადამაქვს, უცებ ერთი იაოფი ურიკიდან გადმოვარდა და იქვე მიმავალი მგზავრის ფეხებთან დავარდა. ერთ-ერთი მათგანი ბავში იყო, რომელსაც, შევატყვე, რომ შეეშინდა. ბავში გულში ჩავიკარი, რუსები აღმოჩნდნენ. დარბაზიდან გასული ახლა უკვე ჩემს შვილს - ცოტნეს ვიკრავ გულში, ცოტნეს ფილმზე უფრო მისთვის განკუთვნილი საჩუქარი აინტერესებდა.

მეორე დღეს, მე და ციფი თელ-ავივის სინემატიკაში მივედით, იაოფები დავალაგეთ, კოლოფები დავნომრეთ და სარეკლამო ჟურნალის მასალები ჩავაბარეთ. წინასწარი შეთანხმებით “დიდი მწვანე ველი” (მ. კოკოჩაშვილი) “ერთი ნახვით შეყვარება” (რ.ესაძე) და “საფეხური” (ს. რეხვიაშვილი) ეკრანზე ივრითული სუბტიტრებით უნდა გასულიყო, ამიტომაც მალევე ტექნიკით აღჭურვილ ერთ-ერთ სტუდიაში გადავინაცვლეთ. პატი ანუ პატრიცია არგენტინიდან რეპატრიირებული ებრაელია. მას არა ერთი ქვეყნის ფილმი “გადმოუვრითებია”, მაგრამ ქართულ ფილმს პირველად მიუჯდა, მიუჯდა და მოეწონა კიდევაც, თუმცა ფირების სიძველემ ნამდვილად შეაწუხა. ამის გამო ციფიმ “საფეხურის” “მიანლოებით” შეცვლა შემოგვთავაზა - იქნებ ფირი უფრო უკეთესი ხარისხის იყოსო, მეც დავეთანხმე.

სინემატიკის დარბაზში მე, ციფი და ცოტნე, საშა რეხვიაშვილის ცნობილი სურათის - “მიახლოების” გასინჯვას ვესწრებით. ფილმის დაწყებისთანავე ციფიმ გადმომილაპარაკა: მალხაზ, ეს ვისი ფილმიო, მეც გაოგნებულმა ვუპასუხე: ეს დათო ჯანელიძის “მდგმურები” - მეთქი, აი, კურიოზი, კოლოფებს “მიახლოება” აწერია, ხოლო შიგ “მდგმურები” აწყვია. სასწრაფოდ ვრეკავ თბილისში და ნუკრის ვთხოვ დათო ჯანელიძის შესახებ მასალები ფაქსით გადმომიგზავნოს, ამგვარად, ფესტივალს კიდევ ერთი საინტერესო ქართველი რეჟისორის - დათო ჯანელიძის ნამუშევარიც შეემატა. მოგვიანებით, დათოს კაფკას “ციხესიმაგრის” მიხედვით გადაღებული ფილმიც ვნახე და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 90-იან წლებში, საქართველოში ასეთი სრულყოფილი სურათი არ შექმნილა.

პატი ე.წ. “სიმულაციაზე” გვიწვევს. “სიმულაციის” დროს სამონტაჟო მაგიდის ერთი მონიტორი ფილმს აჩვენებს, ხოლო მეორე - ივრითულ სუბტიტრებს. თუ სუბტიტრები სინქრონშია ლაპარაკთან, ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტი მზად არის ფირზე გადასაბეჭდად. პირველი ფილმი, რომელმაც გამოცდა გაიარა, “დიდი მწვანე ველია”, პირიმზე (ლია კაპანაძე) და სოსანა (დოდო აბაშიძე), ივრითზე “ამეტყველდ-ნენ”. რაც შეეხება სხვა ფილმებს: “არდადეგები”, “მიხა”, “ცხელი ზაფხულის სამი დღე” (მ. კოკოჩაშვილი), “ნეილონის ნაძვის ხე” (რ. ესაძე), “ბუზი” (გ. გოცირიძე), “სისხლიანი სცენარი” (ბ. სოლომანაშვილი) და “ორმაგი სახე” (ლ. ანჯაფარიძე). დარბაზში სინქრონულად ითარგმნება. ფილმებს “მდგმურები” (დ. ჯანელიძე) და “არა მეგობარო” (გ. მგელაძე) - ინგლისური სუბტიტრები ადევს.

ფესტივალისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა პრესამ და ტელე-რადიომუწყებლობამ. საინტერესო პუბლიკაციები გამოაქვეყნეს გაზეთებმა - “იელით ახრონოთმა”, “მარიამა”, “ჰაარეცმა”, “ჰაირმა” და რუსულენოვანმა “ჰანორამამ”. აი, რას წერდა მაშინ გაზეთი “ალია საქართველოდან”:

“ეს ყველაფერი ჩვენი გუშინდელი დღეა, რამდენჯერ მოვფერებივართ ამ დღეებს შინაგანად, რამდენჯერ გვინატრია მასთან შეხვედრა. და აი, ახლა, როცა გვეძლევა ამის საშუალება, უნდა მივიდეთ მასთან და მივეფეროთ. არა მალულად, არამედ სახალხოდ, ნუ შეგვაშინებს თვალზე მომდგარი ცრემლი. ასეთ მოგონებებს და შეხვედრებს იგი მუდამ ახლავს თან. მთავარია, ერთხელ კიდევ დავბრუნდეთ ჩვენი წარსული ყოფის ნოსტალგიებში და მონატრების ჭია გაგახაროთ.”

ქალბატონ თამარ კეზერაშვილის მეცადინეობით ინტერვიუ ჩამოგვართვეს ისრაელის სახელმწიფო რადიოს ქართულმა და რუსულმა რედაქციებმა, “ამერიკის ხმიდან” დაგვიკავშირდა ქალბატონი ეთერ ფიჩხაძე, ამასთან რადიოსა და ტელევიზიის ივრითული პროგრამები ციფი მიხაელის მიერ გადაცემულ ინფორმაციებს აწვდიდა საზოგადოებას.

მერაბ კოკოჩაშვილი

ფესტივალის პირველ დღეს თელ-ავივის სინემატეკმა მერაბ კოკოჩაშვილის “მიხა” და “არდადეგები” უჩვენა მაყურებელს. დარბაზში ხალვათობაა, როგორც გვითხრეს, საქართველოდან ამოსულ ვიღაც ქალბატონს დაურეკავს და უთქვამს: მოხუცი დედა უნდა მოვიყვანო და მისი თაობის მაყურებელს სინქრონული თარგმანი ხელს შეუშლისო. სინემატეკის ხელმძღვანელობამაც საქართველოდან ამოსულების საპატივცემულოდ თარგმანი მოხსნა, ამის გამო ქართულის არმცოდნე მაყურებელმა დარბაზი დატოვა, თუმცა ჩვენს წინ მჯდომ ორ არაქართველს არაფრად ჩაუგდია სინემატეკის გადაწყვეტილება, ჩვენ მათ აბული მიხელაშვილი მიუჩინეთ მთარგმნელად. სურათის მსვლელობისას დარბაზში სოსო ბარდანაშვილი, შოთა სეფიაშვილი და რამდენიმე კაცი კიდევ შემოვიდა. დასრულდა თუ არა

სენსი, ბატონმა სოსომ ტაში შემოკრა და დარბაზიც აიყოლია. კმაყოფილებას ვერ მალავდნენ “არაქართველებიც”. ჩვენ მათ გავესაუბრეთ და აღმოჩნდა, რომ ისინი საქართველოსაც იცნობდნენ და ქართულ კინოსაც, მათ ევროპაში ოთარ იოსელიანის ფილმები ენახათ, მაგრამ “მიხა” და “არდადეგები” განუშეორებელიაო - გვითხრეს.

ბატონი მერაბ კოკონაშვილი მაყურებელთან შესახვედრად ემზადება. ეკრანზე “დიდი მწვანე ველი” უნდა უჩვენონ, წესითა და რიგით, მაყურებელმა დარბაზი უნდა შეავსოს, რადგანაც ფილმს ივრითული სუბტიტრები ადევს და ფრაგმენტები ტელევიზიამაც აჩვენა. მართლაც, ინტერესი დიდია, პოპულარულ სახეებს ვხედავ დარბაზში, აქ არიან რეჟისორები, მწერლები, მსახიობები, მხატვრები, ჟურნალისტები. ბატონი მერაბი სცენაზე ადის და ფილმის შექმნის ისტორიას ჰყვება. სურათის დასრულების შემდეგ მრავალი ნაცნობი და უცნობი გაგვესაუბრა, ჩვენც კმაყოფილები ფოიეში ვეშვებით. უცებ კიბეებზე ერთი აღელვებული ქალბატონი დაეშვა და ბატონ მერაბს ჩაეხუტა, იგი აღფრთოვანებული, ივრითზე ფილმის ქებას შეუდგა. ქალბატონი იუდითი ისრაელის ერთ-ერთი კიბუცის დრამის მასწავლებელი იყო, მოგვიანებით მან თავისთან, კიბუცში მიგვიწვია და იქ მოგვიყვა, რომ “დიდი მწვანე ველი” მას ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარა - იგი თავის კონფლიქტურ ოჯახს გაეცალა.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთიდან ამოსულებიც გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს ფესტივალის პროგრამას. ერთი უკმაყოფილო პიროვნება ჩემთან მოვიდა და მისაყვედურა: რატომ ვია დაწვია არ ჩამოიყვანეთო. მე ავუხსენი მას, რომ ვია დაწვია რუსული კინოს წარმომადგენელია, თუმცა იქვე “არ იდარდოზე” ჩამოვუდგე სიტყვა, ძალიან მომწონსო - მიპასუხა, ჰოდა თუ მოგწონთ “პორუჩიკი იშხნელი” აგერ არის-მეთქი. გახარებულმა ბატონ მერაბს ხელი ჩამოართვა.

საშა რეხვიაშვილი

საშა რეხვიაშვილმა მაყურებელს “საფეხური” წარუდგინა და ჩემდა მოულოდნელად დარბაზიც დატოვა, მე უკან გავედევნე, თურმე იგი თავის ფილმებს ეკრანზე არ უყურებს. მე მას კაფეში ვეპატიჟები, სადაც ვსვამთ ჩაის და ვსაუბრობთ კინოზე.

ფილმის დასრულებისას დარბაზში შევედით. ერთმა რუსმა ქალბატონმა ყველას დაასწრო და იმდენი აქო საშა, რომ მაყურებელმა მისი დაშოშმინება ძლივს მოახერხა. ორმა გოგონამ, რომლებიც თელ-ავივის უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის თანამშრომლები იყვნენ, “საფეხურისა” და ონის ებრაელების თემაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის “სამკუთხა წრეში” უნივერსიტეტში ჩვენება გვთხოვეს. ეს ფილმი იერუსალიმში სპეციალისტთა ერთმა ჯგუფმაც ნახა, თუმცა, რატომღაც, თავად ონიდან ჩამოსულებს ამ სურათისადმი დიდი ინტერესი არ გამოუჩენიათ. მიუხედავად ამისა, როგორც შემდგომ გამოჩნდა, რაჭიდან ჩამოსულებს საშა მაინც ეამაყებათ. მერი ამშიკაშვილი სტაგიაში “რაჭა ჩემი სიყვარული” (“ალია საქართველოდან”) იხსენებს, რომ კომუნისტების მმართველობის პერიოდში ხელისუფლება ონის სინაგოგის დანგრევას შეეცადა. რა თქმა უნდა, ამას წინ ებრაელი თემი აღუდგა. ებრაელებს ქრისტიანებიც ამოუდგნენ მხარში, მათ შორის თითქოს ბატონი საშას ოჯახიც იყო, რის გამოც ჩვილი საშა რეხვიაშვილი დედას სალოცავში აკენით შეუყვანია და ერთი კვირა იქიდან არ გამოსულან. ჩემთან საუბარში ბატონმა საშამ ეს ფაქტი არ დაადასტურა, თუმცა მას რომ ებრაელებისადმი უდიდესი მოკრძალება აქვს, ეს მის ნამუშევარშიც ჩანს.

მოგვიანებით, ისრაელს ფრანგი პროდიუსერები ეწვივნენ. ჩვენ, ჩვენი მხრივ, გადავწყვიტეთ მათთვის “სამკუთხა წრეში” წარგვედგინა, მითუმეტეს, რომ ფილმს ფრანგული სუბტიტრები ადევს. დარბაზი ისრაელის კინოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებით იყო სავსე. გაიმართა

საინტერესო საუბრები, მაგრამ შევატყვე, რომ ნელ-ნელა ეს საუბრები ბრალდებაში გადაიზარდა - ისრაელელები ფრანგებს ადრინდელი დაპირებების შეუსრულებლობას ახსენებდნენ, ფრანგები უკეთესი ფილმების გადაღებას ურჩევდნენ და ა.შ. ჩვენ საუბარში ჩარევა გვერიდებოდა, რადგანაც ეს შეხვედრა, როგორც ჩანდა, მხოლოდ საფრანგეთ-ისრაელის ურთიერთობებს ეხებოდა, მაგრამ დრო მაინც შევარჩიე და ციფის ვანიშნე დაიწყე-მეთქი. ქართული ფილმის ხსენებაზე დარბაზი გაჩუმდა, ვხედავ პროდიუსერებმაც სერიოზული სახე მიიღეს, იმ დროს ისრაელური კინო არავის ახსოვდა. ცოტა ხნის შემდეგ ვილაცამ დარბაზში მაინც დაარღვია სიჩუმე და წამოიძახა: ესენი აქ ვინ მოიწვიაო. ჩვენ იძულებულები გავხდით საუბარი მხოლოდ დოკუმენტურ კინოს პროდიუსერთან გავკვევრძელებინა, მან კასეტა მოითხოვა, მაგრამ იმის გამო, რომ კასეტის გაცემის უფლება არ გვქონდა, ვერ მივეცით. გამომშვიდობებისას გვითხრეს, საფრანგეთში დაგვიკავშირდითო. დარბაზიდან ამაყად გამოვედი.

რეზო ესაძე

“ახლახანს ვნახე რეზო ესაძის ფილმი “ნეილონის ნაძვის ხე”. ჩემი აზრით, ეს ნამდვილი შედეგია” - უთქვამს ფედერიკო ფელინის. სწორედ ამ სიტყვებზე დაყრდნობით გახეთი “ჰაირი” საზოგადოებას მოუწოდებდა აუცილებლად ენახათ ეს ფილმი. შედეგმაც არ დააყოვნა: მაყურებელმა დარბაზის შევსება დაიწყო, თუმცა სინემატეკის ხელმძღვანელობას “არდადეგებისა” და “მიხას” შემდეგ კურსი მაინც არ შეუცვლია და ისევ თარგმნის გარეშე აპირებდა ფილმის ჩვენებას. გაიგო თუ არა ეს მაყურებელმა, სინემატეკს თავს რისხვა დაატეხა, სახლში დაურეკეს ალონ გარბუზს, რომელმაც, სასწრაფოდ დარბაზში სათანადო ტექნიკის დამონტაჟება ბრძანა. ამის შემდეგ ყველა ფილმი თარგმანით გადიოდა. თელ-ავივის სინემატეკის ფოიეში ბატონი რეზოს ნამუშევრებია გამოფენილი, სტენდზე სხვა მასალებთან ერთად მისი ლექსების თარგმანებაცაა წარმოდგენილი. მაყურებელი “ერთი ნახვით შეყვარებასა” და რეჟისორთან შეხვედრას ელოდება. მანამდე მე, მერაბ კოკონაშვილი და რეზო ესაძე რადიოსტუდიაში ქალბატონ თამარ კეხერაშვილს ვესტუმრეთ. ქალბატონი თამარი სტუმრებს რეჟისორების შესახებ ესაუბრება და იხსენებს იმასაც, რომ ბატონი რეზო თენგიზ აბულაძის “მონანიებაში” თამაშობს. - ვის როლს ასრულებთ, ბატონო რეზო, “მონანიებაში?” - ეკითხება რეზო ესაძეს თამარ კეხერაშვილი. ბატონი რეზო ჯერ ჩაფიქრდა, მერე ჩვენ გადმოგვხედა და თქვა: - მე, ჩემო ბატონო, ამ ფილმში მთავარი ტორტის მჭამელი გახლავართ. ერთი სული მაქვს გავიციხო, მაგრამ არ შეიძლება. მერე, გარეთ გამოსულები, სინემატეკაში მისვლამდე ვიცინოდით. მე აცრემლებული რეზო ესაძეც ვიხილე მაშინ, როცა ნაზარეთში მივემგზავრებოდით და როცა აყვავებული ისრაელი ღღევანდელ საქართველოს შეადარა.

“ერთი ნახვით შეყვარება” გადაჭედელ დარბაზში უჩვენეს. მაყურებელი ასევე ინტერესით გაეცნო რეზო ესაძის გრაფიკულ ნამუშევრებს. იმ დროს ჩემთან ერთი ახალგაზრდა მოვიდა და ერთი მცირე ფორმის ნამუშევრის ფასი მკითხა. მეც “გავუთიე”. ახალგაზრდას ენა დაება, და გამეცალა, მაგრამ შორს არ წასულა. იქვე ციფისთან მივიდა და მასთან გააბა საუბარი. ციფი ჩემთან მოვიდა და ის ბიჭი გამაცნო. მამამისი, თურმე ცნობილი ხელოვანი და კოლექციონერია, ამასთან, შეძლებული ოჯახიც ყოფილა. ჰოდა თუ შეძლებულია, გამოართვას მამამისს ფული და გადაიხადოს-მეთქი. მამამისს გამოართვას რა, შენ ისრაელი საქართველო ხომ არ გგონიაო, შემეკამათა ციფი, ჯარიდან ახალი ჩამოსულია და ჯერ ანგარიშზე მცირე თანხა აქვსო. მოვირდით. განარებული ახალგაზრდა მადლობას გვიხდის, იგი ფილმების მეორედ ჩვენებაზეც მოვიდა და თავისი შეყვარებულიც მოიყვანა.

აეროპორტში, უსაფრთხოების თანამშრომელი გოგონა, გასაუბრების შემდეგ მერაბ კოკონაშვილსა და საშა რეხვიაშვილს უპრობლემოდ ატარებს. რატომღაც რეზო ესაძეს უქმნის “პრობლემას”. ბოლოს ნახატების შეკვრის გახსნაც მოითხოვა და ნამუშევრები

გულმოდგინედ დაათვალიერა. მერე ბატონ რეზოს ხელი ჩამორთვა და უთხრა: მე თქვენი ნამუშევრების ნახვა მინდოდა, დიდი მადლობა და ბედნიერი მგზავრობაო.

“მე მიყვარს თქვენი მიწა, ხალხი და მენახება ამ წმინდა მიწას ფეხსაცმლით შევეხო, შევბლალ ის. მზად ვარ ფეხშიშველმა მოვიარო მთელი თქვენი ქვეყანა, აქ ხომ ყველა ქვა ისტორიაა. მიყვარხართ ყველა, გმადლობთ, ნახვამდის!” რეზო ესაძის ეს სიტყვები ფესტივალის დამთავრებიდან ოთხი თვის შემდეგ ისრაელში, ჟურნალმა “ალიონმა” გამოაქვეყნა.

თანამედროვე ებრაული პოეზია

თარგმნა სალომე ფილფანმა

ელიშევა - დაიბადა რუსეთში 1888 წელს; მისი სახელია ელიშევა ჟირკოვა-ბიხოვსკი; წერდა ლექსებს რუსულად. 1913 წ. მოსკოვში შეისწავლა ებრაული ენა. 1920-ში იქორწინა შიმონ ბიხოვსკიზე, სწორედ მეუღლის ზეგავლენის შედეგად დაიწყო წერა ებრაულად. ისრაელში ჩავიდა 1925 წ. 1932 წ. გარდაეცვალა მეუღლე. გარდაიცვალა ტვერიაში 1949 წელს; დასაფლავებულია ქინერეთში. ელიშევა პროზაულ ნაწარმოებებსაც წერდა, თარგმნიდა ლექსებს ინგლისურიდან რუსულად და იდიშიდან ებრაულსა და რუსულ ენებზე.

ჩემი პატარა ლექსი

რა პატარაა ეს ჩემი ლექსი,
ვით ღრუბლის ფთილა,
და უშფოთველი,
როგორც სიო ფოთოლთა შორის,
რბილი და ნაზი, როგორც ჩრდილი
მცხუნვარე მზის ქვეშ.
და ასე იყო, ასე იყო ოცი წლის წინათ.
რა მსუბუქია ჩემი ლექსი,
რარივ ფაქიზი,
ყური კვლავ უხმობს საიდუმლოს,
სული-გაგებას,
მე შენ მიყვარხარ - მსურს იცოდე
მხოლოდ ეს ერთი,
და ასე იყო, ასე იყო ოცი წლის წინათ.

რახელი - რახელ ბლუვშტეინი - დაიბადა 1890 წ. ჩრდ. რუსეთში. ლექსების წერა დაიწყო 15 წლის ასაკში რუსულ ენაზე. უფროსი ძმის გავლენით დაუკავშირდა ისრაელსა და სიონიზმს. გიმნაზიის დასრულების შემდეგ კიევში გადავიდა, სადაც სამხატვრო ხელოვნებას დაეუფლა. 1909 წ. დასთან ერთად ისრაელში ჩავიდა. რახელი ქინერეთში გოგონათა სასწავლო ფერმაში მუშაობდა. მას ქინერეთის მომღერალ ჩიტს უწოდებდნენ. 1913 წელს საფრანგეთს მიაშურა სასოფლო-სამეურნეო საქმის შესწავლის მიზნით; დაასრულა აგრონომიის სასწ. კურსი, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის გამო ვეღარ მოახერხა ისრაელში დაბრუნება. 1931 წ. გარდაიცვალა, დაკრძალულია ქინერეთში.

უშვილო

შვილი რომ მყოლოდა!
ბიჭუნა პატარა,
შავი კულულებით,
ჭკვიანი, შავთვალა,
ხელჩაკიდებულნი ვივლიდით ნელ-ნელა
ჩვენ ორნი -
მე და ის - ბიჭუნა პატარა.
ურის დავარქმევდი მე ჩემს შვილს სახელად,
სათუთი, ფაქიზი, წვეთია ნათლისა.
ყრის დავარქმევდი
მე ჩემს შვილს სახელად.
არ მოვაკლებდი რისხვას რახელისას,
არც ლოცვას ხანასას.
მე ისევ ველოდები მას.

მორდებია ტემკინი - დაიბადა პოლონეთში 1891 წელს; ისრაელში დასახლდა 1912 წელს;
მუშაობდა გალილესა და იერუსალიმში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, თარგმნიდა
სხვადასხვა ენებიდან. გარდაიცვალა იერუსალიმში 1960 წ. დაკრძალულია ქინერეთში.

ლოცვა: რა იცის ღმერთმა?

რა იცის ღმერთმა ადამის ძის უპოვრებაზე?
რა იცის ღმერთმა ადამის ძის ხორცის ტკივილზე,
რა იცის ღმერთმა მძაფრ სურვილზე, ძლიერ ვნებაზე,
ადამის მოდგმის ობლობაზე, მარტობაზე.

გრძნობამორევით მისკენ ილტვი გიჟი, შეშლილი,
ისევ დუმილი, მღუმარება გამეფებული...
რა იცის ღმერთმა
ადამის ძის უპოვრობაზე?!

შალომი - შალომ შაფირა - დაიბადა პოლონეთში ხასიდების ოჯახში 1950 წელს. მსოფლიო
ომის დაწყების გამო მისი ოჯახი ვენაში გადავიდა. თავდაპირველად წერდა გერმანულ ენაზე,
ხოლო შემდეგ ებრაულად. 17 წლის ასაკში ჩავიდა ისრაელში, დასახლდა იერუსალიმში,
დაამთავრა რელიგიური სასწავლებელი და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას ხასიდების
უბანში - რომ-ფინაში. სწავლობდა გერმანიის უნივერსიტეტში ფილოსოფიის განხრით.
სწავლის დასრულების შემდეგ დაბრუნდა ისრაელში, მოღვაწეობდა სხვადასხვა ქალაქებში,
ბოლოს კი ხაიფაში შეუდგა ლიტერატურულ საქმიანობას. მისი ლექსები, მოთხრობები,
პიესები მრავალ გამოცემაშია დაბეჭდილი, თარგმნილია მრავალ ენაზე; პოეტი მრავალი
ლიტერატურული პრემიის ლაურეატია. ამჟამად იგი ისრაელის მწერალთა კავშირის
პრეზიდენტი. მინიჭებული აქვს ისრაელის სახელმწიფო პრემია.

ზარები

შორეთს მიმავალი ქარავნები,
ზარები,
არაბი ქარავნის სათავეში,
ზარები.
გოდების კედლის ქვანი,
ზარები,
მლოცველი ებრაელი,
ზარები.
ზარები იერუსალიმს,
ზარები,
რეკენ სალამო ჟამს
ზარები.

ირვინგ ლეიტონი - დაიბადა 1912 წ. რუმინეთში. ჯერ კიდევ ბავშვობისას, მშობლებთან ერთად კანადაში გადავიდა; გამოსცა 45 წიგნი, რომელიც 12 ენაზეა ნათარგმნი;

ტრაგედია

მე მოვიწვიე იგი ჩემთან
და ის მოვიდა -
ყმაწვილი ქალი
მოფარფატე, ჰაეროვანი...
მე კი მოხუცი - სამოცდაათს მიტანებული
მოგონებებით დამძიმებული,
სენშეპყრობილი.
მეფე ლირმა და ოდიპოსმა
შეძრეს სამყარო,
დარბაზები ააზანზარეს...
იყვნენ კი - ორნი უსინათლო მოხუცებულნი.

თარგმნა მალხაზ კოხრეიძემ

იეჰუდა ამიხაი (1924-2000) დაიბადა გერმანიაში. 11 წლის ასაკში ჩავიდა წმინდა მიწაზე. მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა ბრიტანულ ჯარში. მუშაობდა პედაგოგად. აქვს გამოცემული მრავალი პოეტური კრებული.

უფალო შემიწყალე

უფალო ჩვენო შემწყალეო,
რომ არა შენი შეწყალება
სამყარო ჩვენი შეგვიწყალებდა.
კვრეფ ყვავილებს და მდელოს გავცქერო
გორაკებიდან მოვათრევე გვამებს.
წავილულულუღე, რომ დედამიწა
წყალობისაგან დაცარიელდა.

ზღვასთან მარილის ვიყავ მეუფე
გაშეშებული ვიდექ სარკმელთან.
ვითვლი ნაბიჯებს ანგელოზების
და გული ქშენით საწონებს ქაჩავს.
სიტყვისკონიდან წარმოვთქვამ მცირედს.

მე უნებლიედ გამოვიცანი -
სამყაროს მიღმა, რომ არა ღმერთი,
ისევ სამყარო შეგვიწყალებდა.

ჩრდილის ბავშვები

დავხუჭავ თვალებს
და ისევ ის ხმები
წინდებჩაცმული
დალასლასებენ.

გაყურებული ჩრდილის ბავშვები
ვით მძორს თაგვისას, მიგდებულს გზაზე
გვერდს აუხვევენ მზის რგოლებსაც.

ნაცრადქცეულ ცნობიერებას
სტუმრობენ ღამით,
უსასრულოა სიმყუდროვე ნაცნობ ვაგონში,
რაც ბავშვებისგან ნახშირით ჩამოიცალა.
შემორჩა ორთქლი,
ცვილის სიფათა ანგელოზები, ნაჭრის თოჯინა,
ქალაქის ნავი,
ძაფებისა და ღილების გროვა.

ეს ყველაფერი გამიფრინდა, აღარ ჩანს უკვე
მათი თვალები კეფას ჩემსას ჩასჩერებია.

თარგმნა სალომე ფილფანმა

სარა კირში - დაიბადა 1935 წ. აღმ. გერმანიაში; სწავლობდა ლაიფციგის ლიტერატურის
ინსტიტუტში. პირველი პოეტური აღიარება მოიპოვა წიგნის “საუბარი ხვლიკთან”
გამოქვეყნებით. 1974 წ. მიენიჭა ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის პრემია. 1978 წ. გადავიდა
დასავლეთში; ამჟამად ცხოვრობს ჩრდ. გერმანიაში, ერთ-ერთ სოფელში.

ყინულის ქვეყანა

თეთრი მზე ქრება,
კვნესით ეფარება დათოვლილ ბორცვებს,
წყვედიანი მეფობს,
გრიგალი მღერის საზარელ ნოტებს...
ტკივილმა მოიცვა მთელი დედამიწა,
ბნელი იბადება, ნათელი კვდება,

წერენ პოეტები:

პოი შენ, ზაფხულო,

პოი შენ, ხანმოკლე და თავბრუდამხვევო...

დალი რავიკოვიჩი - დაიბადა რამათ-განში. მუშაობდა ჟურნალისტად და მასწავლებლად. გამოსცა ლექსების 6 კრებული, მოთხრობების წიგნი და ორი საბავშვო წიგნი. გამოიცა ლექსების კრებული ინგლისურ ენაზე ლონდონსა და ნიუ-იორკში. ცხოვრობს თელ-ავივში.

თვალის ახელისას

თოვლო მთების,

მაღლობების,

დამიბრუნე შვილი.

გევედრები,

იერუშალიმ,

დამიბრუნე შვილი.

მთანო, ქარნო,

შენც ბეთლემო,

დამიბრუნე შვილი.

ნიაღვრებო,

ჩანჩქერებო,

ლერწმის სუსტო ღერო,

ნაკადულო, მწვანე ბუჩქო,

დამიბრუნე შვილი...

სხეულს თვალის ახელისას

უბრუნდება სული.

თარგმნა მალხაზ კოხრეიძემ

ციფი მიხაელი დაიბადა 1964 წელს საქართველოში. 7 წლის ასაკში მშობლებთან ერთად ჩავიდა ისრაელში. ისრაელშივე დაამთავრა საშუალო სკოლა და ბარ-ილანის უნივერსიტეტი. მუშაობს პედაგოგად. ლექსების გარდა მის კალამს ეკუთვნის ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების თარგმანები. მისი ლექსების თარგმანები ხშირად იბეჭდება ქართულ პერიოდიკაში.

მართალია

მე გავიყავი,

მართალია

მე გამყო მტკვარმა

როგორც ლბილ ბამბას

მის მიწაზე მომეალერსა.

ხსოვნა კლდეებზე ამოკვეთეს

და გაზაფხულის კანონები წარმომესასა,

გადავდგამთ ნაბიჯს

ბავშვურ ნაბიჯს

აზრები კი სხვა მზეს გლოვობენ.
გაყოფილ წიგნში
შეხვედრაცაა და განშორებაც
ვიწრო მდინარე მათ დაიფარავს
ამასობაში ჩემი მარცხი გავითავისე.

თარგმნა სალომე ფილფანმა

აშერ რაიხი - დაიბადა იერუსალიმში რელიგიურ ოჯახში. 18 წლამდე სწავლობდა ეშიბოთში (რელიგიური სასწავლებელი), ხოლო მოგვიანებით იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში. მისი ლექსების პირველი კრებული გამოქვეყნდა 1960 წელს, შემდგომ კიდევ რამდენიმე კრებული გამოიცა და იგი რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატი გახდა. მისი ლექსები ნათარგმნია მრავალ ენაზე და დაიბეჭდა სხვადასხვა ანთოლოგიებში. 1989 წ. მიენიჭა ისრაელის კულტურის და განათლების მინისტრის პრემია.

ზამთრის მუსიკა

პირველყოფილი წყვილია, უკუნი,
უფსკრულში ჩანჩქერთა ხმა,
ქარი, ტყე, ღრუბელი - მღელვარე ამინდი -
არ ემორჩილება კაცს.

მშიერ დათვთა ბრდღვინვა არღვევს მყუდროებას
აღუბლით ვამშვიდებ მათ,
იქვე ხეებს შორის
კრთის მფრთხალი ირემი
ესმის რა მას ჩქამი, ხმა.

მფრინავი ხალიჩა - ღრუბლის თეთრი ქულა,
პოეტმა სანამ კი სთქვა:
“ოდესღაც ვიყავი მელია, წითელი,
გორაკზე წავაწყდი, რაც მსურდა მას”.
სტრიქონი სტრიქონს მისდევს
ზამთრის ცივ ღამეში
და უთბობს, უგიზგიზებს სულს პოეტ ქალს.
წვეთ-წვეთ ეპკერუბა მიწის წვიმის წყალი,
მოისმის ღრუბელთა ხმა,
ლამაზი მუსიკა - ცელქი წვიმის ენა -
ქარს ესმის ეს, მხოლოდ ქარს.
მელიას ქვითინმა შეძრა ცის კამარა,
შენც გესმის, გაიგონე, სარა?
ბახუსით მთვრალი კაცი მიფრინავს ზეცისკენ,
შეხედე, დაინახავ, სარა.

გალით ხაზარ როკემი - დაიბადა ფინეთში. ისრაელში ჩავიდა ჯერ კიდევ ბავშვობაში. იკვლევს და ასწავლის მშობლიურ ლიტერატურას და “მიდრაშებს” (ბიბლიის კომენტარებს) იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში. 1989 წ. თელ-ავივში გამოიცა მისი ლექსების კრებული.

* * *

ზეიმობს სიკვდილი
ყოველ შემოდგომას ხელახლა, თავიდან,
ფერი ნარინჯისა, სიყვითლე გარგლისა,
სიწითლე ღვინისა...
ფოთლები ღვივიან და წუთით მღერიან,
მწვანე კი დამძიმდა, მოკვდა...

ძველი ეკლესიის მახლობლად ბაღში
ვეძებ სათამაშოს მე მძიმე ქვიშაში.
პატარა ღოქები, ქოთნები პაწია, ნუთუ გამქრალია? -
მართლაც გამქრალია.

მივიწყებულია ქვეყნად ყველაფერი -
პატარა სათამაშოც, სახელნი, ფერნი...
ერთია უკვდავი, მძლეველი ჟამისა -
სიტბო, სიმხურვალე შიშველი სხეულისა.

ამბავი ავტობუსის მძღოლისა, რომელსაც ღმერთად გახდომა ეწადა

ეთვარ კერეთი
ებრაულიდან თარგმნა მამუკა ბუცხრიკიძემ

ეს ამბავი ერთ ავტობუსის მძღოლზეა, რომელიც დაგვიანებულ მგზავრებს კარს არასოდეს უღებდა. მძღოლი კარს არავის უღებდა, არც გულჩათხრობილ თინეიჯერებს, მანქანას ფეხდაფეხ რომ მოსდევდნენ და მწუსარე მხერას ადევნებდნენ, და, რაღა თქმა უნდა, არც გულფიცს ადამიანებს, კარზე რომ აბრაზუნებდნენ, თითქოს თავად დროზე მოსულიყვნენ და მძღოლი იყო დამნაშავე, ავტობუსში ასვლას რომ ვერ ახერხებდნენ. არც მოხუც ქალებს იბრალებდა, რომელთა აკანკალებულ ხელებში პროდუქტით სავსე ყავისფერი ტოპრაკები ქანაობდა. სიავით როდი მოსდიოდა, კარებს რომ არ აღებდა - ამ კაცში ბოროტების ნატამალიც არ იყო - ეს წესი მისი იდეოლოგიიდან მომდინარეობდა. მძღოლის იდეოლოგია კი შემდეგს ქადაგებდა: თუ, დაგუშვით, შეფერხება დაგვიანებული მგზავრის ასვლაზე სულ მცირე ნახევარი წუთი იყო, ხოლო ავტობუსის გარეთ დარჩენილი ადამიანი კარგავდა თხუთმეტ წუთს თავისი სიცოცხლისა, საზოგადოებისათვის უპრიანი იყო, არ გაეღო მისთვის კარი, ვინაიდან ამ ნახევარ წუთს ავტობუსის ყოველი მგზავრი კარგავდა და თუ, ვთქვათ, ავტობუსში სამოცი კაცი იყო, რომლებიც გაჩერებაზე პატიოსნად მოვიდნენ თავის დროზე, მაშინ ისინი ერთად ნახევარ საათს დაკარგავდნენ, რაც თხუთმეტ წუთს ორჯერ აღემატება. ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მძღოლი კარს არავის უღებდა. მან იცოდა, რომ ამ მიზეზზე წარმოდგენა არ ჰქონდათ და არც მათ იცოდნენ ამის შესახებ, ვინც მას მოსდევდნენ და ანიშნებდნენ, კარი გაეღო. მან აგრეთვე იცოდა, რომ უმრავლესობა უბრალოდ მანიაკად მიიჩნევდა, და რომ პიროვნულად მისთვის ბევრად უფრო იოლი იყო მგზავრებისათვის ასვლის საშუალება მიეცა და სანაცვლოდ მათგან მადლობა და ღმინი მიეღო. მაგრამ მადლობა-ღმინისა და საზოგადოებისათვის სასიკეთო საქმეს შორის არჩევანში მძღოლი უყოყმანოდ ამ უკანასკნელს ანიჭებდა უპირატესობას.

კაცს, რომელიც ყველაზე მეტად იტანჯებოდა მძღოლის იდეოლოგიის გამო, ედი ერქვა. ჩვენი მოთხოვნის სხვა ადამიანებისაგან განსხვავებით, მეტისმეტი სიზნანტისა და უსიცოცხლობის გამო ის არც კი ცდილობდა უკან გაჰკიდებოდა ავტობუსს. ეს ედი მზარეულის თანაშემწე იყო პაბ-რესტორანში, რომელსაც სიტყვათა თამაშის ყველაზე წარმატებული კომბინაციის მიხედვით “ბისტრო” ერქვა. საჭმელი ამ დაწესებულებაში განსაკუთრებული იყო, მაგრამ თავად ედი იყო საყვარელი ადამიანი, იმდენად საყვარელი, რომ ზოგჯერ თუ კერძი ძალზე უგემური გამოუვიდოდა, მას თავად მიჰქონდა იგი სუფრაზე და მოიბოდიშებდა ხოლმე. ერთ-ერთი ამგვარი მობოდიშების დროს მას ბედი გაეხსნა, უფრო სწორად, შანსი მიეცა ბედნიერებისათვის - ერთი ქალიშვილი ისეთი კეთილი აღმოჩნდა, რომ შეეცადა ბოლო მოელო ედის მიერ მომზადებული როსტ-ბიფისათვის, რათა ბიჭს თავი უხერხულად არ ეგრძნო. ქალიშვილმა სახელის გამხელა ან ტელეფონის მიცემა არ ინდომა, მაგრამ საკმაოდ კარგი გოგო აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მეორე დღისათვის, ხუთ საათზე, ერთ ადგილას, თუ დავაზუსტებთ - დელფინარიუმში, მასთან შეხვედრაზე დათანხმებულიყო. ედის ავადმყოფობა სჭირდა, ავადმყოფობა, რომელმაც ბევრი რამ ჩაუძწარა ცხოვრებაში. იგი არ იყო პოლიპოზის მსგავსი რამ დაავადება, მაგრამ ედიმ უკვე არაერთი უკეთურება იწვნია მისგან. ეს სენი მას უბიძგებდა, რომ მუდამ ათი წუთის დაგვიანებით გაღვიძებოდა. და ყოველგვარი მალვიძარა უძღური იყო ამ ავადმყოფობის წინაშე. ეს გახლდათ მიზეზი მისი “ბისტროში” დაგვიანებისა, ეს და ის ჩვენი მძღოლი, რომელიც საზოგადოებრივ ინტერებს ყოველთვის პიროვნულზე მაღლა აყენებდა. ოღონდ ამჯერად, ვინაიდან საკითხი ბედნიერებას ეხებოდა, გადაწყვიტა ედიმ დაეთრგუნა დაავადება და შუადღეს დაძინების ნაცვლად ფხიზლად დარჩენილიყო და ტელევიზორისათვის ეყურებინა. მეტი თავდაჯერებულობისათვის ერთი საათი კი არა, სამი დაიდო ახლოს და კიდევ სატელეფონო მალვიძარაზეც მისცა შეკვეთა. მაგრამ ეს სენი უკურნებელი იყო და ედიმ საბავშვო გადაცემის წინ ჩვილივით ჩათვლიდა. ტრილიონ-მილიონი საათის გამაყრუებელ კივილში ოფლში გაწუწულმა ათი წუთის დაგვიანებით გაიღვიძა. ედი ქუჩაში იმ სამოსელით გამოვიდა, რომლითაც ეძინა და ავტობუსის გაჩერებისაკენ მოჰკურცხლა.

მას აღარც ახსოვდა, სირბილი როგორ უნდოდა, ფეხები ეხლართებოდა და ტროტუარიდან უცდებოდა. უკანასკნელად მაშინ გაიქცა, როცა აღმოჩნდა, რომ შეიძლებოდა ფიზკულტურის გაკვეთილიდან მოეკურცხლა, მაშინ, სავარუდოდ, მეექვსე კლასში იყო. იმჟამინდელი ფიზკულტურის გაკვეთილებისაგან განსხვავებით ამჯერად მთელი ძალით გარბოდა, რადგან ახლა მართლაც ჰქონდა რაღაც დასაკარგი. ბედს გამოდევნებულს არაფრად მიაჩნდა არც ტკივილები მკერდში და არც მანქანის სიგნალები. არსებითად ყველაფერი ჩირად უღირდა, გარდა ჩვენი მძღოლისა, რომელმაც კარი ცხვირწინ მიუკეტა და ავტობუსი ადგილიდან დაძრა. მძღოლმა კი დაინახა სარკეში ედი, მაგრამ, როგორც ვთქვით, მას თავისი იდეოლოგია ჰქონდა, იდეოლოგია, რომელიც სამართლიანობასა და მარტივ ანგარიშს ემყარებოდა. ოღონდ ედის არაფრად აინტერესებდა ეს ანგარიში, ცხოვრებაში მან პირველად მოიწადინა ადგილამდე დროულად მიეღწია და ამიტომ ავტობუსს კუდში გაეკიდა, თუმცა ჩაჯდომის არავითარი შანსი არ ჰქონდა. მოულოდნელად ედის ბედმა გაუღიმა, გაჩერებიდან ას მეტრში მდგარმა შუქნიშანმა ავტობუსის მიახლოებისთანავე წითლად გაანათა. ედიმ მოახერხა ავტობუსს მიკვროდა და მძღოლის კარამდე მიბობლებულიყო. ძალაგამოცლილს მინაზე არც დაუკაკუნებია, მხოლოდ აწყლიანებული თვალებით შეაჩერდა მძღოლს და აქოშინებული და არაქათგამოცლილი მუხლებზე დაეშვა. ამ სურათმა მძღოლს რაღაც შორეული გაახსენა, ის ხანა მოაგონდა, როცა მძღოლად გახდომის სურვილამდე ოცნებობდა ღმერთი ყოფილიყო. ეს მოგონება ცოტა სევიანი იყო, რადგან ის საბოლოოდ ღმერთი არ გამხდარა, მაგრამ მხიარულიც იყო, რადგან მან ავტობუსის მძღოლობას მიაღწია, ეს კი მისი მეორე ოცნება გახლდათ. და უცაბედად მძღოლს გაახსენდა, ერთხელ როგორ დაჰპირდა საკუთარ თავს, რომ თუ ოდესმე ღმერთი გახდებოდა, სათნო და მოწყალე იქნებოდა და ყურს დაუგდებდა ყოველ თავის ქმნილს. და როცა იხილა ედი ასფალტზე მუხლმოყრილი მძღოლის მაღალი

სავარძლიდან, ველარ მოითმინა და მთელი თავისი იდეოლოგიისა და მარტივი ანგარიშის მიუხედავად, მას კარი გაუღო. და ელიც ავიდა. მას მაღლობაც კი არ უთქვამს ჰაერის უემარისობის გამო.

უპრიანი იყო ამ ამბის კითხვა აქ შეგვეწყვიტა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ედიმ დელფინარიუმს დროზე მიაღწია, მას ბედი მაინც არ სწევია, უბრალოდ იმიტომ, რომ იმ ქალიშვილს უკვე ჰყავდა შეყვარებული და ვინაიდან ის კარგი გოგო იყო, მისთვის არასასიამოვნო იყო ელისთვის ამის თქმა და არჩია ბიჭს ხელიდან დასძრომოდა. ედიმ დათქმულ სკამზე თითქმის ორ საათს იცადა. სკამზე მჯდომს სევდიანი ფიქრები მოეძალა თავის ყოფაზე, მერე ჩამავალ მზესაც გაუშტერა მზერა და მოაგონდა, რომ მის კუნთებს ცოტა დაჭიმვა კიდევ მოუწევდა. უკან გამობრუნებულმა შორიდან დალანდა თავისი ავტობუსი, რომელმაც გაჩერებაზე გააჩერა და მგზავრები გადმოსხა. ედიმ იცოდა, სირბილის ძალა და სურვილიც რომ ჰქონოდა, მას მაინც ვერ მიუსწრებდა, ამიტომ გზას დინჯად გაუყვა, ყოველ ნაბიჯზე მილიონი კუნთის გადალლას გრძნობდა, და როცა გაჩერებას მიაღწია, დაინახა, რომ ავტობუსი ჯერ კიდევ იდგა, იდგა და მას ელოდა. ხოლო მძღოლი, მიუხედავად უკმაყოფილო მგზავრების ბუზღუნისა და ჩივილისა, იცდიდა, ვიდრე ელი ავიდოდა და გაზის პედალს ფეხი მანამ არ დააჭირა, სანამ მან დასაჯდომი ადგილი არ მოძებნა. და როცა დაიდრნენ, ელის ნაღვლიანი თვალი ჩაუკრა, რამაც მთელი ეს ამბავი ასატანი გახადა.

„ვარსკვლავთა მანტიის“ კალთა

ზაალ სამადაშვილი

მეგობარი

ერთი თვე გაჩერებული ვიყავი, გრამი არ ჩამიშვია პირში. სამი დღის წინ ცოტა ღვინო მოვწრუპე დიდი ხნის უნახავი ქალის ხათრით და ავუშვი აფრები. ადრე ეგრე იოლად არ ვიკიდებდი “ზაპოის“, სულ ცოტა, ორი კვირა უნდა მესვა გადაბმულად, ნახევარ საათში ერთხელ ჩარტყმა რომ მომნდომებოდა... ბაკურას რომ დავურეკე, ცხრა ხდებოდა... აღარც დასალევი მქონდა, აღარც ფული. ღამის მეშინოდა, გათევა ხომ უნდოდა იმ ოხერ ღამეს... რედაქციაში იყო; მაგის რედაქცია აქვეა, ყოფილ ათარბეგოვზე... ერთ საათში მივედი. ტელეფონში კი ვუთხარი, ძვირიანი არ წამოიღო, რამე იაფფასიანი იყიდე მეთქი, მაგრამ მაინც ძვირიანი არაყი მოიტანა – “მარაჯეფუფ”- დაღლილი იყო, თვალეები ამოწითლებული ჰქონდა. სამშაბათობით, როცა გაზეთს უშვებს, მუდამ ასე გამოიყურება ხოლმე. დავუსხი, მაგრამ არ დალია. ვილაც სერბ მწერალზე ჩამომიგდო სიტყვა, გვარად მგონი პავინზე. ახალი ავტორების მონაა, რაც თავი მახსოვს, სულ ეგეთი იყო. პირველად მაგისგან გავიგე კერუაკი და ბაროუზი, თან როდის, სამოციანი წლების ბოლოს, ბიტნიკების კი არა, საკუთარ კლასიკოსებს რომ გვიმალავდნენ, მაშინ. ბოლო რომანი აქო იმ სერბის – “ვარსკვლავებიანი მანტია”, თუ “ვარსკვლავებიანი მოსასხამი”. რაზეა-მეთქი, რომ ვკითხე, მაგრად გახალისდა, - ათი წლის ბიჭის ფოსტას გამოდიხარო. რა ვქნა, სვიფტის და სტივენსონის კაცი ვარ, იმათი ჩავგირისტებული ამბები მიყვარს, ვერ ვიტან, მაზალო კონსტრუქციებში ბორიალს. სტივენსონის გახსენებაზე, “ბრმა პიუს” თარგმანს რომ შემპირდი, ხომ არ დაგავიწყდაო, მკითხა და თავისი განუყრელი “ასტრის” უმყრალესი ბოლი შემომაფუტა, ჰონორარი მაინც არ გინდაო?! ბორხესს რა დამავიწყებს - მეთქი, მივუგე და ერთი ამოსუნთქვით წავუკითხე რუსული ვარიანტი, მეორე სტროფი – “láèàýì çèùìè òòìðñèèèè ìñàìè”-თ რომ იწყება – ღამის გამოთქმით. დუბინი რომ მაგარი მთარგმნელია, ვიცი, შენ-შენი გაკეთებული დადე

“სტოლზე”, მითხრა თავის კანტურით და ისევ შემომბოლა “ასტრა”... დიდხნას აღარ ივლიანო, მომიბოდიშასავით, ტკიცინა ხუთლარიანი დამიტოვა და წავიდა... იმ ღამეს რაც შეემთხვა, გვიან გავიგე, “ზაპოიდან” რომ გამოვძვერი, მერე. საავადმყოფოდან გამოყვანილი ჰყავდათ უკვე, შინ იწვა, მოწვევა აკრძალული ჰქონდა და ასანთის ღერების მტკერევიტ ირთობდა თავს; მოზრდილი ჯამისხელა საფერფლე გაავსო ჩემს იქ ყოფნაში...

მძლოლი

სხვა დღე რო ყოფილიყო, ნაღდად არ დამახსოვდებოდა – ვინ სად დამიქნია ხელი და როდის ჩამიჯდა. იმ დღისა იმიტომ მახსოვს ყველაფერი, რო საწყალი მამაჩემის ამბის მერე პირველად გავედი სამუშაოზე. მაგრა გამიჭირდა, სუ ცხონებული მედგა თვალწინ. რა უნდა ქნა ეგეთ დროს, ავარიას ხო არ მოახდენ?! უნდა ადგე და ყურადღება სხვა რამეებზე გადაიტანო. მეც ეგრე ვქენი...

ოპერასთან გამაჩერა. თორმეტი იყო დაწყებული, ბოლო “კრუგზე” მივდიოდი. უკან აპირებდა დაჯდომას, სალონში, მაგრამ კარი არ გამოალო, დაინახა, რო იქ გოგო და ბიჭი კოცნობდნენ და წინ ჩამიჯდა. ტყავის კეპკა ეხურა და ჩვენებური, შოფრული კურტკა ეცვა – მოკლე, მკლავებზეც რო ჯიბეები აქ, ისეთი. არ ვიცი, ნასვამი იყო, არ ვიცი, დალლილი, გზაში ერთი-ორჯერ დააყვინთავა...

“გეპეისთან” ჩამოვიდა. შუქები არ იყო. ისე ბნელოდა, ისე ბნელოდა, რო სააკადის ძეგლი არ ჩანდა. დიდხნას ეძება ფული, ყველა ჯიბე ამოიბრუნა. თქმა რო დავაპირე, არ გინდა ძიაკაცო-მეთქი, იპოვა, ხელისგულზე გადათვალა ხურდები, მომცა თან ბოდიში მომიხადა, გალოდინეო... გოგო და ბიჭი მერე ჩამოვიდნენ, გაგარინის ქუჩის დასაწყისში, ქურდაძეების ღვინის მაღაზიასთან...

სადაც ჩამოვსვი, იქიდან ოც ნაბიჯში, ზედ მოედანთან მიპარვიან ვილაცეები და კინალამ მოუკლავთ ცემაში... ახვრები... რა უნდა ჰქონოდა დასაყაჩაღებელი “მარშრუტკიდან” გადმოსულ კაცს?!

შვილი

შუქი ახალი მოსული იყო. ტელევიზორს ვუყურებდი. მეცხრე არხზე კესარია ევორა უბერავდა. იჯდა ეს გენიოსი ბებია, იდაყვებს ატოკებდა მარტო და უფრო მაგარი სამბა გამოსდიოდა, ვიდრე ცეკვისგან გახვითქულ მულატ ნაშებს...

კარგ ხასიათზე ვიყავი. საფულეში ხუთასი დოლარი მელო - შეკვეთებში, რაღაც სულელური ბუკლეტების გაფორმებაში აღებული ჰონორარი და გეგმებს ვაწყობდი, როგორ მოვიხეოდი ქალაქიდან ერთი კვირით და დავბრუნდებოდი თუ არა, როგორ ჩავიკეტებოდი ძმაკაცის სახელოსნოში სახატავად. მეც მამაჩემით ამეწყო ცხოვრება, ახალგაზრდობაში ისიც ყიდულობდა დროს, რომ ეწერა და ამისთვის ათას რამეს აკეთებდა, ერთი პერიოდი, მგონი მტვირთავადაც მუშაობდა რკინიგზის სადგურზე...

პირველი საათი იყო, ზარი რომ დაირეკა კარზე. მამაჩემს თავისი გასაღები აქვს, ნეტავ ვინ მოეხეტა ამ შუალამისას - მეთქი, გავიფიქრე და ძლივს ავითრიე წელი სავარძელიდან...

ვერ ვიცანი, საკუთარი მამა ვერ ვიცანი... წინ მედგა კაცი, რომელსაც სახე აღარ ჰქონდა. დასიებულ, სისხლიანი ნახეთქებით დაფარულ რაღაც მასას თვალების, ცხვირის, ტუჩების ნასახიც არ აჩნდა... ძველისძველი, გაქუცული კურტკით მივხვდი, რომ მამაჩემს შევეყურებდი...

რა მოგივიდა-მეთქი, დავიღრიალე გიჟივით. რაღაც ამოიჩვლიფინა გაუგებრად. კბილებიც ჩამტვრეული ჰქონდა...

სასწრაფო არ გამომიძახებია, ლიფტს ვერ ვენდე. მეზობელი მოვიხმარე, პლედზე დავაწვინეთ და ფრთხილად ჩავიყვანეთ კბილებზე...

მანქანა რომ მოვწყვიტე ადგილიდან, მერე გავფუჭდი, წამომივდა ცრემლები... საიდანღაც გადმოვარდნილი, ან სადმე ჩავარდნილი ნაღდად არ იყო -ფეხებს არ იტკენდა... ნაცემს ჰგავდა... მაგრამ იმ მომენტში “აბაროტზე” არ ვფიქრობდი... თან ვტიროდი, თან ღმერთს ვესვეწებოდი, მამა გადამირჩინე - მეთქი...

რესპუბლიკურში მივიყვანე, ჩვენთან, საბურთალოზე...

ექიმი

მორიგე ვიყავი სამშაბათს. ვიჯექი საორდინატოროში და სალიცინზიო ტესტებს ვიზუთხავდი. ერას წარმოვიდგენდი, რომ ორმოცი წლის ასაკში მეცადინეობა მომიწევდა. გამოცდები დაგვინიშნეს გაზაფხულზე, ვინც ვერ ჩააბარებს, სამსახურიდან დავითხოვთო. თავიდან, სანამ ტესტებს ვნახავდი, ყოჩაღად ვიყავი, ვფიქრობდი, განა რა შეკითხვები უნდა იყოს ისეთი, რომ ვერ ვუპასუხო - მეთქი... თურმე სად ხარ?! ვნახე და ისეთი რამეები ეწერა შავით თეთრზე, რომ გაცოცხლებს თვალები შუბლზე ამივიდა. მაგალითად, გეკითხებიან: რა არის დამახასიათებელი მიოკარდიუმის ინფარქტისათვის და ჩამოთვლილია ოთხი პასუხი - არტერიული წნევის დაწვევა, არითმია, ცვლილებები კარდიოგრამაზე, პულსური წნევის მომატება. გამოცდილ ექიმს კი არა, ინტერნსაც არ გაუჭირდება მიხვედრა, რომ პირველი, მეორე და მესამე პასუხი სწორია. არადა, ტესტებში წერია - პირველი, მეორე და მეოთხეა სწორიო. რა გინდა, რომ ქნა?! სხვა გზა არ გრჩება უნდა დაიზუთხო შემდგენლების ჭკუით სწორი პასუხები...

ის იყო, ყავის მოღუღება დავაპირე ათასი სისულელის დამახსოვრებით თავატკიებულმა, რომ ყვირილი მომესმა, მიშველეთო. დერეფანში ახალგაზრდა კაცი დარბოდა, ხან ერთ კარს მიაწყდებოდა, ხან მეორეს. რომ დამინახა, ჩქარა, ექიმო, დამიძახა და გარეთ გავარდა. სანიტრები არ ჩანდნენ. დავავლე საკაცეს ხელი და გავყვი...

ორმოცდაათი-ორმოცდათხუთმეტი წლის ტანმორჩილი, მაგრამ საკმაოდ ძვალმსხვილი კაცი უმოწყალოდ იყო ნაცემი. თავის არეში, კეფის ოღნავ ზემოთ, ორჯერ ჰქონდა დარტყმა მიყენებული რაღაცა მძიმე, ბლაგვი საგნით - რკინის ჯოხით, ან მილის გადანაჭერით. სახესა და ტანზე ძირითადად წიხლების, მაგარცხვირიანი ბათინკების კვალი აჩნდა მხოლოდ. ღვთის წყალობით, თავის ქალა გატეხილი არ იყო, ბზარი აჩნდა მხოლოდ. მაიკ ტაისონის ქალა ჰქონია მამაშენს, მარტო ტვინის შერყევით და ნაკერებით რომ გადარჩა - მეთქი ვუთხარი ახალგაზრდა კაცს საპროცედუროდან გამოსვლისას...

ფულს მიტენიდა ჯიბეში. თვალი მოკვარი, რომ დოლარები იყო. არ გამოვართვი. პალატაში რომ გადავიყვანეთ, გაიქცა და ორი ბოთლი ტეკილა მოიტანა, ერთი ბოთლი აქ გავტყულივით, მეორე შინ წაიღეთო, მთხოვა. საორდინატოროში დავლიეთ. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, ასე ნაცემი კაცი შინ თავისი ფეხით მოვიდაო... ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ, მაგრამ წამდაუწუმ ვუბრუნდებოდი თემას ქალაქის გადაგვარებისა და მასში გაბოროტებული ადამიანების მომრავლების შესახებ...

მწერალი

ნასვამი?.. ცოტა ნასვამი ვიყავი, კი... რედაქციაში დავლიეთ... როგორც ხდება ხოლმე... გაზეთის კეთებას რომ მოვრჩით, მერე გაგვახსენდა, მთელი დღის მშვივრები რომ ვართ... გადავირბინე გასტრონომში - პური, ძეხვი და ღვინო ვიყიდე... სამნი ვიყავით, თითო ბოთლი ღვინო რას გვიზამდა?.. ცხრა ხდებოდა, ბავშვობის მეგობარმა რომ დამირეკა, “ზაპოი” მაქვს, რამე სასმელი ამომიტანეო... კიდევ კარგი, ათი ლარი მქონდა... მივუტანე... მართლა ცუდად იყო... მორალის კითხვას ხომ არ დავუწყებდი?.. ახალ წიგნებზე ველაპარაკე... ბოლოს შევუგდე, ბორხესის თარგმნას რომ შემპირდა, ხომ არ დაგავიწყდა - მეთქი... ჩემი ჭკუით გამოფხინზლებისაკენ ვუბიძგე... მალე წამოვედი... თერთმეტი ხდებოდა, “მარშუტკაში” რომ ჩავჯექი... ჩემს სახლამდე რომ მიდის, იმას აღარ დაველოდე, საბურთალოსკენ მიმავალ პირველივე მანქანას დავუქნიე ხელი... “გეპეისთან” გავაჩერებინე.. მოედანზე გადავედი... სააკაძის ძეგლთან არმისულს მგლიჯეს თავში... არ ვიცი რკინა, არ ვიცი - ქვა... უკნიდან მომეპარნენ... მანამდე არავინ შემიმჩნევია, შემალულები იქნებოდნენ სადმე... მოკლედ, მგლიჯეს... პირველად რომ გავახილე თვალები ჯიბეებს მიჩითავდნენ... ორნი იყვნენ... ერთი მუცელზე მაჯდა, მეორე იდგა... წამოწევა დავაპირე, რას შვრებით მეთქი... ისევ მომხვდა... რო იდგა, იმან მგლიჯა ფეხი, ისევ თავში... ვაკითხე... მუცელზე რომ მაჯდა, იმანაც მირტყა, ეტყობოდა, იმან ალბათ მუშტები... იმის ცემა აღარ მიგვრძნია... მეორედ რომ მოვედი აზრზე, უკვე მარტო ვიყავი... წამოღვამას, სულ ცოტა, ნახევარი საათი მოვანდომე, საათზე მეტი - სახლამდე მიღწევას... კინალამ გაგიჟდა ჩემი ბიჭი, კარი რომ გამიღო... კურტკით მიცნო, კეპკა აღარ მესურა, ალბათ გზაში დავკარგე... სახე-ცხვირი, პირი, თვალები, რამე - აღარ მქონდა... საავადმყოფოში გამაქანა... სურათები რომ გადამიღეს და მიმკერ-მომკერეს, ნეიროქირურგმა თქვა, ტაისონზე მაგარი თავის ქალა ჰქონიაო, ეგეთ დარტყმას მარტო ტვინის შერყევით რომ გადაურჩაო... მოვიდა პოლიცია, მკითხეს, თავდამსხმელების სახეები თუ გახსოვთო... არა - მეთქი, ვუპასუხე... ბუნდოვნად მახსოვდა ორი ერთნაირი, ბულდოზერის ნიჩაბივით ყბა... ვინ უნდა ყოფილიყვნენ?.. მანიაკები?.. შეიძლება... ყველაზე და ყველაფერზე გამწარებული ადამიანები, ჩემი გამეტებელი ცემით დაგროვილი ბოდმისაგან რომ თავისუფლდებოდნენ თავიანთი ჭკუით... რამ გადამარჩინა... ძვლების სიმკვრივე?.. არა... იყო, “რალაც უფრო მნიშვნელოვანი” სერბი მწერლის, მილორად პავიჩის დავალება გახლდათ... მისი ბოლო რომანი მკითხველისადმი აღვლენილი თხოვნით მთავრდება... გასაჭირში ჩავარდნილი პერსონაჟების გადარჩენას ითხოვს ავტორი, ხუთი ასოსგან შემდგარი ქალის სახელის ამოცნობას... ასე მგონია, “ვარსკვლავთა მანტიის” კალთა მაქვს გადაფარებული, ვიდრე შევასრულებ... “ვარსკვლავთა მანტია” რომანს ჰქვია... ვიცი, გაგეცინებათ, მაგრამ არა უშავს, ტვინის შერყევას მიაწერეთ ეს დაუსაბუთებელი, უცნაური მოსაზრება...

Man That is Music and Poetry

About Irakli Charkviani

by Shalva Kedia

As James Brown noticed once in one of his great songs: “This is a man!”. I would like to add. A man that is music and poetry. I do not want to classify him as Georgian Ginzberg, or Ferlingetti, I do not know if he ever was Edgar Allan Poe or George Bernard Shaw, but I can surely say: this is Irakli Charkviani. And reading his words make me happy. Not because they are too optimistic, not because they have some cheesy sweetheart quality to themselves. Absolutely no. Indeed this

poet has grown up in a totalitarian state with lots of thuggish rubbish as we all have in former Soviet Georgia. It was a feudal country run by nomenclature, where very few people had the guts to stand up for freedom of speech or freedom of thought, let alone the minority rights. And it was very comfortable to stand in this position. No one would bother you if you won't challenge structural and cultural dis-functions of this society. And Irakli had an extremely good chance to be idle and have everything he wanted. But just like his father, who is also extremely intelligent man, with slightly different ideas, he decided to be spiritual rebel and a wonderful master of word and sound. In both languages, Georgian and English, his poetry represents depth coupled with responsibility, beauty coupled with love.

It is extremely important to be socially responsible poet in those days when it is almost assumed that artists should pay the dues to the rich and powerful in this country. They must be somehow apolitical, which means conforming with any kind of injustice. Not seeing economic domination, or oppression of women or gays, not seeing how all those rich and powerful drive this society into the virtual hell, where almost everyone is struggling to survive. It is also assumed that real art is just for the sake of art. Irakli was the one who had the courage to start a socially inspired poetry in the beginning of 90s. It is also extremely important to know that in the society where patriarchy, sexism, class chauvinism and elitism were almost not questioned by artists, Irakli is the visionary who can proclaim "Everyone can be a genius". These words have inspired many to start writing. Many like Kote Kubaneishvili, who started his poetry at the age of 38 and became also one of the most gifted poets. Charkviani's social charisma is contagious, his songs are outrageously direct, while not losing artistic touch.

Shortly I would like to say: It is simply incredible.

The rest you can read it and I hope you will enjoy it as much as I did.

Welcome to the world of Irakli Charkviani.

Poems

Irakli G. Charkviani

The Svans' Way (A Toast)

For Sir Edward and Lady Camilla Cazalet

Crowds in Gelati,
A central committee gangster
Smelling of french cologne and shish kebab
Smiles.

Historians know more
Than Churches do,
Searching for themselves,
In ruins,
In opened tins
Tourists leave
Beside Saints
Eternal Tins of faith
And love.

Dadiani – famous for his horns,
For a table
Napoleon loved, And something other
Nobody Knows,
Even the one – armed Lenin
Watching us.
One of the last
Tiny sculptures
Standing in Breughel yellow
With the Chinese eyes closed.

Hello, the red-checked Svan children
Your chewing-gum paradise,
Is in our pockets,
Not in Ushba's pleated bosom.
Symbols of power
Snow-white as Tetnuldi,
Stalin carved in rock
Welcomes the Patients
From Just bellow the roof.

“Ars longa!”
Tell it to those
Whose fathers were shot,
In the name of
Something more essential than “Vita”.
Something that is kept
In Ushguli,
I a locked museum,
In the eyes of a museum keeper
In the boiled cow's head,
Wich Tamerlane
Would have adored;
The head,
With a grin grimacing
At us, As if we were nothing
But a De Ja Vu.

Cults never die
Inside the genes
Inside the head on the banquet table.
Cult an incurable,
Beautiful disease.
And we say: Lah-la,
As we want to sing,
Paying in packs of Marlboros
For a chance to meditate;
Lah-la means everything
The mounts and the sky,
Lah-la is music,
That never dies
Lah-la fantasies

Sidewalk on dreams
Lah-la for the slaves
Lah-la for the kings,
Lah-la the purity,
Boundless love,
Lah-la we pray,
Lah-la is to the sun.

Lah-la's wild speed
A symphony of fear,
Nervous smiles and the clicking of bigters.
Svan Kamikadze
Rushing to nowhere
Stops.
Here's a smile
That cures,
Henrietta's smile.

And once again,
The sewer gratings,
Nostrils of the town
Exhaling the taste
Of Turkish baths
And Chernobyl.
The town were
Tinned herrings alone
Are displayed in the shops
As masterpieces of hermitage
The consequence of
Brezhnev's love of caviar,
And the fast cars
He did.
And do so others:
The Svan kamikaze,
The red – cheeked Svan children
When they learn,
The hosts
And the Invaders I love.

Boiled cow's head
Ready for penetration,
Toastmasters knife has touched
The brains,
Glasnost for Glasnost
Art for Art's sake.
Hurrah!
For the toppled monument,
Hurrah!
For the two pigeons
Who lived in its head,
For free,
But homeless couple.

Marvelous – said one of the guests
And the bus whisked them away.
We stayed in the night,
Wrapped in the CFC shirts
Speaking of the invaders
And wondering what Ionesco
Would have said
About it all.

Time – 2

Jet engine loneliness,
Strained,
Tense.
Inexpressible fear of contact
With things,
Lovers,
Vanished.
This is the end
Of romantic path,
Of rhyming words
Of glossing over
Of gazelle – eyed blues
Of vine – leaf eared maidens
And socialist romanticism,
Of sober women and boozy men
Vanished.
The rose has bloomed
Into nuclear mushroom
The matured Maughly
Stepped into
Concrete and steel jungle
With a Parra Bellum gun
In his hand
Bidding farewell
To the forest.
The time has come,
Time of true colors,
Time to paint
Red things red,
Time merciless, terrifying,
Like any other,
True,
Time.

For Yuri Gagarin

I'm here Mom.
Hey you, poets of the mundane,
My ex-wives,
Don't abandon me.
Is the race over?
Why have you all turned into movie Characters?
And when was the other projector switched on,
In this hall?
Triumph of spirit over flesh,
Or is the spring coming?
And snow's melting beyond the screen.
No longer can I feel your touch,
Your sorrow and warmth,
I can only see you
Wrapped in the gasoline winds,
Wearing fumes,
No I'm not dead, Mom
Everyone's wrong,
Tsara is right.
I'm here, Mom
Gagarin's son
Who never learned to fly,
Who's been hanging
Like a Chandelier
Staring down at the coffee cups
And the tobacco smoke.
I believed: in a smiling God
Clad in a space suit,
In black and white pornographic mystery
And Solzhenitsyn, locked up in the same drawer.
Then my God turned wine and burst
As for me, I learned to fly wingless,
Still hanging from the ceiling,
Like a crystal chandelier,
gaping at the coffee cups,
Fortune – telling
And the sea of ashes.
It is the triumph of the spirit over flesh
The spring has come
And snow is melting beyond the cinema screen.

Hamlet

Why does it ring any more,
Is everything mechanics?
Diffusion of thirst into music,
Touch of inaccuracies in Leonardo.
Elegiacity of the day
Sentimental stand of objects
Such as tombstones.
Don't worry,

My room is your room,
It's everybody's room.
Be patient,
And telephone will rise from the dead,
Rosencrantz and Guildenstern will call you,
If they aren't dead yet.
Everything's mechanics:
Things like missing someone,
Or the passage of time
I communicate with my stomach,
Someone's ringing me from the inside
A gonouboo lives inside me,
An injured,
African love.

Let Them Live

I beg you, Mom
Don't kill cockroaches,
Let them live.
They love warmth of heating radiators
Maybe they love each other too.
They have to live
Inside the gas-stove
We – on the earth,
So what?
You can't tell one cockroach from another,
They've got no names.
They enjoy warmth
And sweet apple jam
As we do.
They aren't to blame
For not knowing
That they exist.
Do the planets know
We call them names?
Yet, they spin around aimlessly in space...
I beg you, Mom
Never kill cockroaches:
Let them live.

As a Crystal Bowl

A cheek of cafe's tired son
Smells of his adulterous,
Worn out wife,
Who hates Mozart,
The husband's coat,
Atonality,
Apocalypse,

And she launched a paper boat
To rest at the sidewalk harbor
Overnight.
The coat, the glasses,
An American Cigarette,
Broken in the memo-book,
Right beside a telephone number,
The hone number of a friend,
Who died.
All's well that ends not.
He opened his eyes.
What happiness
When you can breathe
Through your coat
When you are clear
As a crystal bowl,
When whatever you are
Belongs to everyone
Your wife can no longer hate you
How can one hate air?
So what remains is:
Mozart,
The coat,
Atonality,
Apocalypse.
Woman is woman – says a postman,
The queen of turmoil,
Insane God,
Married to the whole mankind
Widowed
Fighting the invisible,
A lipsticked Kiss,
In the Gardens of Gethsemane.

The cafe can no longer breathe
The fumes of those smiling couples,
All is followed by war:
Phallic,
Ballistic,
Atomic envy,
Charged with dwarfish arrogance,
Lethal,
Aimed at a billion new-born,
Unsatiated,
Squeemish harakiry
TV commercial:
The wife believes in fat well-being,
The mighty of this world,
She is an expert on meals,
She quarells;

- Will you ever learn how to buy good meat?
- Never, replies the husband.

The paper boat sails along the sidewalk.

Editorial

Is There an Alternative to Power Politics?..

by Irakli Z. Kakabadze

We have many structural and cultural problems in contemporary world. Many of those problems are causing violent clashes and conflicts. Previous century has taught us that we shall not underestimate different factors in the human relationship system. We definitely have to consider different underlying causes of conflict, such as inequalities between classes, races, sexes. Basic human needs for security, identity, human bonding, recognition are unsatisfied in many cases. At the same time over 2 billion inhabitants of contemporary world live in extreme poverty, while the number of those who are benefiting from economic growth is very limited. But at the same time, we shall not forget that the same 20th century brought innovative spirit and many very promising discoveries in natural and social sciences. In many different industrial and postindustrial societies civic society has grown and brought relative prosperity to the middle classes. The phenomenon of middle class is growing, slowly but still growing. That means that contemporary capitalism has discovered in itself some creative elements too. Elements where cooperation sometimes could be much more productive than competition. "Better for you, better for me" instead of "I will survive at your expense" in few cases is a reality. But the problem remains, unfortunately this kind of paradigm has not shifted to the large parts of the world population. The creative potential of free enterprise system has not reached billions and billions of people, citizens of the world. That is why we are facing the imminent threat of terrorist attacks and global conflicts. The world is not bipolar anymore. It has become increasingly multi-polar. And it has become a much smaller place than it used to be. Expectations of people are growing, the capabilities are staying same in many cases. Although it is highly arguable that contemporary industrial society does not have a capacity to produce enough food and shelter to sustain a large parts of the world population. But the counter argument to that is that the corruption in the third world is reaching unprecedented high points and there is nothing that international organizations could do to radically improve the situation. "Banana Republics" make up the majority of the world population and the point of most economic conservatives is that they need to deal with their own problems on their own. Perhaps the truth lies somewhere in between those two arguments. Neo-colonialism and Neo-Economic-imperialism coupled with corruption in the third world oligarch systems is causing many structural problems in today's world. But we believe there is a way out of this chaos – a non violent way. The way is to engage the world in communitarian problem solving and to find creative ways of development so more and more citizens of the world feel included in the building of contemporary international community. Not just good old boys of Caucasian heritage, feudal oligarchs, small economic and political elites from around the world, but more ordinary citizens of the world.

Since Georgia has reclaimed its formal independence in April of 1991, unfortunately for us, Georgian Citizens, it has been either "Manana Republic" or a "Banana Republic". The political and especially economic power has been concentrated in the hands of few prosperous wealthy clans, that comprise no more than 1 percent of total Georgian population. Struggling middle class has not reached even 20 percent yet. Majority of our population is struggling to survive. So

we are under a threat of conflict, but there a lot of potential to prevent and solve conflicts here. It is in creative minds of Georgian people, that include many different ethnic traditions and many incredible creative talents, that are almost totally unnoticed. Only those who dedicate their creativity to either the Political leadership or powerful special interest groups get attention and subsequently financial support. There is so much opportunity for economic development in Georgia and in the entire Caucasus. The transparent process of economic development that would involve private, non-governmental and public sectors should focus on concrete plans o economically develop underdeveloped regions of the whole Southern Caucasus. That is certainly possible. It is also possible to bring back the spirit of problem solving and constructive engagement that is badly lacking in contemporary Georgian Society. Including more and people and making them participants of community building and nation building is number one challenge of our community today. Structural changes are necessary, but there is also a change in our consciousness, that we need to advocate. As citizens of the world we need to understand that unless we organize and participate in building the future for our communities, it will be impossible to have a good country or a good society. Just and fair system comes as a result of a hard work. We have great examples of the 20th century given by Mahatma Gandhi, Martin Luther King Jr., Vatslav Havel, Nelson Mandela and others, that have led to de-colonization and transformation in badly wounded societies. Of course, it is quite a challenge to follow the steps of those great practitioners of community building and nation building. At the same time it great to know that non-violent change is a possibility and shifting to higher level of consciousness is possible.

The new non-violent paradigm of structural change must include different components. It shall not forget that basic human needs, biological or ontological, need to be satisfied. There is a great chance to build a society that is based on synergy of wonderful ideas. That will unite in itself the great ideas of freedom and social responsibility at the same time. It is absolutely possible to have this kind of a society. There are also great examples of non violent struggles for peace and justice, and that is the only way to follow. We need to empower not only those who are disenfranchised and oppressed, but also those who feel the scarcity of power and resources so badly, that they could not find resources of compassion within themselves. Those are also human beings, sometimes even with good intents. It is just some wrong perceptions that drive them to the extreme, that creates such a huge gap between rich and poor, that sometimes goes into the war for the sake of property and power.

Georgia together with the international community is involved in fighting with international terrorism. We do believe that terrorism shall not be tolerated in any case. At the time we believe that demonisation of human beings, discrimination and other forms of oppression are extremely counterproductive and do not lead to peace. Instead of peace, they can bring war. All humankind needs to understand that violence, whether direct, structural or cultural leads to more violence and it becomes a never ending cycle. Let's hope that we can change our paradigm, from power politics to egalitarian peace building community, from elitist exclusive states to truly democratic societies, where we can overcome the boundaries of race, ethnicity, gender, class and religion. Humanism needs be resurrected in 21st century. But it shall not repeat mistakes of the previous centuries. We shall not be as dogmatic as our forebearers on the humanistic path and sometimes we shall not be as ruthless as they were. Violence never succeeds. It just achieves very temporary goals. On the contrary non-violent struggles have won. The idea of democracy, human rights, civic society, education and empowerment is becoming prevalent idea throughout the world. Problem solving is becoming a more useful tool for more and more people throughout the world.

Georgia can certainly become a democratic nation and it can certainly be a host to creative people from around the world. We shall work hard to meet this goal. It is an everyday labor requiring a huge effort.

სარედაქციო წერილი

სიყვარულის დოქტრინა ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში

ირაკლი კაკაბაძე

დღევანდელ დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში უამრავი ეკონომიკური და სოციალური პრობლემაა. ეს მართლაც ასეა. ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ერთის მხრივ, არსებობს მეტად მცირერიცხოვანი და ამავე დროს მეტად მდიდარი ზედა ფენა, რომელიც წარმოუდგენლად დიდ ფინანსურ და ეკონომიკურ საშუალებებს ფლობს, და, მეორე მხრივ, ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. ეს რა თქმა უნდა, სოციალური კონფლიქტის საწინდარია. არსებობს თუ არა კონსტრუქციული და პოზიტიური გამოსავალი ამ მეტად რთული სიტუაციიდან. თავისთავად ის ფაქტი ფაქტად რჩება, რომ აუცილებელია მეტად ფართომასშტაბიანი სოციალური ინიციატივა, რომელიც რეალურად განხორციელდება და არა მხოლოდ სიტყვით, როგორც ეს ძალიან ხშირად ხდება ჩვენს ქვეყანაში.

პირველ რიგში, აუცილებლად უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ აუცილებელია ხალხს ნელ-ნელა დაუბრუნდეს იმედი, რომ ნებისმიერი მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება, თუ ამისთვის ძალისხმევა იქნება. არ არსებობს გამოუვალი სიტუაციები. ოლიგარქიული სისტემის დაძლევა ნამდვილად შესაძლებელია, ისევე როგორც შესაძლებელია კოლონიალიზმის, იმპერიალიზმის, სქესობრივი ჩაგვრის, ნაციზმისა და სხვა სოციალური უბედურებების დაძლევა. ეკონომიკური განვითარების კონსტრუქციული და პოზიტიური მაგალითებიც არსებობს. მაგრამ იმისათვის რომ, ეს სისტემა ამუშავდეს აუცილებელია ხალხმა ირწმუნოს ის, რომ ეს ქვეყანა ნამდვილად ხალხს ეკუთვნის. ჩვენ დამოუკიდებელი საქართველოსთვის იმიტომ ვიბრძოდით, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს მისცემოდა საშუალება ბედნიერებისაკენ თანაბარ პირობებში სწრაფვისა. ჩვენ ვიბრძოდით თავისუფალი ეკონომიკისათვის - ყველასათვის, და არა მხოლოდ ნომენკლატურის წრიდან გამოსული ნეო-ბურჟუაზიისათვის. და ამ მიზნების მიღწევა ნამდვილად შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა ქართველი ხალხის შემოქმედებითი პოტენციალის მთლიანად ამოქმედება. ამისთვის საჭიროა თანამშრომლობა ამ ქვეყნის ყველა ჯანმრთელ ელემენტთან, რათა მოხდეს სასარგებლო სინთეზი, სადაც ერთად იარსებებენ კერძო საკუთრება და სოციალური სამართალი, სადაც ერთად იქნებიან თავისუფლება და სიყვარული. ეს ნამდვილად არ არის ადვილი ამოცანა. ამას ჩვენ ყოველდღიურად ვაწყდებით ცხოვრებაში. მაგრამ, ამავე დროს, ეს არ არის შეუძლებელი.

ამ პროცესში არ შეიძლება არც ერთი ძალის დემონიზაცია და სრული განადამიანურება. ჩვენ ისიც უნდა ვიცოდეთ რომ დღევანდელ მდიდართა კლასში არიან ისეთებიც, რომლებიც პატიოსანი შრომით გამდიდრდნენ და ბევრსაც აკეთებენ გაჭირვებულთა დახმარებისათვის. ამ შემთხვევაში კლასების დაპირისპირების მაგივრად, ბევრად უფრო ეფექტური იქნება

ერთობლივი კონსტრუქციული გზების ძიება, რომლებიც ეკონომიკური განვითარების სტიმულს მისცემს მდიდარსაც და ღარიბსაც ერთად და არა ერთმანეთის ხარჯზე.

მსოფლიო ეკონომიკაში მრავლად არის პოზიტიური მაგალითები იმისა, რომ კერძო სექტორი გამოყენებული იქნა ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების საქმეში. ამისთვის აუცილებელია ამაღლდეს მოქალაქეობრივი შეგნება. ამისთვის აუცილებელია უფრო მეტი გამჭვირვალობა ბიზნეს და სამთავრობო სექტორებში. ამისთვის აუცილებელია თანამშრომლობის უნარ-ჩვევების გამოუმუშავება და იმის გაგება, რომ კონკურენცია და ერთმანეთის ქიშპი არ არის ადამიანური ურთიერთობების საუკეთესო გზა. მე ღრმად მწამს, რომ თავად ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებული პროცესი, სადაც საადგილმამულო ბანკი და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები ერთად მუშაობდნენ, უნდა უცილობლად გაგრძელდეს. კონსტრუქციული აზროვნების კარგი მაგალითები მრავლადაა ჩვენს ისტორიაში, ისევე როგორც მსოფლიო ისტორიაში. კერძო სექტორმა და საზოგადოებრივმა სექტორმა შეიძლება ითანამშრომლონ. ამისთვის აუცილებელია, მათ ერთმანეთისაგან არ შექმნან მტრის ხატი. არ დაინახონ ერთმანეთში მხოლოდ მონსტრები და კაციჭამიები და თუ მართლაც ასეთებთან გვაქვს საქმე, მაშინ სახელმწიფომ უნდა აიღოს სამართლიანობის აღდგენის ფუნქცია მისი დამოუკიდებელი სასამართლო შტოს საშუალებით. რა თქმა უნდა, ამის თქმა უფრო ადვილია, ვიდრე გაკეთება, მაგრამ დამერწმუნეთ რომ ეს შესაძლებელია.

ბიზნესსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობების შესრულება:

1. ბიზნესის წარმოების უფრო მეტი გამჭვირვალობა. ხალხს არ აქვს რეალური ინფორმაცია დიდი კორპორაციების მოღვაწეობის შესახებ (გამონაკლისებს არ ვგულისხმობთ). უფრო მეტი მართალი ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფს მეტ ნდობას მოსახლეობიდან.
2. მშრომელების (ლეიბორის) უფლებების დაცვა მინიმუმი ხელფასის კანონითა და სხვა სოციალური ინიციატივებით, რომელიც საჯარო სექტორიდან უნდა წამოვიდეს. მინიმუმი ხელფასი უნდა იყოს საცხოვრებელ მინიმუმზე მეტი. ჩვენთან კი დღეს მინიმუმი ხელფასი 20 ლარია საჯარო სექტორში და კერძო სექტორს კანონმდებლობა არც არეგულირებს. ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.
3. მთავრობაზე კორპორატიული გავლენის შემცირება საზოგადოებრივი სექტორის ზედამხედველობის ქვეშ. უნდა ამოქმედდეს საზოგადოებრივი კონტროლის რეალური მექანიზმები. ეს იმის საშუალებას მოგვცემს რომ, ჩვენი მთავრობა იყოს უფრო მთელი მოსახლეობის მსახური და არა კონკრეტული კორპორაციებისა.
4. მთავრობაში აუცილებელი სტრუქტურული ცვლილებები, რაც ნიშნავს პოლიციის, საგადასახადო უწყებათა და სხვა საჯარო ერთეულების ხელფასების გაზრდას, მათი შტატების შემცირებას, რაც თავიდან აგვაცილებს ბიუროკრატიების მიერ დიდი, საშუალო და პატარა ბიზნესებიდან ფულის გამოძალვის ამ მასშტაბებს. შტატების შემცირება + ხელფასების გაზრდა.
5. საგადასახადო სისტემის ისე დარეგულირება, რომ ერთდროულად გათვალისწინებული იყოს როგორც ბიზნესის, ასევე მოსახლეობის სხვა ჯგუფების ინტერესები. მაგალითად, სულაც არ არის საჭირო, რომ სახელმწიფო აფინანსებდეს მუსკომედიის თეატრს, მაგრამ აუცილებელია უპატრონო ბავშვთა სახლებისა და სხვა სოციალურად მეტად მწვავე პრობლემების მოგვარება საჯარო სახსრებით.

6. ახალი პოზიტიური სოციალ-ეკონომიკური ინიციატივები კერძო და საზოგადოებრივი სექტორის თანამშრომლობით. ასეთი ინიციატივები შეიძლება იყოს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ინტელექტუალური ბიზნესისა და სხვა სფეროებში. ეს, ერთი მხრივ, ახალ სამუშაო ადგილებს გააჩენს, და მეორე მხრივ, მომგებიანი იქნება ბიზნესისათვის.

7. საქართველოს ჯანმრთელი ეკონომიკური დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა. საჭიროა, რომ ეკონომიკური აქტივობა მიმდინარეობდეს საქართველოს ყველა რეგიონში და არ მოხდეს ეკონომიკური ძალაუფლების უაზრო თავმოყრა მხოლოდ თბილისში. ეკონომიკური რეგიონალიზმის პლატფორმას მუშაობა სჭირდება, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელი საქართველოს ტერიტორია ყამირია სოფლის მეურნეობის, ეკოლოგიური და კულტურული ტურიზმის, ინტელექტუალური და სხვა სახის ბიზნესებისათვის. საქართველოს გააჩნია უდიდესი ინტელექტუალური კაპიტალი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული.

აგრეთვე სახეზეა ეკონომიკური მონოპოლიის მრავალი მაგალითი. აუცილებელია, რომ ამ კლანურ მონოპოლიზმსა და ეკსკლუზივიზმს ბოლო მოეღოს. ბიზნესი ჩვენი საზოგადოებრივი მექანიზმის ერთ-ერთი ნაწილია და მასზეც უნდა დაწესდეს საფუძვლიანი კონტროლი. მაგალითად, ისეთი საქმეები, როგორებიცაა ტყიბულის ქვანახშირის სადგურის მშენებლობა, უინგფილდის მოღვაწეობა, და სხვა ოფშორული კომპანიების საქმიანობები, განხილვის ფართო საგანი უნდა გახდეს და მონოპოლისტები და უკანონო მიმთვისებლები შესაბამისად უნდა დაისაჯონ. ეს სულაც არ ნიშნავს რეპრესიულ სისტემას. პირიქით ეს ეკონომიკური დემოკრატიის მაგალითია.

ამ შემთხვევაში აუცილებელია უკომპრომისო ბრძოლა და ამავედროულად ხელებაკაპიწებული აღმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც კონსტრუქციული შედეგები მოჰყვება.

ვფიქრობ, ამ პირობების შესრულებას დიდი ძალისხმევა სჭირდება, მაგრამ მთავარი იმედი ის არის, რომ ეს შეუძლებელი არ არის. ჩვენ უნდა შევძლოთ ამის გაკეთება, რადგან ჩვენ არავისზე ნაკლებნი არა ვართ. სხვებმა თუ შეძლეს, ჩვენ რატომ არ უნდა შევძლოთ. შემოქმედების უნარი ჩვენი ერთ-ერთი ძლიერი წერტილია. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ის?

ჟურნალში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედკოლეგიის ან კონფლიქტოლოგიის ცენტრის პოზიციას

**The Peace Times Published by: International Center on Conflict and Negotiation
Supported by: Cordaid**

**დრო მშვიდობისა გამოიცემა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ
ფინანსური მხარდაჭერა „ქორდიდისა“**

**Editor in Chief: Irakli Kakabadze
Deputy Editor: Lela Tsiskarishvili
Editorial Board: Salome Asatiani, Giga Bokeria, Lasha Bughadze, George Margvelashvili,
Rusudan Mshvidobadze, Gaga Nizharadze, Gio Sumbadze, Rati Amaghlobeli, George
Khutsishvili
Design : GOSLAB**

რედაქტორი: ირაკლი კაკაბაძე
რედაქტორის მოადგილე: ლელა ცისკარიშვილი
სარედაქციო კოლეგია: სალომე ასათიანი, გიგა ბოკერია, ლაშა ბუღაძე, გიორგი მარგველაშვილი, რუსიკო მშვიდლობაძე, გაგა ნიჭარაძე, გიო სუმბაძე, რატი ამაღლობელი, გიორგი ხუციშვილი
დიზაინი: GOSLAB

განსაკუთრებული მადლობა: ნანა მელიწკაურს

ISBN: 99928-824-3-3

Address:

5 Machabeli Str., 1st Floor, Tbilisi 380005, Georgia

Post Address: PO Box 38, Tbilisi 380079, Georgia

Tel: (995 32) 99-99-87, (995 32) 93-91-78

Fax: (995 32) 93-91-78

მისამართი: ივ. მაჩაბლის 5, 1 სართული, თბილისი 380007, საქართველო
საფოსტო მისამართი: საფოსტო ყუთი 38, თბილისი 380079, საქართველო
ტელეფონები: 99-99-87, 93-91-78
ფაქსი: 93-91-78
E-mail: confpro@iccn.ge
<http://www.iccn.ge>

© 2002 by ICCN

PT/4/2002/ea

ISBN: 99928-824-3-3